

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ციცინო ძოწენიძე

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ეკონომიკური
პრობლემები და პერსპექტივები

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა - 0701 ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი **ნიკოლოზ ჩიხლაძე**

ქუთაისი, 2013 წელი

**საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ეკონომიკური
პრობლემები და პერსპექტივები**

	შესავალი	4
თავი 1	ეკონომიკური გლობალიზაცია, ინტეგრაცია და რეგიონალიზაციის კონცეფციისადმი თანამედროვე მიდგომები	14
1.1.	საქართველო და ევროპა.....	14
1.2.	გეოპოლიტიკის და გეოეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება	23
1.3.	გლობალიზაცია და დეგლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში: საქართველო-ევროპის ურთიერთობის კონტექსტი.....	29
1.4.	ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის განვითარების ეტაპები.....	32
თავი 2	საქართველოს ეკონომიკის დახასიათება	42
2.1.	ეკონომიკის საკანონმდებლო რეგულირება, რეფორმები და პოლიტიკა	42
2.2.	საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორების ანალიზი	52
2.3.	დემოგრაფია და სოციალური სიტუაცია საქართველოში	78
თავი 3.	საქართველოს გეოეკონომიკური გარემო რეგიონების და ქვეყნების კონტექსტში	86
3.1.	ევროკავშირის გეოეკონომიკური დახასიათება	86
3.2.	თურქეთის გეოეკონომიკური დახასიათება	96
3.3.	რუსეთის გეოეკონომიკური დახასიათება	106
3.4.	აზერბაიჯანის გეოეკონომიკური დახასიათება	111
3.5.	სომხეთის გეოეკონომიკური დახასიათება	119
თავი 4.	საქართველო გლობალურ ეკონომიკურ პროცესებსა და ტენდენციებში	127
4.1.	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და მათი როლი	

	გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში	127
4.2.	საქართველო და ევროპა: ურთიერთობის პოლიტიკურ- ეკონომიკური ასპექტები და პერსპექტივები	139
	დასკვნები	151
	გამოყენებული ლიტერატურა	157

შესავალი

პრობლემის აქტუალურობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო ახალი ისტორიული ეპოქა - ახალი გეოპოლიტიკური არეალების ფორმირება, რომელმაც ყოფილი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები მოიცვა. ამ არეალებს თავიანთი გეოგრაფიული კონტურები გააჩნდათ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს და ისინი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობით განსაზღვრულ ეკონომიკურ დარაიონებას ეფუძნებოდნენ. აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ერთობლიობას ეწოდებოდა ამიერკავკასია. ამ სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ დღის წესრიგში დადგა არსებული გეოპოლიტიკური არეალების სახელწოდების განახლების საკითხიც. „ამიერკავკასიის“ ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი „სამხრეთ კავკასია“. ბოლო დროს გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურაში კი სულ უფრო ხშირად ვხვდებით ტერმინს „ცენტრალური კავკასია“.

2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში გატარდა ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მიმართ, ქართული საზოგადოების, მათ შორის, ეკონომისტთა დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანია. ინტერესი ამ რეფორმების მიმართ როგორც პროფესიონალთა ვიწრო წრეში, ისე მთელს საზოგადოებაში ძალზე დიდია. წინამდებარე ნაშრომი ერთ-ერთი მცდელობაა იმისა, რომ განზოგადებულ იქნეს მიმდინარე რეფორმების შინაარსი და გამოვლინდეს ის ზოგადი ტენდენციები, რაც დამახასიათებელია პოსტრევოლუციური საქართველოს განვითარებისთვის, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, განისაზღვროს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია და მისი შესაბამისობა ევროპასთან ინტეგრირების პერსპექტივებთან.

ჩვენი ქვეყნისათვის აღნიშნული საკითხების უაღრესად დიდი მნიშვნელობა განაპირობებს სწორედ პრობლემის აქტუალურობასაც.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანს წარმოადგენს რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური გაგების ზოგიერთი მომენტის გააზრება დესკრიპტული მიდგომის საფუძველზე, ანუ იმის მიუხედავად, თუ რა მიზნები ამომრავებთ მსოფლიო თუ რეგიონულ ძალებს საქართველოში.

დასახული მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში ფორმულირებულია შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- საქართველოს ეკონომიკური სისტემის მდგომარეობის შესწავლა და პრიორიტეტების გამოკვეთა;
- ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში ეკონომიკური და სოციალური სტანდარტების განხილვა და მათი შესაბამისობა არსებულ ვითარებასთან;
- საქართველოში ევროპული ინტეგრაციის პროცესის - მიღწევების, ხარვეზების და გამოწვევების განსაზღვრა.

კვლევის საგანს წარმოადგენს იმ ეკონომიკური პრობლემების და პერსპექტივების შესწავლა, რომლებიც დგას საქართველოს წინაშე გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ასპექტებში. კერძოდ, სიღრმისეულად არის განხილული შემდეგი საკითხები:

- სხვა რეგიონულ ძალებთან პარალელურად რა მნიშვნელობა ენიჭება ევროპასთან ინტეგრირების პროცესს;
- როგორია ამ მიმართებით საქართველოს ისტორიული გამოცდილება;
- რა პერსპექტივები იკვეთება 2012 წლის მდგომარეობით.

კვლევის ობიექტია საქართველოს, სამხრეთ კავკასიის და მიმდებარე რეგიონული ძალების მქონე ქვეყნების გეოეკონომიკური მონაცემების შესწავლა ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველოს შემდგომი განვითარების პრიორიტეტების გამოკვეთის მიზნით.

სიახლე: ბოლო ათწლეულის ისტორიული პროცესი გვიჩვენებს, რომ ევროკავშირის დაინტერესება კავკასიის რეგიონით გეოპოლიტიკური ხედვის ინერციით არის ნაკარნახევი. გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კავკასია წარმოადგენს ჰარტლენდის ჩაკეტილი სივრცის ერთადერთ ნიშას აზიისკენ უმოკლესი სავაჭრო მარშრუტის გახსნისათვის. კავკასია საინტერესოა არა როგორც ბაზარი, არამედ როგორც შუა აზიისა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის რესურსებით მდიდარი ბაზრებისკენ გამავალი გზა. ამიტომ, დემოკრატიული პროცესების და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობა, ისე როგორც საერთაშორისო ვაჭრობის წესების დამკვიდრება, ამ რეგიონში უპირველესი ამოცანაა. ევროკავშირი კავკასიის

ქვეყნებში იყენებს ისეთი სახის ინსტრუმენტებს, როგორცაა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებები რეგიონის ქვეყნებთან და TRACECA-სა და INOGATE-ს პროექტის ფარგლებში დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი სამთავრობათაშორისი შეთანხმებები. ევროკავშირი დიდ ყურადღებას უთმობს ენერგომატარებლების შეუფერხებელი ტრანსპორტირების უზრუნველყოფას კასპიის ზღვის აუზიდან ევროპაში.

მეორე მხრივ, საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს რუსეთის პოლიტიკას. რუსეთისთვის ამოსავალი წერტილი ის გეოსტრატეგიაა, რომელიც უზრუნველყოფს მის მიერ კონტროლირებადი სივრცის შეუღწევადობას. რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას და სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რუსეთი ეწინააღმდეგებოდა ამ პროცესებს. ბოლო დროის მოვლენებმა გააჩინა იმედი და მოლოდინი იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა შერბილდება, რამაც ასახვა უნდა ჰპოვოს ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებში.

ევროპის კრიზისი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას 2008 წლის ფინანსური კრიზისის შემდგომ პერიოდში. ევროპის გაერთიანების იდეას მნიშვნელოვანი საფრთხე შეექმნა 2008 წლის შემდეგ, როდესაც თავი იჩინა ევროპული ექსპერიმენტის არასტაბილურმა თვისებებმა.

თითქმის ეჭვგარეშეა, რომ 2013 წლის ევროპა სრულიად განხვავებულად მოქმედებს 2007 წლის ევროპასთან შედარებით. ევროპული ეკონომიკის წინააღმდეგობანი უკვე თვალსაჩინოა. რთული რეალობიდან გამომდინარე, ასევე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, დაისმება თუ არა დღის წესრიგში ევროკავშირის შემდგომი გაფართოების საკითხი უახლოეს ათწლეულში. საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების შესწავლამ გვიჩვენა, რომ რეფორმები ხშირად არ შეესაბამებოდნენ იმ მოთხოვნებს, რაც სამოქმედო გეგმით იყო რეკომენდირებული. მიუხედავად წარმატებებისა, საქართველოს წინაშე დგას რიგი ამოცანებისა, რომელთა გადაჭრა დროს მოითხოვს და აუცილებელი პირობაა ევროპულ სტანდარტებთან დასაახლოებლად.

ამდენად, საკვალიფიკაციო ნაშრომის მთავარი მეცნიერული სიახლე მდგომარეობს საქართველოში ბოლო 10 წლის განმავლობაში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების შესწავლა-განზოგადებასა და სათანადო დასკვნების ფორმირებაში იმ მიზნით, რათა განისაზღვროს ევროპასთან საქართველოს გეოეკონომიკური ინტეგრაციის რეალური შესაძლებლობები. გარდა ამისა, თვით ევროკავშირში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების შესწავლამ გვიჩვენა, რომ არსებული რეალობა ჯერჯერობით არ იძლევა საქართველოს სასარგებლოდ ევროპის შემდგომი გაფართოების შესახებ დასკვნების გამოტანის საშუალებას.

თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. წარმოდგენილი კვლევის შედეგები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად, რაც დაკავშირებულია საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესთან. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია იმის შესწავლაზე, თუ რამდენად აახლოებს გატარებული ეკონომიკური რეფორმები და აღებული კურსი საქართველოს ეკონომიკას ევროპისათვის დამახასიათებელ ეკონომიკურ მოდელთან, რომლისკენ ლტოლვასაც საქართველოს მთავრობა აცხადებდა და აცხადებს როგორც ერთ-ერთ ყველაზე პრიორიტეტულ მიმართულებად აცხადებს.

როგორც ანალიზმა გვიჩვენა, რთულია ევროკავშირის კანდიდატი სახელმწიფოებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებზე მუშაობა „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების“ საფუძველზე შექმნილი მაკონტროლებელი ორგანოების ფარგლებში, ხოლო ამ ჩარჩოს მიღმა დამტკიცებული დოკუმენტები, გამოდგება მხოლოდ ერთი მხარის ღონისძიებების სახელმძღვანელოდ და არა „საერთო“ ღონისძიებათა ჩამონათვალად.

ნაშრომში განხილულია საქართველოში რეფორმის შეფასების ორი მაგალითი, სადაც კარგად ჩანს სამოქმედო გეგმიდან გადახვევა: 2005 წელს მიღებული კანონით „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“, ძირითადი აქცენტი გაკეთდა სახელმწიფო დახმარებებზე, თუმცა, უყურადღებოდ დარჩა მომხმარებლისათვის საზიანო შეთანხმებები, გარიგებაზე ორიენტირებული საქმიანობა ბაზარზე

უპირატესი მდგომარეობით, კომპანიათა შერწყმითა და სახელმწიფო საწარმოებით ბოროტად სარგებლობა. გარდა ამისა, დოკუმენტმა მნიშვნელოვნად შეზღუდა თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტოს ფუნქცია და იგი მხოლოდ კონსულტირებასა და ბაზრის დაკვირვებაზე დაიყვანა. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ინიციატივები მნიშვნელოვნად ეწინააღმდეგება ევროკავშირ-საქართველოს სამოქმედო გეგმის ამოცანას.

ნაშრომის პრაქტიკულ მნიშვნელობას ისიც განაპირობებს, რომ მასში:

1. შესწავლილ იქნა 2003 წელს ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის - „გაფართოებული ევროპა - მეზობლობა: ახალი სტრუქტურა ჩვენს აღმოსავლეთით და სამხრეთით განლაგებულ მეზობლებთან ურთიერთობისთვის“ შესრულების მიმდინარეობა და მისი შესაბამისობა საწყის მოლოდინებთან [141].
2. დეტალურად გაანალიზდა შეთანხმებები „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში, კერძოდ, „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ: (“DCFTA”) და „სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ“. ჩვენი აზრით, აუცილებელია მოლაპარაკება თითოეული უფლების მასშტაბსა და ხარისხზე. ასევე, უნდა შეთანხმდეს კონკრეტული პირობები, ვადები, კრიტერიუმები და გარდამავალი პერიოდები.

კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ისეთი კურსების სწავლებისას, როგორცაა „გეოპოლიტიკა“, „გეოეკონომიკა“, ასევე სახელმწიფო უწყებების და შესაბამისი დარგის მკვლევართა მიერ.

კვლევის მეთოდოლოგია, ძირითადი საკვლევი საკითხები და მათი დამუშავების მდგომარეობა მიმდინარე ეტაპზე. ავტორის წვლილი. ევროპასთან ინტეგრირების პრობლემატიკა მრავალმხრივ არის შესწავლილი ქართველი (ვ. პაპავა, დ. ქათამაძე, მ. თოქმაზიშვილი, ნ. ხადური, ნ. ჩიხლაძე, ა. აბრალავა, რ. კაკულია, მ. კაკულია, რ. ფუტკარაძე, თ. არნანია-კეპულაძე, კ. გოგოლაშვილი, თ. შენგელია, რ. ნამიჭიშვილი და სხვ.) და უცხოელი (Sebestien, Hirsch, Attali, Michie, Brakman, Yusuf, Stiglitz, Harris, Huntington, Ankerl, O’Loughlin, Fukuiama, Balcerowicz, Schuman, Miles, Friedman, Mathew, Socor, Haushoper, Rättzel, Mackinder, Peterson, Grane, Aslind, Harley, Smith, A.

Секарев, Г. Гавриш, А. Дугин, В. Дергачёв, К. Григорьев, П. Кондратьев, А. Салиховъ, Л. Шугарт, და სხვ.) მეცნიერ-ეკონომისტების და პრაქტიკოსი მკვლევარების მიერ. თუმცა, ბევრ შრომაში ინტეგრირების პრობლემები განხილულია მხოლოდ პოლიტიკურ, ან მხოლოდ ეკონომიკურ ჭრილში, ან კიდევ, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკის ფარგლებში.

ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე, გაანალიზებულია ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, რაც მნიშვნელოვან ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები და სტატისტიკური მონაცემები, მიდგომები და მეთოდოლოგია.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინტერდისციპლინალური კვლევის მეთოდებს, რაც გამოიხატა ისეთი მომიჯნავე სოციალური მეცნიერებების სინთეზის მცდელობაში, როგორებიცაა: ეკონომიკა, პოლიტოლოგია, ისტორია, გეოპოლიტიკა, გეოეკონომიკა და ა.შ.

ავტორის წვლილი მდგომარეობს გეოეკონომიკური ინტეგრაციის გამოწვლილვით შესწავლაში და ღრმა ანალიზის საფუძველზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში. კვლევის პროცესში გამოყენებულია სისტემური ანალიზის, სინთეზის, გრაფიკული და ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების, აბსტრაქტულ-ლოგიკური, შედარებითი და ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდები.

აღნიშნული მეთოდების კომპლექსური გამოყენებით შესაძლებელი გახდა წარმოჩენილიყო ინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობის და განვითარების მრავალმხრივი სურათი, რაც ამ საკითხის მხარდაჭერის ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავების წინაპირობად იქცა.

დისერტაციის მოკლე შინაარსი. სადისერტაციო ნაშრომის პირველ თავში „ეკონომიკური გლობალიზაცია, ინტეგრაცია და რეგიონალიზაციის კონცეფციისადმი თანამედროვე მიდგომები“ განხილულია ქვეყნებისა და რეგიონების ინტეგრირებისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ცნებები, როგორებიცაა: ეკონომიკური გლობალიზაცია და დეგლობალიზაცია, რეგიონალიზაციის კონცეფცია

საქართველოს, სამხრეთ კავკასიისა და ევროპის შემთხვევაში, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა - მეცნიერების ამ სფეროების საერთო და განმასხვავებელი თვისებები.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე კრიზისული მოვლენების ფონზე გლობალიზაციის განვითარების ტემპების შენელებისა და დეგლობალიზაციის პროცესის დაწყების შთაბეჭდილება იქმნება. ამავდროულად, გლობალიზაცია განიხილება, როგორც გლობალური ეკონომიკური კრიზისის განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორი.

შესაბამისად, განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს გლობალიზაციის, დეგლობალიზაციისა და გლობალური რეგულირების ცალკეული ასპექტების ანალიზი. ამ ეტაპზე, გლობალიზაციის მკვლევართა მხრიდან აქტიურად განხილულ საკითხთა შორის მიზანშეწონილად მივიჩნევთ გამოვყოთ:

1. მოსაზრება გლობალიზაციის უპრეცედენტობის თაობაზე;
2. გლობალიზაციისა და ეროვნული სახელმწიფოს ურთიერთმიმართება;
3. საკითხი არსებული საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებისა თუ შემცირების თაობაზე.

საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციიდან იკვეთება, რომ ინტეგრაცია და დეინტეგრაცია, გლობალიზაცია და დეგლობალიზაცია ნაწილისა და მთელის, ცალკეულისა და მთლიანის დიალექტიკურ ურთიერთობაშია. ერთდროულად მოქმედებენ ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალები. თუ პირველი ძალები ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან ერთიანი რეგიონის შექმნისათვის, მეორენი – პირიქით, აპირობებენ კავშირში შემავალი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობას. ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ტრადიციებისა და ათასწლეულებში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ძალა ჯერ კიდევ დიდია და როგორც ყველაფრიდან ჩანს, კიდევ დიდხანს, თუ სამუდამოდ არა, შეინარჩუნებს წამყვან პოზიციებს სახელმწიფოთა ურთიერთობებში. ორივე ტენდენციას არსებობის თანაბარი უფლება აქვთ - ერთი ტენდენცია მეორეთი არასოდეს შეივსება, არამედ მუდმივად თანაიარსებებენ, ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთს შეავსებენ.

თანამედროვე ეტაპზე, ქვეყნებს შორის ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების უპრეცედენტოდ მაღალი ხარისხი, განვითარებული, ასევე გარკვეულწილად განვითარებადი ქვეყნების საგარეო-ეკონომიკურ პოლიტიკაში ლიბერალური მიდგომების დომინირება და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების არსებული (თუნდაც შემცირებული) მასშტაბები არ იძლევა დეგლობალიზაციის პროცესის დაწყების დადასტურების შესაძლებლობას.

გეოპოლიტიკის, როგორც სრულფასოვანი სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი მე-19 საუკუნის გერმანული ორგანიზაციული სკოლის წარმომადგენლებმა, რომელთა რიცხვს განეკუთვნება გეოპოლიტიკური სწავლების ისეთი ფუძემდებლები, როგორებიც არიან ჰაუსჰოფერი, რატცელი, მაკინდერი და სხვ.

გეოეკონომიკის კონცეფციის ავტორი ჟ. ატალი თვლის, რომ ცივი ომის შემდეგ გეოპოლიტიკა გეოეკონომიკით შეიცვალა და იგი თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მთავარი მოდელია.[48, გვ.24] გეოეკონომიკა განისაზღვრება როგორც გეოპოლიტიკის განსაკუთრებული ვერსია, რომელიც პრიორიტეტულად მიიჩნევს არა გეოგრაფიულ, კულტურულ, ეთნიკურ და ა.შ. ფაქტორებს, არამედ სივრცესთან დაკავშირებულ წმინდა ეკონომიკურ რეალობებს.

ჩვენი აზრით, გეოეკონომიკა მაინც არ არის გეოპოლიტიკის ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული საერთაშორისო სისტემის პოლიტიკური მოდელი და არც მხოლოდ გეოპოლიტიკის შემადგენელი ქვედარგი. ეს, ერთი მხრივ, მისი არსის გამარტივება იქნებოდა და მეორე მხრივ, გეოპოლიტიკას, როგორც მეცნიერებას დაუკარგავდა თავის ფუნქციას. ეკონომიკასა და პოლიტოლოგიას, მიუხედავად ერთმანეთთან მჭიდრო კავშირისა, კვლევის საკუთარი არეალები გააჩნიათ. ასევე გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკას აქვთ შესწავლისა და გამოყენების საკუთარი სფეროები (თუნდაც ის მოიხსენებოდეს როგორც გეოპოლიტიკური ეკონომია). აღნიშნულის მიუხედავად მათ შესაძლოა გააჩნდეთ უამრავი საერთო და ქმნიდნენ ერთიან ზღვრულ საკომუნიკაციო სივრცეს.

ნაშრომის მეორე თავში დახასიათებულია საქართველოს ეკონომიკა, ქვეყნის ეკონომიკური კანონმდებლობა და პოლიტიკა, ეკონომიკური რეფორმები დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე; ჩატარებულია მაკროეკონომიკური

ინდიკატორების ანალიზი 2011 წლის ჩათვლით. გაანალიზებულია მთლიანი შიდა პროდუქტი სექტორულ ჯრილში. განხილულია საქართველოს დემოგრაფიული და სოციალური სიტუაცია ბოლო წლების მონაცემთა საფუძველზე. მოკლედ გაანალიზებულია ქვეყნის ეკონომიკის სტატისტიკური მონაცემები შესაბამის წყაროებზე დაყრდნობით დინამიკაში, დროის ათწლიან ინტერვალში და ნაჩვენებია ეკონომიკური მიღწევები და წარუმატებლობები, განხილულია მათი გამომწვევი მიზეზები.

დისერტაციის მესამე თავი ეთმობა საქართველოს გეოეკონომიკური გარემოს - რეგიონებისა და ქვეყნების გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ განხილვას. აქ შესწავლილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნები (აზერბაიჯანი და სომხეთი) და ისინი შედარებულია საქართველოს შესაბამის მახასიათებლებთან; განხილულია თურქეთის, ქვეყნის სამხრეთ მეზობლის გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მონაცემები და შეფასებულია ამ ქვეყნის, როგორც მზარდი რეგიონული ძალის როლი კავკასიასთან და საქართველოსთან მიმართებაში. ანალოგიურად შესწავლილია რუსეთის (ჩრდილო მეზობლის) პოსტსაბჭოთა და უახლესი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ტენდენციები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ევროკავშირის დახასიათებას, მის გენეზისს, განვითარების ეტაპებს, კანდიდატი ქვეყნებისა და სამეზობლოში გაერთიანებული ქვეყნების დახასიათებას. შემოთავაზებულია მოსაზრება, რამდენად რელურად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოსთვის ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის პერსპექტივები.

მეოთხე თავში აღწერილია გლობალური ეკონომიკური პროცესები და ტენდენციები, რომელთა გარეშეც, ჩვენი აზრით, შეუძლებელია გლობალურ, მათ შორის ევროპულ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია და კოოპერირება. კონკრეტულად, აქ იგულისხმება საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობის ისეთი ინსტიტუტები როგორებიცაა: საერთაშორისო საფინანსო სისტემა, საერთაშორისო ვაჭრობა, გლობალური საინვესტიციო ნაკადები, და საერთაშორისო ორგანიზაციები.

ამავე თავში ნაჩვენებია, თუ რამდენად აქტიურია ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში და კერძოდ საქართველოში; ხაზგასმულია ის მნიშვნელოვანი შიდა და გარე ფაქტორები, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საქართველოსა და ევროკავშირის შორის პოლიტიკურ და ეკონომიკურ

ურთიერთობებში. დასკვნებში შეჯამებულია საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, მისი შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან. ასევე შეჯამებულია ევროპასთან ინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა, მიღწევები, ხარვეზები, პრობლემები და გამოწვევები.

თავი 1. ეკონომიკური გლობალიზაცია, ინტეგრაცია და რეგიონალიზაციის კონცეფციისადმი თანამედროვე მიდგომები

1.1. საქართველო და ევროპა

საქართველოს ევროპისკენ და ზოგადად, დასავლეთისკენ სვლა XX საუკუნის მიწურულს არ დაწყებულა და ამ გზის გაკვალვა ჩვენმა წინაპრებმა გაცილებით ადრე დაიწყეს.

“დასავლეთი” არის, პირველ რიგში, არა გეოგრაფიული სივრცე, რომელიც მოიცავს ძირითადად ევროპის კონტინენტის დასავლეთ ნაწილს, არამედ ფასეულობათა სისტემა (დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ტოლერანტობა, მყარი ინსტიტუტები, რასაც ეფუძნება სახელმწიფო და სხვ.) და ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე, რომელიც ახასიათებს ევროპას და ჩრდილოეთ ამერიკას. (ამ კონტექსტში უნდა ვიგულისხმოთ ასევე ავსტრალია, იაპონია, სამხრეთ კორეა და ისრაელი). ის, რაც დღეს დასავლეთს წამყვან როლს ანიჭებს პროცესების წარმართვისას, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ხალხების ხელში იყო კონცენტრირებული.

საქართველოს, როგორც ევროპასა და აზიას შორის მდებარე გზაჯვარედინს მუდმივად ჰქონდა მინიმუმ ორი ან რამდენიმე არჩევანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, რომლის დროსაც იგი ძირითადად ამ უკანასკნელს ირჩევდა. ამ არჩევანს პოლიტიკურ კონიუნქტურასთან ერთად დასავლეთთან ღრმა კულტურული და სულიერი კავშირები განსაზღვრავდა.

ქართულ-ევროპულ (დასავლურ) გზათა პირველი მნიშვნელოვანი გადაკვეთა უკავშირდება მითს არგონავტების შესახებ.

ამ გადმოცემაში მრავლადაა სინამდვილის ელემენტები. ჩანს დასავლურ ქართული ერთობის – კოლხეთის ურთიერთობა მაშინდელი მსოფლიოს წამყვან ხალხთან – ელინებთან, რომლებიც ამრეხით უყურებდნენ არაბერძენ ხალხებს და თავი სამყაროს ცენტრად მიაჩნდათ. კოლხეთი ახლობელია მათთვის. აიეტი გახლავთ მზის ღმერთის, ჰელიოსის შვილი, ე.ი. იგი ამ სამყაროში ინტეგრირებულად უნდა მივიჩნიოთ. ასევე აიეტი ფლობს ტექნოლოგიურ ნოვაციას - ოქროს საწმისს, რომელიც ბერძნების ცხოველი ინტერესის სფერო იყო. მითი ასევე ასახავს კარგად

განვითარებულ მეტალურგიას, კარტოგრაფიას, ზღვაოსნობას (კირბები) და მედიცინის მაღალ დონეს.

ბერძნული კულტურის დომინაცია, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, კარგად ჩანს ჩვ.წ-მდე VI საუკუნეში. იგი აქტიურადაა ჩართული ელინურ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში, რომელსაც ბერძნულმა კოლონიზაციამ დაუდო სათავე. ის მოიცავდა ახლო აღმოსავლეთს, ეგვიპტესა და აფრიკის სანაპიროს, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპას და, რაც ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შავიზღვისპირეთს. [6, გვ.162]

დასავლეთ საქართველოსთან ერთად იბერია მკვეთრი ორიენტაციული არჩევანის წინაშე ძვ.წ-ის I საუკუნის 60-იან წლებში დადგა, როდესაც რომი აღმოსავლეთში აგრესიულ პოლიტიკას წარმართავდა და ცდილობდა პონტოს სამეფოს ხარჯზე მოეხდინა საკუთარი მიზნების განხორციელება. იბერიისგან განსხვავებით კოლხეთი პონტოს სამეფოს უშუალო გამგებლობაში შედიოდა და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების საშუალება არ ჰქონდა.

გამოიკვეთა იბერიის სამეფოს ფუნქცია საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც გულისხმობდა, კავკასიონის გადმოსასვლელების კონტროლს და იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრების ამ მონაკვეთის დაცვით, იმდროინდელ საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

ქართულ-რომაულ ურთიერთობებს, უფრო მაღალ ხარისხში, ადგილი ჰქონდა II საუკუნის 40-იან წლებში ქართლის მეფე ფარსმან II-ის დროს, რომელიც კარგად იყენებდა მის ხელთ არსებულ ბერკეტებს მომთაბარე ტომების სახით და დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა. მისი ფიგურის მნიშვნელობაზე მეტყველებს ვიზიტი “მარადიულ ქალაქში” და მარსის მოედანზე მისივე ცხენოსანი ქანდაკების აღმართვა.

საქართველოს დასავლეთთან მიმართებაში საკვანძო მომენტად მიჩნეულია IV საუკუნე, ქრისტიანობის განმტკიცების ხანა. ამ რელიგიამ მთლიანად შეცვალა ევროპის ბედი. ასე მოხდა საქართველოშიც. ის შემოვიდა ყველგან: კულტურაში, ხელოვნებაში, ცხოვრების წესში და სააზროვნო სისტემაში.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამ, ერთი მხრივ, ორიენტაციასთან დაკავშირებულ საკითხს სრულად გასცა პასუხი, ხოლო მეორე

მხრივ, წითელი ხაზი გაავლო აღმოსავლეთთან და გაემიჯნა ჯერ მაზდეანობას, შემდეგ კი ისლამს. ამის ნათელი დადასტურებაა ვახტანგ გორგასალის პოლიტიკა, რომელიც, მიუხედავად სიმნელეებისა, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) პოლიტიკურ ორბიტაში ცდილობდა დამკვიდრებას. მეფე სპარსეთის დახმარებით ემურებოდა თავისი ძალაუფლების გაზრდას და ქვეყნის ტერიტორიის გაფართოება-ცენტრალიზაციას, მაგრამ ეს სტრატეგიული მიზნისაკენ მიმავალ ტაქტიკურ ნაბიჯად მიაჩნდა და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ბიზანტიური სივრცის ნაწილად ექცია ქვეყანა.

ძალზედ საგულისხმოა VI საუკუნეში ეგრისში მიმდინარე “დიდი ომიანობა”. აღმოსავლურ-დასავლური მსხვილი მოთამაშეების, ირანისა და ბიზანტიის ინტერესები, გარდა სხვა ადგილებისა, დასავლეთ საქართველოშიც გადაიკვეთა. თავის მხრივ, ცუდსა და უარესს შორის არჩევანის პრინციპით მოქმედი ეგრისელები ხან ბიზანტიელებს მოუხმოდნენ ქვეყანაში, ხან კი ირანელებს. თუმცა, მიუხედავად ბიზანტიელთა მიერ გუბაზ მეფის მკვლელობისა, როდესაც ეგრისელთა მიერ შეყრილ აგორაზე ქვეყნის ორიენტაციის საკითხი დადგა, მათ დიდი მსჯელობის შემდგომ დასავლეთს (ბიზანტიას) მიანიჭეს უპირატესობა და აქ განმსაზღვრელი ფაქტორი ქრისტიანობა აღმოჩნდა.

VIII საუკუნეში, ქართლში განსაკუთრებით გამლიერდა არაბთა ბატონობა. ამ ვითარებას კარგად აღწერს იოანე საბანისძე და ყურადღებას ამახვილებს ქართლის ადგილსა და ფუნქციაზე რეგიონში, რითაც ხაზს უსვამს მის განუყოფლობას ბიზანტიისგან, დაზუსტებით კი ქრისტიანული სამყაროსაგან. “რომელნი ესე ვართ ყურესა ამას ქვეყნისასა . . . არა ხოლო ბერძენთა სარწმუნოებაი ესე ღმრთისა მიერი მოიპოვების, არამედ ჩუენცა შორიელთა ამათ მკვიდრთა” [27, გვ.447]

X-XI საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც დღის წესრიგში დგება საქართველოს გაერთიანების საკითხი, ეს ურთიერთობები თვისობრივად ახალ ფაზაში გადადის. გაერთიანებული ქართული ფეოდალური მონარქია, რომელსაც კავკასიური იმპერიის ამბიციები აქვს, ცდილობს ნელ-ნელა წინააღმდეგობა გაუწიოს ბიზანტიას და შემდეგ მის საპირწონედ იქცეს. ეს პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ერთი საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა. იგი აისახა ჯვაროსნებთან ურთიერთობაში (I, IV და V ჯვაროსნული ლაშქრობები) და რომის წმინდა საყდართან მიმოწერაში.

XIII საუკუნის 40-იანი წლებიდან განსაკუთრებით გახშირდა კავშირები კათოლიკურ სასულიერო ორდენებთან, კერძოდ დომინიკანელებთან და ფრანცისკანელებთან, ხოლო XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის ზეობისას ეს ურთიერთობები ახალ საფეხურზე ავიდა. ამის მიზეზი იყო ერთიანი ქართული მონარქიის ძლიერება, რამაც კათოლიკეებს უბიძგა სმირნადან საეპისკოპოსო კათედრა თბილისში გადმოეტანათ, ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებები საერთაშორისო და რეგიონულ პოლიტიკაში. ვენეციისა და გენუის მიერ, საერთაშორისო ვაჭრობაში უმთავრესი კონკურენტის ბიზანტიის, დასუსტება-ჩამოშორებამ შავი ზღვის ფუნქციის გაზრდა გამოიწვია. იგი იტალიური ქალაქ-სახელმწიფოების მიერ ჩამოყალიბებულ სავაჭრო-ეკონომიკურ სისტემაში ჩაერთო. ამას მოჰყვა გენუელების მიერ სავაჭრო ფაქტორიების დაარსება შავი ზღვის სანაპიროს ქართულ ნაწილში (ბათუმი – ლო ვატი, ფოთი – ფასო, სოხუმი – სეზასტოპოლისი). [44, გვ.116]

ევროპასთან ურთიერთობისას საბედისწერო მომენტი დადგა 1453 წელს, როდესაც დაეცა კონსტანტინოპოლი. ბიზანტიის იმპერიის დამხობით ჩაიკეტა პირდაპირი გზა დასავლეთისაკენ და ქვეყანა აგრესიული მუსულმანური ქვეყნების რკალში მოექცა: “ეს ის ხანა იყო, როცა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები ცენტრალიზაციისა და სახელმწიფო ხელისუფლების განმტკიცებისაკენ მიილტვოდნენ. ინგლისში ვარდების ომის შემდეგ 1485 წელს ტიუდორთა ტრუიმფალური აღზევება მოხდა. საფრანგეთში ლუდოვიკო XI ულმობლად მოსპო ფეოდალური თვითნებობის ნაშთები. დიდი მთავრები ივანე დიდი და ვასილი ერთიმეორეს მიყოლებით ნთქავდნენ მოსკოვის დამოუკიდებელ სამთავროებსა და თავისუფალ ქალაქებს და ახალ რუსეთს უყრიდნენ საძირკველს. ბოსფორზე თურქი სულთნები ახალ იმპერიას აშენებდნენ, რომელიც მრისხანედ იდგა ცალი ფეხით აღმოსავლეთში და მეორეთი დასავლეთში. სპარსეთში შაჰ-ისმაილ საფავიმ ახალ ეროვნულ დინასტიას ჩაუყარა საფუძველი და გზა მისცა თავისი ხალხის რელიგიურ და პატრიოტულ აღტკინებას. მაგრამ რენესანსული ცივილიზაციისაგან მოწყვეტილ და ქანცამოღლეულ საქართველოში საათის ისრები უკან მიდიოდა და არა წინ”. [13, გვ.32]. მიუხედავად ამ სავალალო კონტრასტისა, ქართველი მეფე-მთავრები იმედის თვალით შეჰყურებდნენ ევროპას, მაგრამ ამაოდ. იმდროინდელი პოლიტიკური

ვითარებიდან გამომდინარე, მათ მიერ გაწეული დახმარება მხოლოდ მორალური ხასიათისა იყო. ეს დაადასტურა სიმონ I-ის მიმოწერამ პაპ კლიმენტი VIII და ესპანეთის მეფე ფილიპე II-თან და განსაკუთრებით კი სულხან-საბას ელჩობამ საფრანგეთსა და იტალიაში.

თემურ-ლენგის ლაშქრობების შემდეგ სახელმწიფოს დაქუცმაცება-დეზინტეგრაციის პროცესი შეუქცევადად გრძელდებოდა სამი საუკუნის მანძილზე. საგარეო ასპარეზზე ქართული სამეფო-სამთავროების არც თუ წარმატებულ თამაშს ირანსა და ოსმალეთს შორის არამდგრადი შიდაპოლიტიკური პროცესები განაპირობებდა.

რეფორმას საჭიროებდა მთელი სისტემა, რასაც უნდა გამოეწვია ეკონომიკის აღმავლობა, სახელმწიფო აპარატის ახლებურად გარდაქმნა, ჯარის რეფორმირება, “ტყვის სყიდვის” შეჩერება და ამით დემოგრაფიული სურათის გაჯანსაღება და სხვ. ეს მიზნები ჰქონდა ერეკლე II-საც როდესაც რუსეთთან დაკავშირება გადაწყვიტა. საქართველოში განვითარებულმა სამსაუკუნოვანმა პროცესმა, რომელსაც ზემოთ შევხებით, განაპირობა ერეკლეს არჩევანი რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ.

ისეთ გამოცდილ დიპლომატს, როგორც ერეკლე იყო კარგად ესმოდა ევროპის მნიშვნელობაც და საერთაშორისო პოლიტიკაც. მისი რეფორმები, რაც გულისხმობდა “მორიგე ჯარის” შექმნას, სახელმწიფო აპარატის გარდაქმნას, ჯარის თანამედროვე იარაღით აღჭურვას ევროპეიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯები იყო, მაგრამ ეს მხოლოდ პროცესის ერთი მხარე გახლდათ. მეორე მხარეს კი იდგა სამი რეგიონული “ვეშაპი” და მათთან ერთად მოთამაშე მსხვილი ევროპული სახელმწიფოები, რომელთა შორისაც ხდებოდა ლავირება. თვითონ რუსეთიც ევროპეიზაციის გზაზე იდგა. თავი რომ დავანებოთ რუსეთის სამეფო კარის ვიზუალურ მხარეს, რომელსაც დასავლური “სურნელი” დაჰკრავდა, უნდა გამოვყოთ ევროპული (გერმანულ-პრუსიული) მოდელის დანერგვის პროცესი არმიაში, განათლების სისტემაში, ეკონომიკაში და ა.შ.

“ქართლ-კახეთის სამეფოს პროდასავლური ორიენტაცია იმდენად სერიოზული იყო, რომ რუსეთის მთავრობის რეზიდენტმა სერგეი ბურნაშოვმა საქმის კურსში ჩააყენა რუსეთის საიმპერატორო კარი.” [7, გვ. 62]

ერეკლეს სურვილს ევროპულად მოეწყო ქვეყანა ადასტურებდა 1784 წელს პავლე პოტიომკინის მიერ შეგროვილი ცნობებიც. [40, გვ.112] მიუხედავად იმისა, რომ ერეკლეს ჩანაფიქრი არ გამართლდა და საქართველო რუსეთმა დაიპყრო, უარყოფითის გარდა ამას ზოგიერთი დადებითი მოვლენაც მოჰყვა. რუსეთის გავლით აქამდეც მოაღწია ევროპულმა ცხოვრების წესმა, განათლებამ და კულტურამ. დასავლეთის უპირატესობაზე, მხოლოდ ნაკლებად პოლიტიკურ ჭრილში, აქტიურად წერდნენ ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი (ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ამერიკული განათლების სისტემით იყო აღფრთოვანებული), ნიკო ნიკოლაძე, არჩილ ჯორჯაძე, და სხვები. ისინი მხარს უბამდნენ ყველა პროგრესულ დასავლურ წამოწყებას, შეეხებოდა ეს პოლიტიკას (თვითმმართველობის სახით), ეკონომიკას, განათლებას, სოფლის მეურნეობას თუ სხვა სფეროს, მხოლოდ ერთი პირობით: უნდა მომხდარიყო ევროპული სიახლეების მორგება ქართულ სინამდვილესთან, რათა ამ სინთეზის შედეგად მიღებული ნაყოფი სიცოცხლისუნარიანი ყოფილიყო.

ნ. ნიკოლაძეს საქართველოსთვის ევროპული განვითარების კურსი მიაჩნდა იდეალურ ვარიანტად, რასაც ასე ხსნიდა: “ორიენტაცია შთაგონებით არ ხერხდება, ხალხი, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, თავისთავად მუდამ იქეთ იქცევს პირს, საიდანაც მზე სხივს ჰფენს და ღვივის. საქართველო წარსულში ორიენტაციას ყოველთვის იქეთ მიმართავდა ხოლმე, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. შემცდარია, ვინც ფიქრობს, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდეს საქართველოს აქეთ და იქეთ მიბრუნება. სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოსაც მზესუმზირასავით თვალი იქეთ ეკავა, როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა, აზრი მისკენ გვექონდა, პეტრე დიდისა და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუნებურად მან წარიტაცა ფიზიკის კანონით. როცა სხვადასხვა ძალა ერთ და იმავე საგანს თავისკენ უქაჩავებს, ამ საგნის მდებარეობას სწყვეტს მეზრძოლი ძალების უძლიერესობა, საგანს, უნდა თუ არ უნდა, ყოველთვის მომრევი გადითრევს.” [22, გვ.337] ნ. ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ვაჭრობა აღებ-მიცემობის განვითარების პროპაგანდას ეწეოდა. ვაჭრობა იმ ბერკეტად მიაჩნდა, რასაც უნდა შემოებრუნებინა მრეწველობა, განევითარებინა ადგილობრივი სოფლის მეურნეობა, წინ წაეწია საზოგადოება და

გაემლიერებინა ეკონომიკა. დიდ ნიკოს ყველაფრისადმი მეცნიერული მიდგომა ჰქონდა და ქვეყნის პრიორიტეტად მეცნიერების გამოცხადება მიაჩნდა. ქართველ მოაზროვნეთაგან იგი ერთ-ერთი პირველია, რომელმაც წინა პლანზე წამოსწია პრაქტიკული საკითხები, ერის განვითარებაში საკუთარი წარმოების აღორძინების აუცილებლობა, ეროვნული ვაჭრობისა და ეროვნული მრეწველობის განვითარება, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა, მეზობელ ქვეყნებთან კავშირის გაუმჯობესება, საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის გადამწყვეტ ფაქტორად ნ. ნიკოლაძე სამამულო მაღალ განვითარებული ეკონომიკის ჩამოყალიბებას ასახელებს. “ამ გასაჭირში, როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი, წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა, უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოეთს ვთხოვდეთ საყიდ საქონელს”. [23, გვ 405]

ნიკო ნიკოლაძეს აწუხებდა ის აზრი, რომ “ახალი თაობა” არ ცნობდა ხალხის პრაქტიკულ საჭიროებას, არ იცოდა და ვერც ეჩვეოდა ერთად, შეერთებულ შრომას, ერთ რაზმში მხარდამხარ დგომას. სწორედ მან, “თერგდალეულთა” “უკანასკნელმა მოჰიკანმა,” მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს გათავისუფლებასა და თავისუფალი რესპუბლიკის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, როგორც დეპუტატმა, როგორც დიპლომატმა, როგორც ფინანსისტმა და ეკონომისტმა, როგორც მებრძოლმა ჟურნალისტმა, როგორც მეწარმემ და როგორც ახალი, დიდი და მასშტაბური პროექტების ავტორმა და შემოქმედმა.

ნიკო ნიკოლაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა თურქეთთან და გერმანიასთან მოლაპარაკებაში, რასაც მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება დემოკრატიულ რესპუბლიკად და ამ სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება.

ნიკოლაძე წარმოდგენილი იყო საქართველოს მაშინდელ პარლამენტში. იგი ხმალამოღებული იბრძოდა ქვეყნის გადარჩენისათვის. ამისთვის მას თავისი ხედვა და გეგმა ჰქონდა. ნიკოლაძეს კარგად ესმოდა, რომ სოციალისტური წყობა, რომელიც დემაგოგიურ პრინციპებს ეფუძნებოდა, განწირული იყო დასალუპად. დიდი მოაზროვნე ამტკიცებდა, რომ “ყოველ დროს თავისი საქმე და საჭიროება აქვს, ნაადრევი ყველაფერი დღენაკლულია!.. სანამ არ შეიქმნება დემოკრატიის

ეკონომიკური და პოლიტიკური წანამდგრები, მანამ მდგომარეობა არ შეიცვლება და არ გაუმჯობესდება, ...”. [24, გვ.497]

ნიკო ნიკოლაძე ეჭვქვეშ აყენებდა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობის ჩამოყალიბების შესაძლებლობებს. მისთვის მიუღებელი და არარეალური, ქვეყნისათვის დამლუპველიც კი იყო “სოციალ-დემოკრატების ყველაზე თამამი და დღემდე არსად არ განხორციელებული იდეალი სიმდიდრის კოლექტიური წარმოება, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული საშუალება...” მას მიაჩნდა, რომ “საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა, ხალხის პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლებით, მისი ზნეობრივი და გონებრივი განვითარების წყალობით უნდა მოხდეს.” [25, გვ. 279]

დიდ რეფორმატორს საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა და გაძლიერება მიაჩნდა უპირველეს პრიორიტეტად.

ნ. ნიკოლაძე ამტკიცებდა, რომ ქვეყნის გაძლიერებისათვის აუცილებელია ბაქო-ბათუმისა და გროზნო-ფოთის ნავთობსადენის მშენებლობა ისე, რომ ორივე ნავთობსადენმა აუცილებლად გაიაროს საქართველოს ტერიტორიაზე. მისი სიტყვით: “ჩვენ უნდა გავაკეთოთ მილი გროზნომდის იმისთვის, რომ ბაქოს სათამაშონი არ გავხდეთ, როგორც დღეს ვართ.” [26, გვ.173]

საფუძვლიანი გამოდგა ნიკო ნიკოლაძის შიში. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა იარაღით დაიპყრო საქართველო, მოახდინა მისი ხელახალი ოკუპაცია და ანექსია.

რუსეთის იმპერიის ნგრევის შედეგად 1918 წელს აღმოცენებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დასავლური ორიენტაციისა იყო. მათ მიერ გატარებული რეფორმებიც ამას ადასტურებდა. აღარაფერს ვამბობთ იმდროინდელ მსოფლიოში ერთ-ერთ სანიმუშო კონსტიტუციაზე.

საქმეში ისევ, ჩვენნაირი პატარა და ჩამოყალიბებული სახელმწიფოსთვის, ნაკლებად ანგარიშგამწევი ფაქტორი – საერთაშორისო პოლიტიკა ჩაერთო, რომელმაც დემოკრატიული ღირებულებების დამცველი საქართველო რუსეთის გავლენის სფეროდ გამოაცხადა. ეს კი ევროპული კარების კიდევ ერთხელ მიხურვას და გაწითლებული რუსული იმპერიის ნაწილად ქცევას ნიშნავდა.

XX საუკუნის ბოლოს “ცივი ომის” დასრულებას მსოფლიოში ახალი წესრიგის ჩამოყალიბება მოჰყვა. ამ პროცესმა პოლიტიკურ რუკაზე ახალი სახელმწიფოები გააჩინა, რომელთა შორის საქართველოც აღმოჩნდა.

ახალი გეოპოლიტიკური ერის დასაწყისში, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ ზუსტად განისაზღვრა გეოპოლიტიკური მოძრაობის დაწყების მეთოდოლოგია და საშუალებები. ამის ნათელი დადასტურებაა დღევანდელი საქართველოს გეოპოლიტიკური წინსვლა და პრაქტიკულად იგივე პრობლემები, რასაც პირველი პრეზიდენტი წააწყდა. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობა გაცილებით იმედისმომცემია, ვიდრე იმ დროს, ვინაიდან საქართველო 1990-იანი წლების დასაწყისში აბსოლუტურად მარტო აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. ახლა საქართველო დასავლეთის დემოკრატიული სამყაროს დიდი მხარდაჭერით სარგებლობს და შეიძლება ითქვას, განისაზღვრა ჩვენი ადგილი და როლი არსებულ გლობალურ გეოპოლიტიკაში. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა სტრუქტურირებული ხდება ახალ მსოფლიო წესრიგში. ზვიად გამსახურდიას მიერ იმპერიის წინააღმდეგ მოთხოვნების დინამიკას თუ მივყვებით აღმოვაჩინებთ, რომ იმ პერიოდში დასავლეთი მზად არ იყო განესაზღვრა საბჭოთა რესპუბლიკების ბედი და დაინტერესებულიყო ამ რესპუბლიკების გეოპოლიტიკური მოძრაობებით. ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დაწყებული მოძრაობები დაფიქსირებულიყო როგორც სამხრეთ კავკასიაში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ მოქმედებების სიმძიმე საქართველომ და მისმა ლიდერმა საკუთარ თავზე აიღო. დასავლეთი ამ შემთხვევაში განზე გადასა. სამხრეთ კავკასიაში ამის მედროშედ საქართველო და მისი ლიდერი ზვიად გამსახურდია გამოვიდა, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში - ჩეჩნეთის რესპუბლიკა. ამ ყველაფრის მოთავე თავად პირველი პრეზიდენტი იყო. ვერ ვიტყვით, რომ ეს ყველაფერი იმ დღის პოლიტიკას ემსახურებოდა მხოლოდ. ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით ყველა ის საკითხი, რომელიც ზ. გამსახურდიას მიერ წინა პლანზე იყო წამოწეული, ასევე აქტუალურია დღესაც.

ახლადშობილი ქართული სახელმწიფო მნიშვნელოვანი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ეს პრობლემები გამოიხატა 1991-1992 წლებში კანონიერი ხელისუფლების დამხობით, ორი ეთნო-კონფლიქტის გაჩაღებით, რასაც მოჰყვა საქართველოს

ტერიტორიის დაახლოებით 20%-ის ფაქტობრივი ანექსია რუსეთის მიერ, ეკონომიკური პრობლემები, კორუფციის არნახული მასშტაბები და სხვა პრობლემები. ცხადია, ამ სიძნელეების ერთ-ერთი ძირითადი “შემოქმედი” რუსეთი იყო, რომელიც ვერ ეგუებოდა ტრადიციული გავლენის სფეროების შემცირებას.

აი, ამ ფონზე, 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება დასავლეთთან აქტიური ურთიერთობები. თანამშრომლობა ნატოსთან, ევროკავშირსა და ეუთოსთან.

ამ პერიოდშივე ყალიბდება საქართველოს ფუნქციის კონტურები XXI საუკუნეში, რომელიც შემდგომში გარდაისახა სხვადასხვა ტიპის საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის პროექტებში, იყო ეს ბაქო-სუფსა-ჯეიჰანის ნავთობსადენი, თუ ბაქო-თბილისი-ერზუმის გაზსადენი. ამას თან დაერთო აშშ-თან სტრატეგიული თანამშრომლობა სხვადასხვა სფეროში, ხოლო 90-იანი წლების პროდასავლური ორიენტაციის სიმბოლურ დაგვირგვინებად შეიძლება მივიჩნიოდ 1999 წელს საქართველოს ევროსაბჭოში მიღება. ეს იყო ჩვენი ქვეყნის არაერთი თაობის სურვილი და ოცნება ევროპასთან, დასავლეთთან კავშირისა.

ეს სურვილი უფრო მკვეთრად გაჟღერდა 2003 წლის შემდეგ და ახალი ხელისუფლების მიერ გამოითქვა სურვილი დასავლეთისკენ სწრაფვის ტემპების გაზრდისა. მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომმა ეს პროცესები შეანელა და ჩვენი საზოგადოება კიდევ ერთხელ დააფიქრა არჩევანზე. დღეს ჩვენი მდგომარეობა ასეთია: ერთი მხრივ, ჩვენ არ გვსურს ჩვენი აგრესიული “უფროსი ძმის” წიაღში, რომელმაც მრავალი ზიანი მოგვაცენა ახლო თუ შორეულ წარსულში, ხოლო მეორე მხრივ ვერ ვაბარებთ “გამოცდებს” რათა დაჩქარდეს ევროპულ ოჯახში დაბრუნება.

1.2. გეოპოლიტიკის და გეოეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება

კაცობრიობა ისევ აღმოჩნდა ისეთ ეპოქაში, როცა პოლიტიკური ფაქტორები დომინირებენ ეკონომიკურზე. პოლიტიკის პროგნოზირება შესაძლებელია თუკი გაგებული იქნება ის წინააღმდეგობები რომლის ფონზეც პოლიტიკოსებს უწევთ მოქმედება. გეოპოლიტიკა შეისწავლის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში გეოგრაფიული ფაქტორის როლს და მის გავლენას ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბებაზე. გეოპოლიტიკის, როგორც საგარეო პოლიტიკური პრაქტიკის,

მთავარი მიზანია სახელმწიფოს გეოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, ე.ი. გეოპოლიტიკის მთავარი მიზანი - ეს არის ნებისმიერი ქვეყნის გეოსტრატეგიის შემუშავება. გეოპოლიტიკური მიდგომის სინთეზური შესწავლა გულისხმობს ნებისმიერი ქვეყნის ან რეგიონის გეოგრაფიულ, ეკონომიკურ, სოციალ-პოლიტიკურ, სამხედრო, დემოგრაფიულ, და ქვეყნის სხვა სიძლიერის განმსაზღვრელ ფაქტორთა კომბინირებულ შესწავლას და შეფასებას [111, გვ.7].

ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობის შეფასებისას უდიდესი ყურადღება ექცევა როგორც გეოგრაფიულ ფაქტორს, ასევე ეკონომიკურ და სტრატეგიულ პოზიციებს, ქვეყნის წარსულს, მის მეზობელთან ამ ქვეყნის ნებისმიერ ურთიერთობას, მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონში არსებულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას.

XX საუკუნის ისტორიამ უდიდესი გავლენა იქონია არაერთი დიდი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის განვითარების თავისებურებაზე. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც რუსეთის სახელმწიფო გეოპოლიტიკური "რეგალიების" ცვლა და დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყნის გეოპოლიტიკური ფაქტორების განვითარების თავისებურებები. [48 გვ. 28]

გეოპოლიტიკის, როგორც სრულფასოვანი სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბებას მნიშვნელოვნად შეუწყეს ხელი მე-19 საუკუნის გერმანული ორგანიზაციული სკოლის მოაზროვნე წარმომადგენლებმა, გეოპოლიტიკური სწავლების ფუძემდებლებმა: ჰაუსჰოფერმა, რატცელმა, მაკინდერმა და სხვებმა. ამ სამეცნიერო მიმართულების ძირითად მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში და მისი განვითარების განსხვავებულ ფაზებში ჩართული მთელი რიგი ფაქტორების ანალიტიკური შესწავლა. ამ მოსაზრების გასამყარებლად შეიძლება ხაზი გავუსვათ ქვეყანათა გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობას, რამდენადაც მდებარეობა არსებით გავლენას ახდენს სახელმწიფოს ფორმირების და მის მიერ პოლიტიკური ჰეგემონიის მოპოვებაზე. ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით გეოპოლიტიკა, როგორც სრულფასოვანი სამეცნიერო დისციპლინა შეისწავლის ყოველგვარი ფაქტორების არსებით მნიშვნელობას, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული ქვეყნის ადგილს მსოფლიო რუკაზე და მათ

მიერ გავლენის სფეროების მოპოვება-გაფართოების შესაძლო პერსპექტივებს და ზოგადად განვითარებისთვის ხელსაყრელ სტრატეგიულ მოცემულობებს. [111]

გავრცელებული ტენდენციის თანახმად, სახელმწიფოთა ტიპოლოგია განისაზღვრება მათივე სტატიკური გეოგრაფიული მდებარეობის საფუძველზე. გეოპოლიტიკა სახელმწიფოებს განასხვავებს და შესაბამისად ამსგავსებს მათი საზღვაო და კონტინენტური ანუ სახლემეთო ხასიათის სპეციფიკით. ისინი ერთმნიშვნელოვნად განეკუთვნებიან წმინდა გეოგრაფიულ კატეგორიებს, რომლებიც ზემოქმედებენ ქვეყნის ადგილობრივი მოსახლეობის ნაციონალური ტიპისა და მათი ცივილიზაციური მისიის ჩამოყალიბებაზე.

ცივილიზაციური მისიის ცნების ქვეშ მოიაზრება ცალკეულ ადამიანთა იზოლირებული ერთობის მიერ ნაციონალური თვითიდენტიფიცირება და კულტურული იდენტობის შეგნება, რომელიც დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაციის დადგენაზე. გამოთქმული მოსაზრების არგუმენტირებისათვის შეიძლება მივმართოთ დღევანდელ მსოფლიო მოვლენებს, რომელიც მწვავედ დაპირისპირებულ ცივილიზაციებს, სხვა სიტყვებით, ცივილიზაციათა ომს ასახავს. განსხვავებული რელიგიურ-კულტურული და ცივილიზაციური კუთვნილების ნიადაგზე სამხედრო კონფლიქტების გაჩაღების პოტენციურ შესაძლებლობაზე აღნიშნავს ამერიკელი პროფესორი სამუელ ჰანტინგტონი, რომელიც ორ განსხვავებულ ცივილიზაციათა დაპირისპირებას შემდეგი ფრაზით აღწერს: "The West and the Rest" (დასავლეთი და დანარჩენები). [107, გვ.30; 109, გვ.17] მიგვაჩნია, რომ გამოთქმული ფრაზა ცხადად დასტურდება დღევანდელით, რომელიც დასავლური ცივილიზაციის ჰეგემონიასა და მასთან დაპირისპირებული ქვეყნების მსოფლიო რეალობას წარმოაჩენს საპირისპიროდ ფრენსის ფუკუიამას მიერ განვითარებული მოსაზრებებისა, [86, გვ.101-103] რომლებიც გლობალიზაციის შედეგად ნაციონალურ იდენტობათა მრავალგვარობის წაშლას წინასწარმეტყველებენ. ერთ-ერთი ასეთი რუსეთია. რუსი მეცნიერი ალექსანდრე დუგინის აზრით ანტიდასავლურმა ორიენტაციამ მსოფლიოს დაბალანსების, ძალთა წონასწორობის აღდგენისა და შენარჩუნების საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. მსოფლიო ბალანსის აუცილებლობიდან იღებს სათავეს ისეთი გეოპოლიტიკური პროექტები, რომლებიც რუსეთის

პირდაპირი მეთაურობით ანტიამერიკული ორიენტაციის ქვეყანათა გაერთიანებას ისახავს მიზნად. მსგავს გაერთიანებას საფუძვლად უნდა დაედოს “საერთო მტრის” პრინციპი, უნდა შეიქმნას იმ სახელმწიფოთა მყარი პოლიტიკური ალიანსი, რომლებსაც საკუთარი ნაციონალური იდენტობის გადარჩენა დასავლურ სამყაროსთან ეფექტური წინააღმდეგობის გზით წარმოუდგენიათ [215, გვ.384; 216 გვ.126]. “საერთო მტრის ძირითადი პრინციპიდან გამომდინარე, რუსეთი უნდა მიისწრაფოდეს სტრატეგიული ალიანსისკენ სწორედ იმ ქვეყნებთან, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან ატლანტიკური ზესახელმწიფოს (აშშ) პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზეწოლას, აქვთ ატლანტიზმის საწინააღმდეგო გეოპოლიტიკური პროექტების ისტორიული ტრადიცია, ფლობენ საკმარის ტექნოლოგიურ და ეკონომიკურ ძალას, რათა იქცნენ ახალი ბლოკის ძირითად გეოპოლიტიკურ რეალობად”. [193, გვ. 45]

აღმოსავლეთში შესაძლებელია ჩამოითვალოს რამოდენიმე ქვეყანა, რომლებიც მკვეთრად გამოხატულ ანტიატლანტისტურ პოლიტიკას ატარებენ. მათ რიცხვს განეკუთვნებიან: ირანი, ერაყი, ავღანეთი, პალესტინა და სხვა პოტენციური ანტიდასავლური ძალები, რომლებიც ისლამური და აღმოსავლური კონტინენტური სივრცის სოლიდურ ნაწილს შეადგენენ. მათი რელიგიური ცნობიერება და თვითგანსაზღვრა, წარმოადგენს დასავლურ ღირებულებათა სისტემისგან ძირეულად და არსობრივად განსხვავებულ მოვლენას, რომლებმაც უკანასკნელ წლებში მკაფიოდ ანტიამერიკული ფორმები მიიღეს. ნებისმიერი ზემოთხსენებული მასშტაბური პოლიტიკური ალიანსის ახალი პროექტი უნდა ეფუძნებოდეს დასავლური სამყაროს წინააღმდეგ გაერთიანების აუცილებლობის გააზრებას, რომელიც რუსი მოაზროვნე დუგინის აზრით ერების გადარჩენის უალტერნატივო პირობაა [198, გვ.20-58; 77, გვ.15]. კითხვა, იმის შესახებ, თუ რამდენად ექვემდებარება ესა თუ ის გეოპოლიტიკური პროექტი განხორციელებას, წარმოადგენს ახალი მსჯელობის საგანს, რომლის განხილვა ამჯერად ჩვენი მიზანი არ არის.

გეოეკონომიკის კონცეფციის ავტორი ჟ. ატალი თვლის, რომ ცივი ომის შემდეგ გეოპოლიტიკა გეოეკონომიკით შეიცვალა და იგი თანამედროვე საერთაშორისო სისტემის მთავარი მოდელია [50, გვ.58]. გეოეკონომიკა განისაზღვრება როგორც გეოპოლიტიკის განსაკუთრებული ვერსია, რომელიც პრიორიტეტულად მიიჩნევა

არა გეოგრაფიულ, კულტურულ, ეთნიკურ და ა.შ. ფაქტორებს, არამედ სივრცესთან დაკავშირებულ წმინდა ეკონომიკურ რეალობებს. გეოეკონომიკა მსოფლიო განვითარების საფუძველს ხედავს იმაში, თუ სად იქნება განლაგებული მსოფლიო ბირჟების ცენტრები, სასარგებლო წიაღისეული, საინფორმაციო ცენტრები, მსხვილი საწარმოები და სხვ. [11, გვ.51]

ფრანგმა მეცნიერმა და პოლიტიკოსმა პასკალ ლოროტმა ამერიკელ ეკონომისტ ედუარდ ლატვოკთან ერთად განავითარა გეოეკონომიკა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელი მეცნიერების ერთ-ერთი დარგი. „პ. ლოროტი იძლევა გეოეკონომიკის, როგორც გეოპოლიტიკის შემადგენელი ნაწილის ვრცელ დახასიათებას. პ. ლოროტი სათავეში ედგა საფრანგეთის გეოეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტს 2003 წლიდან. აი რას წერს იგი გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის კავშირზე: "გეოეკონომიკა შეისწავლის და აანალიზებს გარკვეულ პოლიტიკურ პირობებში სახელმწიფოთა მიერ არჩეულ ეკონომიკურ (განსაკუთრებით სავაჭრო) სტრატეგიებს, რომლებიც მიმართულია: საკუთარი ეკონომიკის ან მისი ცალკეული სექტორის დასაცავად; მსოფლიო ბაზრის გარკვეული სეგმენტის დაპყრობისა თუ გაკონტროლებისკენ; ტექნოლოგიების შესაძენად ნაციონალური ეროვნული საწარმოების დასახმარებლად. ყოველივე ეს ემსახურება სახელმწიფოს თუ ნაციონალური საწარმოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას, საერთაშორისო გავლენის გაზრდას და ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის გაძლიერებას" [110, გვ.20]

უკრაინელი პროფესორის, ვლ. დერგაჩოვის მიხედვით – „გეოეკონომიკა (ინგლ. „Geo-economics“) არის ახალი გეოპოლიტიკა (გეოპოლიტიკური ეკონომიკა) სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების პოზიციიდან. იგი უზრუნველყოფს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევას და ემსახურება ეკონომიკური გზებით მსოფლიო თუ რეგიონული მასშტაბით გავლენის სფეროების მოპოვებას.“ [197, გვ. 512]

1990-იან წლებში ევროპამ გეოპოლიტიკის მაგივრად ძირითადი პრიორიტეტი "გეოეკონომიკას", "ახალი ერის" დადგომას მიანიჭა, სადაც კოლოსალური და მაღალწარმოების უნარიანი ევროპა აშშ-ს გაუწევდა კონკურენციას. ევროპამ შეამცირა სამხედრო ხარჯები და ჩათვალა, რომ "უხეში მუშტის" მაგივრად "რბილი ხელთათმანების" ეპოქა დადგა, ხოლო ევროკავშირი მომავალში მსოფლიო

პოსტმოდერნიზმის “ზესახელმწიფოდ” გადაიქცეოდა. გარკვეულ პერიოდში, როდესაც რუსეთი პოლიტიკურად დაუძღვრებელი იყო, იქმნებოდა ილუზია, რომ ევროპული პოლიტიკა შედეგიანად მუშაობდა. ევროპა აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის მიმზიდველი იყო. თუმცა, ევროკავშირის გაფართოება დღეისთვის შეფერხდა, შეიძლება ითქვას შეჩერდა და არა იმიტომ, რომ ევროპელებს არ სურთ საკუთარ სახლში თურქეთის, ან სხვა ახალი სახელმწიფოების მიღება, არამედ იმიტომ, რომ მათ კვლავ გაუჩდათ გაძლიერებული რუსეთის შიში.

ევროპელებმა გააცნობიერეს, რომ აღმოსავლეთით გაფართოების ფონზე ისინი წააწყდნენ “ახალ აღმოსავლურ”, უფრო სწორედ ”ძველ აღმოსავლურ” პრობლემას, რაც გულისხმობს რუსეთის მრავალსაუკუნოვან დაპირისპირებას მის მეზობელ სახელმწიფოებთან. აღნიშნული საკითხი არ წარმოადგენდა პრობლემას, როდესაც რუსეთი სუსტი იყო და დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვოდა. დღეისათვის ნავთობის ხარჯზე გამდიდრებული, ამბიციური რუსეთი აღარ აპირებს ევროპასთან ინტეგრირებას, მისი მიზანი ზესახელმწიფოს სტატუსის დაბრუნება გახდა.

არ არის რთულად წარმოსადგენი, რა სახის კონფრონტაციის დაწყების პროვოცირება შეუძლიათ რუსეთ-ევროპის საზღვარზე არსებულ პოლიტიკურად არასტაბილურ რეგიონებს. საქართველოს მთავრობასა და სეპარატისტულ რეჟიმებს შორის არსებულმა კონფლიქტებმა, რომლებსაც რუსეთი უჭერს მხარს, შესაძლოა ბიძგი მისცეს ახალ სამხედრო დაპირისპირებას თბილისსა და მოსკოვს შორის. “პოსტმოდერნისტული ევროპა”, ყველანაირად შეეცდება თავიდან აიცილოს კრემლთან მოსალოდნელი მწვავე კონფრონტაცია. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად შეძლებს აშშ-ს ადმინისტრაცია კრემლის ამჟამინდელი მმართველობის შეჩერებას ისე, რომ საკუთარ გლობალურ ინტერესებს, ბირთვული განიარაღების, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლისა და ირანის ბირთვული პროგრამის საკითხებში, რუსეთთან სამომავლო პოლიტიკურ თანამშრომლობას ზიანი არ მიაყენოს.

რუსეთის დაპირისპირება უკრაინასა და საქართველოსთან მსოფლიოში ახალი ეპოქის დადგომას მისცემს დასაბამს, უფრო ზუსტად კი შეეცდება აღადგინოს “ცივი ომის” ეპოქა. დასავლეთში დღემდე ბევრს სურს დაიჯეროს, რომ ჩვენ

„გეოეკონომიკის ერაში“ ვცხოვრობთ, თუმცა როგორც ჩანს, რუსეთისთვის ხსენებული ერა ახლო პერსპექტივაში ჯერ კიდევ შორსაა.

ჩვენი აზრით, გეოეკონომიკა მაინც არ არის გეოპოლიტიკის ტრანსფორმაციის შედეგად მიღებული საერთაშორისო სისტემის პოლიტიკური მოდელი და არც მხოლოდ გეოპოლიტიკის შემადგენელი ქვედარგი. ეს ერთი მხრივ მისი არსის გამარტივება იქნებოდა და მეორე მხრივ, გეოპოლიტიკას, როგორც მეცნიერებას დაუკარგავდა თავის ფუნქციას. ისევე, როგორ ეკონომიკასა და პოლიტოლოგიას, მიუხედავად ერთმანეთთან მჭიდრო კავშირისა კვლევის საკუთარი არეალები გააჩნიათ, ასევე გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკას აქვთ შესწავლისა და გამოყენების თავიანთი სფეროები, რომლებსაც შესაძლოა გააჩნდეთ უამრავი გადაკვეთის წერტილი სივრცესა და დროში და ქმნიდნენ ერთიან ზღვრულ საკომუნიკაციო სივრცეს.

1.3. გლობალიზაცია და დეგლობალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში:

საქართველო-ევროპის ურთიერთობის კონტექსტი;

გლობალიზაციის ფენომენი ფართო, ცვალებადი და მრავალფეროვანია, ამიტომ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მისი ისტორიული ბუნების, მამოძრავებელი ძალების, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე მისი ზემოქმედების შედეგების შეფასების თვალსაზრისით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტებით, ეკონომიკის გლობალიზაცია გულისხმობს ეროვნულ საზღვრებს მიღმა საქონლისა და მომსახურების მზარდი ნაკადების მოძრაობისა და შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირების პროცესს, რათა სათანადოდ იმართებოდეს საერთაშორისო ეკონომიკური გარიგებების სულ უფრო მზარდი ქსელი. [185, გვ.70]

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მთავარი ეკონომისტის შ. იუზუფისა და ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის ჯ. სტიგლიცის განმარტებით, გლობალიზაცია ნიშნავს სულ უფრო მჭიდრო ინტეგრაციას სავაჭრო, კაპიტალისა და იდეების ნაკადების ზრდისა და ტრანსნაციონალური კომპანიების საინვესტიციო საქმიანობის გავლენით საერთაშორისო საწარმოო ქსელების ჩამოყალიბების შედეგად. [186, გვ. 235]

კანადის საიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტის ეკონომიკის დეპარტამენტის პროფესორი რიჩარდ გლენ ჰარისი მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია არის საქონლისა და მომსახურების წარმოების, დისტრიბუციისა და მარკეტინგის მზარდი ინტერნაციონალიზაცია. [103, გვ. 755]

თანამედროვე ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში, რომელიმე რეგიონული თუ საერთაშორისო ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო კავშირები არ შეიძლება იყოს მხოლოდ ძლიერი, მდიდარი ქვეყნების კავშირის გაერთიანება. მეორე მხრივ, რეგიონულ ალიანსში, ვთქვათ, ევროკავშირში გასაერთიანებლად აუცილებელია ეკონომიკური და პოლიტიკური (დემოკრატიის თვალსაზრისით) განვითარების გარკვეული დონის მიღწევა, მაგრამ ეს დონე არ უნდა იყოს გაუმართლებლად მაღალი. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების საშუალო ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება, მაგრამ სულ სხვა სიდიდეს განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების, როგორც ერთი მთლიანობის საშუალო მაჩვენებელი. ამ მაჩვენებელმა ძალიან რომ არ დააზარალოს (დაამახინჯოს) განვითარებადი ქვეყნების რეალური დონე და გაუმართლებლად არ შეაღამაზოს განვითარებადი (ჩამორჩენილი) ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი, განვითარებადი (მით უმეტეს ჩამორჩენილი) ქვეყნებისათვის აუცილებელია გარკვეული დონის მიღწევა. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია ცნობილი მეცნიერების პ. ჰერსტისა და გ. ტომპსონის მოსაზრება ევროკავშირის შესახებ: “ისეთი პოლიტიკის გარეშე, რომელიც ამ ქვეყნებს არ განავითარებს ისეთ დონემდე, რომ თავისუფლად შევიდნენ კავშირში, ევროკავშირი კვლავ დარჩება, როგორც მდიდარი ერების კლუბი”. [46, გვ. 279]

ძალიან ბევრი პრობლემაა მოსაგვარებელი ინსტიტუციონალური მოწყობის თვალსაზრისით. ეს პრობლემა ევროკავშირში დღემდე არ არის გადაწყვეტილი, რაც გამოიხატება ერი-სახელმწიფოებისა და ერთიანი ევროპის შექმნის პრობლემის სირთულეებით. აქ ძლიერად და ერთდროულად მოქმედებენ ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალები. თუ პირველი ძალები ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიან ერთიანი ევროპის შექმნისათვის, მეორენი – პირიქით, აპრობებენ ერი-სახელმწიფოების, კავშირში შემავალი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესების დაცვის აუცილებლობას: ცხადია, ეს ორი მისწრაფება ხშირ შემთხვევაში

ურთიერთსაწინააღმდეგო ხასიათისა და ქვეყნებს შორის ურთიერთობის ინტეგრაციისა და გლობალიზაციის საწინააღმდეგო ტენდენციებს წარმოშობს.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების აუცილებლობა ინტეგრაციული და გლობალიზაციური პროცესების განვითარებისა და სრულყოფის გარდუვალობას აპირობებს. ქვეყნებს შორის ურთიერთობაში ტრადიციებისა და ათასწლეულებში ჩამოყალიბებული სტერეოტიპების ძალა ჯერ კიდევ ძლიერია და როგორც ყველაფრიდან ჩანს, კიდევ დიდხანს, თუ სამუდამოდ არა, შეინარჩუნებს წამყვან პოზიციებს სახელმწიფოთა ურთიერთობებში.

საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციიდან იკვეთება, რომ ინტეგრაცია და დეინტეგრაცია, გლობალიზაცია და დეგლობალიზაცია ნაწილისა და მთელის, ცალკეულისა და მთლიანის დიალექტიკურ ურთიერთობაშია. ორივე ტენდენციას არსებობის თანაბარი უფლება აქვთ - ერთი ტენდენცია მეორეთი არასოდეს შეივსება, არამედ მუდმივად თანაირსებებენ, ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთს შეავსებენ. შეიძლება, ხან ერთმა ტენდენციამ მოიპოვოს პრიორიტეტული მდგომარეობა, ხან მეორემ, მაგრამ ასეთი თანაფარდობა მონაცვლეობითი იქნება და ამდენად ბუნებრივიც. ასეთი ურთიერთობა, ალბათ, ცალკეულ პერიოდებში, ტენდენციებს შორის ურთიერთობაში რევოლუციურ ნახტომებსაც არ გამოირიცხავს, როგორც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაგროვილი რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში ნახტომისებურად გადასვლის აუცილებლობას. ეს იქნება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაგროვილი ენერჯის „აფეთქება“. აღნიშნული კი საზოგადოებას, მის განვითარებას გადაიყვანს ახალ, უფრო მაღალ თვისებრიობაში, რომლის ფარგლებში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში განვითარდება საზოგადოება, სანამ ნიადაგი (პირობები) მომზადდება ახალი ნახტომისებური ცვლილებებისათვის.

ვფიქრობთ, საზოგადოების განვითარების, მისი სოციალურ –ეკონომიკური მოწყობის და პოლიტიკური ორგანიზაციის მთელი ისტორია სწორედ ზემოთ აღნიშნულს ადასტურებს. საფიქრებელია, რომ ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესები, როგორც საზოგადოების სოციალურ –ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები,

საზოგადოების განვითარების ზოგად კანონზომიერებათა კონკრეტული გამოვლინებაა განვითარების თანამედროვე ეტაპზე და უახლოეს პერსპექტივაში. ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პროცესების, როგორც შედარებით ყველაზე სრულყოფილი ფორმის – ევროკავშირის ფუნქციონირების დღევანდელი მდგომარეობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ვფიქრობთ, მეტ – ნაკლებად ადასტურებს ყოველივე ზემოთქმულს.

რეალურ ვითარებაში გლობალიზაცია ძირითადად ეკონომიკური ინტერესების დაახლოებით ხასიათდება. ამავე დროს ცალკეულ რეგიონებში ინტეგრაციის განვითარება ვერ მიმდინარეობს ისევე ჰარმონიულად, როგორც ეს ევროპაში ხდება. ჯერჯერობით მწვავედ დგას ცივილიზაციების თანაარსებობის საკითხიც. [15, გვ.35-46] შეიძლება გავიზიაროთ სამუელ ჰანტინგტონის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ევროპული ინტეგრაცია ებრაულ–ქრისტიანული ცივილიზაციების დაახლოების პროცესია [107, გვ.56]. ასევე საგულისხმოა 1999 წელს ჰელსინკის ევროპული საბჭოს მიერ თურქეთის კანდიდატ ქვეყნად აღიარების საკითხიც. თურქეთის ევროკავშირში გაერთიანებას ეწინააღმდეგებიან ერთი მხრივ ევროპის ქრისტიან–დემოკრატიული ტიპის პარტიები, მეორე მხრივ, თვით თურქეთის შიდა პოლიტიკური პროცესები, ისლამიზმისა და სეკულარიზმის ბრძოლა. [109, გვ.17]

1.4. ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიის განვითარების ეტაპები

ეკონომიკური ინტეგრაცია ეტაპობრივი პროცესია, რომელიც გარკვეული კანონზომიერებებით ხასიათდება. ეროვნული ეკონომიკების განვითარების წარმატება პირდაპირ არის დამოკიდებული ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნების მონაწილეობის ხარისხზე. მაკროეკონომიკური ეფექტების მნიშვნელობა, რომელიც დაკავშირებულია ინტეგრაციულ პროცესებთან, განსაზღვრავს მისი შესწავლის ინტერესს. ეროვნულ ეკონომიკებზე ინტეგრაციის ზემოქმედების შეფასება თეორიული და პრაქტიკული მიკროანალიზის აქტუალურ მხარეს წარმოადგენს. საქართველოსთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ პარტნიორებთან ინტეგრაციული კავშირების გაღრმავება–

განვითარებას. ინტეგრირებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების შედარებითი კომპლექსურ-სისტემური მაკროეკონომიკური ანალიზი გულისხმობს მათი განვითარების ტენდენციების გამოკვლევას, წარმოებისა და სავაჭრო ბალანსის სტრუქტურის, საინვესტიციო ნაკადების მასშტაბურობის, საწარმოო კოოპერაციის განვითარების, საემიგრაციო პროცესების, ეკონომიკისა და სოციუმების მდგომარეობის მრავალი სხვა პარამეტრისა და ინდიკატორის შეფასებას.

ეკონომიკურ საკითხებზე ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები მსჯელობდნენ. ქსენოფონტემ, პლატონმა და არისტოტელემ საფუძველი ჩაუყარეს ეკონომიკას, როგორც მეცნიერებას. ასე, მაგალითად, პლატონის ცნობილ “სახელმწიფოში” შემოტანილი იყო ბაზრის რეგულირების დღემდე განსჯის საგნად ქცეული ისეთი საზომები, როგორცაა “ფასის მერყეობის საზღვრები”. [207, გვ.438]

არისტოტელე თვლიდა, რომ გაცვლა ათანაბრებს მოთხოვნილებასა და არა დანახარჯებს [2, გვ.17]. უძველესი პერიოდის მოაზროვნეთა ცალკეული გენიალური აღმოჩენების მიუხედავად, პირველი წმინდა ეკონომიკური თეორიები მხოლოდ XVII ს.-ის ბოლოს გაჩნდა. ამ პერიოდში ბატონობდა ეკონომიკის ორი ძირითადი თეორიული მიმართულება: მერკანტილიზმი და ფიზიოკრატია. მერკანტილიზმი ინგლისში წარმოიშვა, რადგან ეს ქვეყანა კაპიტალიზმის გზას ყველაზე ადრე დაადგა. განასხვავებენ ადრინდელ და გვიანდელ მერკანტილიზმს. ადრინდელი მერკანტილიზმი [94, გვ.187] (უ. სტაფორდი, გ. სკარუფი) XV-XVI სს.-ში არსებობდა. მისი მქადაგებლებისთვის სიმდიდრის მთავარი წყარო ფასეულობათა ფლობით (ოქრო, ვერცხლი) განისაზღვრებოდა. მათი აზრით, აუცილებელი იყო ძვირფასი ლითონების უცხოეთში გატანის აკრძალვა. გვიანდელი მერკანტილიზმი (თ. მენი, ა. მონკრეტენი) XVII-XVIII სს.-ში არსებობდა და მისმა წარმომადგენლებმა პირველად გამოიყენეს აქტიური და პასიური სავაჭრო ბალანსის ცნებები. მათ აქტიური სავაჭრო ბალანსის მისაღებად საჭიროდ მიაჩნდათ ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია. [179, გვ.54-66] განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი პროფესიონალი ეკონომისტი, ფიზიკის დოქტორი და ანატომიის პროფესორი უ. პეტის [152, გვ.17-62] და გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსი ჯ. ლოკის მოსაზრებები. [217, გვ.35-40] [208, გვ.135-406]

მათ მიაჩნდათ, რომ სახელმწიფო მით უფრო მდიდარია, რაც მეტია სხვაობა გატანილი და შემოტანილი საქონლის ღირებულებას შორის. ისინი იბრძოდნენ ექსპორტის სტიმულირებისა და იმპორტის შეზღუდვისათვის პროტექციონისტული ზომების გამოყენების გზით. მერკანტილიზმის აღნიშნულ მიმართულებებს შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი სიმდიდრეს ოქრო-ვერცხლთან აიგივებდა და ფულის ფუნქციები მხოლოდ დაგროვების დონემდე დაჰყავდა, ხოლო მეორე სიმდიდრედ მიიჩნევდა ზედმეტ პროდუქციას, რომელიც უცხოეთის ბაზარზე ფულად უნდა გარდაქმნილიყო. იგი ფულში ხედავდა არა მარტო დაგროვების, არამედ მიმოქცევის საშუალებასაც.

მერკანტილიზმის წარმომადგენლები ყველა ერის სიმდიდრის მყარ საფუძველს ხედავდნენ ფულის დაგროვებაში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული სიმდიდრის საერთო ჯამი იზრდება მხოლოდ საგარეო ვაჭრობის წყალობით. აქ სიმდიდრის ზრდა თვალსაჩინოა, ვინაიდან საქონელი ერთ ქვეყანაში შეისყიდებოდა დაბალი ფასებით და მეორეში გაიყიდებოდა მაღალი ფასებით.

საგარეო ვაჭრობის პრინციპი ერთნაირად მისაღებია როგორც ადრეული, ისე გვიანი მერკანტილიზმისათვის. პირველისათვის დამახასიათებელია აქტიური ფულადი ბალანსი (ქვეყანაში შემოტანილი ფულის რაოდენობის გადამეტება ქვეყნიდან გატანილი ფულის რაოდენობაზე), ხოლო მეორისათვის – აქტიური სავაჭრო ბალანსი (ქვეყნიდან გატანილი საქონლის ღირებულების გადამეტება ქვეყანაში შემოტანილი საქონლის ღირებულებაზე). ისინი ეწინააღმდეგებოდნენ ქვეყნიდან ფულის გატანის აკრძალვას, რომელიც ხელს უშლიდა საგარეო ვაჭრობის განვითარებას. გვიანი მერკანტილიზმის მთავარ თეორეტიკოსს ინგლისში, თომას მენს (1571-1641) წიგნში «ინგლისის სიმდიდრე საგარეო ვაჭრობაში, ანუ ჩვენი საგარეო ვაჭრობის ბალანსი, როგორც ჩვენი სიმდიდრის რეგულატორი», სპეციალური თავი აქვს გამოყოფილი (თავი III), სადაც განხილულია ქვეყნის სიმდიდრის გადიდების გზები და საშუალებები. [211, გვ.10-12]

მერკანტილისტთა შემცვლელი ფიზიოკრატები (XVIII ს.-ის II ნახევარი) თვლიდნენ, რომ სიმდიდრის საფუძველს ქმნის სოფლის მეურნეობა, ხოლო

ეკონომიკის სხვა დარგები მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო შრომით და მიწიდან მიღებულ დამატებულ ღირებულებას გადაანაწილებს.

ფიზიოკრატების შეხედულებების განვითარებაში ყველაზე დიდი როლი შეასრულეს: ირლანდიელმა ვაჭარმა და ფინანსისტმა რ. კანტილიონიმ, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა და გამოიკვლია ბაზრისა და საბირჟო თამაშის – “იყიდო იაფად, გაყიდო ძვირად” ძირითადი პრინციპები; ფრანგმა დე გურნემ, რომელმაც გაახმაურა ეკონომიკური ლიბერალიზმის მთავარი პრინციპი – “დაე, ყველაფერი წავიდეს ისე, როგორც მიდის”, (ე.ი. სახელმწიფოს ჩარევის გარეშე); და პირველი დარგთაშორისი ბალანსის ავტორმა ფ.კენემ [191, გვ.14]. მისი განმარტებით, მიწათმოქმედი, რომელიც მიჰყიდის თავის ხორბალს ვაჭარს, სანაცვლოდ მიიღებს ფულს. ამ ფულს იგი გამოიყენებს გადასახადების გადასახდელად, მუშების ხელფასის ასანაზღაურებლად და საქონლის და მომსახურების შესაძენად. ვაჭარი, რომელიც ყიდის ხორბალს საზღვარგარეთ და იქ ყიდულობს სხვა საქონელს, ან ახდენს სხვისი საქონლის სხვა საქონელზე უშუალო გაცვლას, დაბრუნების შემდეგ ჩამოტანილ საქონელს ხელახლა ყიდის და ამ გაყიდვისაგან მიღებული ფულით ისევ ყიდულობს ხორბალს. დასახელებულ შრომაში ჩანს ფრანსუა კენეს განსაკუთრებული დამოკიდებულება ერის სიმდიდრესა და საქონლის ბრუნვის სიჩქარეს შორის კავშირურთიერთობის შესახებ. ერის სიმდიდრე არ განისაზღვრება ფულადი სიმდიდრის მოცულობით. ფულადი სიმდიდრე შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ერის სიმდიდრის საერთო მოცულობის გაზრდის ცვლილების გარეშე, ვინაიდან ეს სიმდიდრე ყოველთვის არსებობს სახელმწიფოში ან უშუალოდ ნაღდი სახით, ან საქონლის სახით, რომელიც მიმოქცევაშია. თანაც მათი ბრუნვის სიჩქარე დამოკიდებულია ამ საქონლის სიუხვეზე და მათ ფასზე.

ადამ სმიტმა წიგნში “გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ” (1776 წ.) განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შრომის დანაწილებას და ეკონომიკური საქმიანობის სპეციალიზაციას. [166, გვ.456]. სმიტმა პირველმა თეორიულად დაასაბუთა აბსოლუტური უპირატესობის (ან აბსოლუტური დანახარჯების) პრინციპი, რომელთა არსი მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების საფუძველია განსხვავება აბსოლუტურ დანახარჯებში. ვაჭრობა მოიტანს ეკონომიკურ ეფექტს, თუ საქონელს შემოვიტანთ იმ ქვეყნიდან,

სადაც დანახარჯები აბსოლუტურად ნაკლებია, ხოლო გავიტანთ იმ საქონელს, რომლის დანახარჯები მოცემულ ქვეყანაში უფრო დაბალია, ვიდრე საზღვარგარეთ.

მეორე კლასიკოსმა, დევიდ რიკარდომ თავის წიგნში “პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები”(1817) დაამტკიცა, რომ სახელმწიფოთა სპეციალიზაცია სარგებლობის მომტანია არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე ქვეყანას გააჩნია აბსოლუტური უპირატესობა მოცემული საქონლის წარმოებასა და განვითარებაში სხვა ქვეყნებთან შედარებით [158, გვ.527-538]. რიკარდოს აზრით, სრულიად საკმარისია, რომ ამ ქვეყანამ მოახდინოს იმ საქონლის ექსპორტი, რომელშიც მას გააჩნია შედარებითი უპირატესობები. ე.ი. მოცემულ საქონელთან მიმართებაში მისი ხარჯების თანაფარდობა სხვა ქვეყნის ხარჯებთან უფრო ხელსაყრელი იყოს, ვიდრე სხვა საქონელთან მიმართებაში.

შედარებითი უპირატესობის თეორია რეკომენდაციას უწევს ქვეყანას განახორციელოს იმ საქონლის იმპორტი, რომლის წარმოების დანახარჯებიც მოცემულ ქვეყანაში შედარებით უფრო მაღალია, ვიდრე ექსპორტირებული საქონლისა. ქვეყნების საერთაშორისო სპეციალიზაცია შედარებითი უპირატესობის საფუძველზე ხელს უწყობს ამ ქვეყნებში შრომითი რესურსების ეკონომიას საქონლის მოხმარების არსებული მოცულობის შენარჩუნების (ან გაზრდის) დროს.

საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიის შემდგომი განვითარება დაკავშირებულია 1920-იან წლებში შვედი ეკონომისტების ელი ჰეკშერის მიერ წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თეორიის შექმნასთან, რომელიც აღწერილი იქნა წიგნში “რეგიონთაშორისი და საერთაშორისო ვაჭრობა” (1933). ეს თეორია გამომდინარეობს წარმოების არა ერთი, არამედ ორი: შრომისა და კაპიტალის ფაქტორებისგან. ჰეკშერისა და ოლინის შეხედულებების მიხედვით, ყოველ ქვეყანას წარმოების ეს ფაქტორები სხვადასხვა დონეზე გააჩნია, რაც იწვევს მათი ფასების თანაფარდობის განსხვავებას იმ ქვეყნებში, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო ვაჭრობაში. კაპიტალის ფასია საპროცენტო განაკვეთი, ხოლო შრომის ფასი - ხელფასი.

შედარებითი ფასების დონე, ე.ი. ფასების თანაფარდობა კაპიტალსა და შრომაზე იმ ქვეყნებში, რომლებიც უფრო მდიდარია კაპიტალით, იქნება ნაკლები, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს კაპიტალის დეფიციტი და შედარებით მეტი

შრომითი რესურსი და პირიქით, ზედმეტი შრომითი რესურსების მქონე ქვეყანაში შრომასა და კაპიტალზე შეფარდებითი ფასების დონე იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რომლებიც მის ნაკლოვანებას განიცდიან. თავის მხრივ, ეს იწვევს ერთი და იმავე საქონელზე შეფარდებითი ფასების განსხვავებას, რომელზეც დამოკიდებულია ეროვნული შედარებითი უპირატესობა. წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თეორიის თანახმად, შეფარდებითი განსხვავებები მათ ფლობაში განსაზღვრავს ქვეყნების ცალკეული ჯგუფების საგარეო ვაჭრობის სტრუქტურას. კაპიტალით უფრო მდიდარი ქვეყნების ექსპორტში უნდა ჭარბობდეს კაპიტალტევადი საქონელი, ხოლო იმპორტში - შრომატევადი და პირიქით, შრომითი რესურსებით უფრო მდიდარ ქვეყნებში ექსპორტისას უნდა ჭარბობდეს შრომატევადი საქონელი, ხოლო იმპორტში - კაპიტალტევადი. [156, გვ.105]

წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თეორიამ მრავალჯერ განიცადა ემპირიული შემოწმება სხვადასხვა ქვეყანაში კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საშუალებით. ამასთან, ეკონომისტების მიზნად ისახავდნენ გაერკვიათ კორელაციური დამოკიდებულების არსებობა ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის კაპიტალით და შრომითი რესურსებით მდიდარი დარგების თანაფარდობისა და მათი ექსპორტისა და იმპორტის რეალურ სტრუქტურას შორის. ამგვარი სახის ყველაზე ცნობილი გამოკვლევა განხორციელებულ იქნა 1953 წელს რუსული წარმომავლობის მქონე ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ვ. ლეონტიევის მიერ. მან გააანალიზა აშშ-ს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა 1947 და 1951 წლებში. აშშ-ს ეკონომიკა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხასიათდებოდა კაპიტალის მაღალი სიმდიდრით და სხვა ქვეყნებთან შედარებით, შრომის უფრო მაღალი ანაზღაურებით.

წარმოების ფაქტორების თანაფარდობის თეორიის მიხედვით აშშ-ს უნდა მოეხდინა უპირატესად კაპიტალტევადი საქონლის ექსპორტი და უპირატესად შრომატევადი საქონლის იმპორტი. ვ. ლეონტიევმა განსაზღვრა კაპიტალისა და შრომითი ხარჯების თანაფარდობა, რომელიც აუცილებელია 1 მლნ. დოლარის ღირებულების საექსპორტო პროდუქციის წარმოებისთვის და იმავე პროდუქციის წარმოებისთვის იმპორტის მოცულობის ღირებულების მიხედვით. გამოკვლევის შედეგმა აჩვენა, რომ ამერიკული იმპორტი 30%-ით უფრო კაპიტალტევადი

აღმოჩნდა, ვიდრე ექსპორტი. ეს შედეგი ეკონომიკურ ლიტერატურაში ცნობილი გახდა “ლეონტიევის პარადოქსის” სახელით.

არსებობს “ლეონტიევის პარადოქსის” სხვადასხვა განმარტება. ჩვენი აზრით, ყველაზე დამაჯერებელი მათ შორის მდგომარეობს იმაში, რომ აშშ-მ სხვა განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებზე ადრე მიაღწია მნიშვნელოვან უპირატესობებს ახალი სამეცნიერო საქონლის შექმნაში. ამიტომ ამერიკულ ექსპორტში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქონელს, რომლის წარმოებაშიც კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე ხარჯები შეფარდებით მაღალია, ხოლო იმპორტში ქარბობს საქონელი, რომელიც კაპიტალის მაღალ ფარდობით ხარჯებს მოითხოვს, ნედლეულის სხვადასხვა სახეობის ჩათვლით. [76, გვ.3]

ლეონტიევის პარადოქსი გვაფრთხილებს პრაქტიკული მიზნებისთვის ჰეკშერ-ოლინის თეორიის დასკვნების გადაჭარბებულად პირდაპირ და გამარტივებულად გამოყენების მიზანშეუწონლობის შესახებ.

ეკონომიკური ინტეგრაციის თანამედროვე თეორია ეფუძნება ვაინერის (Viner (1950), [180, გვ.179-201] მიდის (Meade (1955), [125, გვ.25-43] ლიპსის (1957) [120, გვ.40-46], შრომებს, რომლებიც რეგიონულ სავაჭრო შეთანხმებაში შესვლის შედეგებს აფასებენ ვაჭრობისა და გადახრის სტატიკური ეფექტების თვალსაზრისით. იგი გვიჩვენებს, იზრდება თუ მცირდება ქვეყნის კეთილდღეობა მათ შორის საბაჟო კავშირის შესახებ შეთანხმების დადების შედეგად, რომელიც აუქმებს ტარიფებს ურთიერთ ვაჭრობაში. ბარიერების მოხსნა ზრდის ვაჭრობისგან მიღებულ სარგებელს იმ შემთხვევაში, თუ იმპორტი პარტნიორი ქვეყნიდან ანაცვლებს ნაკლებად ეფექტიან (დიდი დანახარჯების მქონე) შიდა მომმარაგებელს.

სავაჭრო კავშირების წევრი ქვეყნების კეთილდღეობაზე ზემოაღნიშნული ეფექტების ზეგავლენის ემპირიული გამოკვლევები დაფუძნებულია საერთო და ნაწილობრივი წონასწორობის მოდელებზე, ასევე ეკონომეტრიულ შეფასებებზე. ნაშრომების უმეტესობა (Winters (1985); [184, გვ.32-41] Harrison, Rutherford and Tarr (1996) [79, გვ.335-353]. [91, გვ.38-47]; Bakoup, Tarr (1998). [54, გვ.35-45] ეძღვნება ევროკავშირსა და განვითარებად ქვეყნებს შორის სავაჭრო შეთანხმებების ჩამოყალიბებას.

წარმოდგენილი კვლევის მიზნებისთვის განსაზღვრულ ინტერესს წარმოადგენს ის გამოყენებითი კვლევებიც, რომლებიც განიხილავენ დსთ-ს ქვეყნების საგარეო ვაჭრობაში ტენდენციებს საბაჟო კავშირის ჩამოყალიბების პერიოდში. მაგალითად, რ.გონსალესი და ჯ.ფ. არელი, საერთო წონასწორობის მოდელის დახმარებით იმის გაანალიზებისას, თუ რა შედეგს გამოიწვევდა საქართველოს საგარეო ვაჭრობისთვის მოცემულ რეგიონულ სავაჭრო ბლოკში შესვლა, მივიდნენ კეთილდღეობის დაკარგვის შესაძლებლობის დასკვნამდე. [87, გვ. 19-27].

თავის მხრივ, ჯ. ფრიდმუკმა და ფრიდმუკმა გრავიტაციული მოდელის გამოყენებით დაადგინეს, რომ ბელორუსია ვაჭრობს რუსეთთან, როგორც ძირითად პარტნიორთან საბაჟო კავშირის მიხედვით 40-ჯერ მეტად, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. [84, გვ.99]

კ. მაკალოპულოსის და დ. ტარის ნაშრომში - ნაწილაკების მოდელის საფუძველზე განხილულია რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია და თანამედროვე ტექნოლოგიების გაცვლა. [126, გვ.21-33] განიხილება სტატიკური ეფექტები, რომლებიც პარტნიორ ქვეყნებთან წარმოიშობა დსთ-ს ქვეყნების საბაჟო კავშირში მონაწილეობის შედეგად. კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ დსთ-ის წევრობას ზემოთაღნიშნული ქვეყნების რეგიონულ ვაჭრობაში მოჰყვება დანაკარგები როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე მომხმარებლისთვის.

ეკონომიკური ინტეგრაციის საკითხისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში, ტრადიციულად, სტატიკურის გარდა, გამოყოფენ დინამიურ ეფექტებს, ან სავაჭრო ბლოკში წევრობის გავლენას მწარმოებლურობასა და ეკონომიკურ ზრდაზე პარტნიორ ქვეყნებში. მოცემული ეფექტების გამოკვლევისთვის გამოყენებული მეთოდები განსხვავდებიან თეორიული მოდელების აგებულებისგან ეკონომეტრიული შეფასების ჩატარებამდე. თუმცა, როგორც აღნიშნულია მიკალოპულოსისა და ტარის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში, ზრდასთან დაკავშირებული ეფექტების დახასიათება უწინდებურად რთულია, ხოლო მათი გაზომვა უფრო დიდ სირთულეს წარმოადგენს.

რ. ბოლდვეინი და ა. ვენიბლსი ეკონომეტრიკულ შეფასებებთან არსებული მიდგომების მიმოხილვისას მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ისინი არასაკმარისად არის დამუშავებული. [56, გვ.89-121; 57, გვ.53-79.]

ეს გამოწვეულია იმით, რომ დინამიური ეფექტები, სტატიკურთან შედარებით საკმაოდ რთული მოვლენაა, რომელიც წარმოიშობა მთელ რიგ მიზეზთა გამო.

ჟ. ბრადამ და ჯ. მენდუზა ისინი ორ კატეგორიად დაყვეს: 1. დაკავშირებულია გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ზრდასთან, როგორც წარმოების ფაქტორების რაოდენობის გადიდების შედეგი; 2) იწვევს წარმოების ფაქტორების ერთობლივი წარმადობის ზრდას ბლოკს შიგნით ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შედეგად. ზრდის წყაროებს შორის ასევე შეიძლება დავასახელოთ: აგლომერაცია, მასშტაბის ეკონომია, წვერი ქვეყნების შემოსავლების კონვერგენცია და ა.შ. ყველა ამ მიზეზის მრავალფეროვნება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ზეგავლენის მოხდენა ზრდაზე იმ ქვეყნებში, რომელიც შედის სავაჭრო ბლოკში, ძნელად განისაზღვრება, თუ ჩვენ გამოვიყენებთ მხოლოდ ერთ რომელიმე მოდელს. [62 გვ. 163-168.] მათი მოდელი აღწერს ეკონომიკურ ინტეგრაციაში მონაწილეობის ზეგავლენას ახალი ტექნოლოგიებისა და საწარმოო ფაქტორების ვაჭრობის საშუალებით მიღების შესაძლებლობაზე, რომელიც ტექნოლოგიური ინოვაციების, ნოუხაუს და ა.შ. გამტარია. დ. კოემ და ე. ჰელპმანმა ანალიზებდნენ რა ეუთოს ქვეყნებში და რიგ განვითარებად სახელმწიფოებში წარმოების ფაქტორების წარმადობის ზრდის ტემპებს, გამოიყენეს მათ მიერ დამუშავებული კაპიტალის ინდექსი ცოდნის ფორმით, რომელიც გამოითვლება კვლევებსა და დამუშავებებში ჩადებული ინვესტიციებიდან. საწყისი გზავნილის სახით მათ დაადგინეს, რომ ვაჭრობის პროცესში ქვეყნებისთვის ხელმისაწვდომი ხდება ეგრეთ წოდებული ცოდნის აქტივები (აკუმულირებული ინვესტიციები კვლევებსა და დამუშავებებში) იმის პროპორციულად, თუ რამდენად მაღალტექნოლოგიურია იმპორტი.

გამოკვლევის შედეგებმა აჩვენეს დამოკიდებულების მაღალი დონე წარმოების ფაქტორების ერთობლივი წარმადობის ზრდისა და ცოდნის უცხოური ფონდისადმი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას შორის. [67, გვ.859-887.]

თავის მხრივ, ანდის პაქტში ბოლივიის, კოლუმბიისა და ეკვადორის მონაწილეობის შედეგების ანალიზისას დ. მადანიმ გამოავლინა, რომ შუალედური

საქონლის იმპორტი მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნებიდან, წვერი ქვეყნებიდან იმპორტისაგან განსხვავებით, ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. [124, გვ.27-36]

ბ. ხოუკმანმა და ს. დიანკოვმა ჩაატარეს სავაჭრო დინებების გეოგრაფიულ მიმართულებასა და ექსპორტის სტრუქტურის ცვლილებას, ხოლო ამის შედეგად - გამოშვებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობას შორის ურთიერთკავშირის გამოკვლევა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე. ანალიზმა დაადასტურა, რომ მოცემული ცვლილებები მნიშვნელოვნად აიხსნება წარმოების მაღალტექნოლოგიური ფაქტორების იმპორტით, რომელიც ევროკავშირიდან შემოდის. [92, გვ.471-487]

თავი 2. საქართველოს ეკონომიკის დახასიათება

2.1 ეკონომიკის საკანონმდებლო რეგულირება, რეფორმები და პოლიტიკა

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველო, ისევე როგორც პრაქტიკულად ყველა პოსტკომუნისტური სახელმწიფო, ეკონომიკური რეფორმების მანამდე უცნობ გზას დაადგა. საქართველოსათვის ეს პროცესი განსაკუთრებულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ, უპირველეს ყოვლისა, არაეკონომიკური ფაქტორების გამო. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, საქართველომ გადაიტანა როგორც სამამულო, ასევე სამოქალაქო ომები, კრიმინოგენული ვითარების უკიდურესად გამწვავება, ენერგეტიკული და სატრანსპორტო ბლოკადები, რევოლუცია და ა.შ.

საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის დაწყების დეკლარირების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ ოფიციალურად აღიარა ეკონომიკური რეფორმების დაწყება, მაგრამ სამწუხაროდ, არც გამოცდილება და არც გარემო ეკონომიკური რეფორმების ჩატარების შესაძლებლობას არ იძლეოდა.

ეკონომიკის რეფორმირების პირველი წლები საქართველოსათვის ტრაგიკული აღმოჩნდა. სახელმწიფო გადატრიალება 1991–92 წლების მიჯნაზე, სამამულო და სამოქალაქო ომები, საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური, სატრანსპორტო და ენერგეტიკული ბლოკადა, შესაბამისი კადრების ნაკლებობა, კორუფცია, მძიმე კრიმინოგენული ფონი მნიშვნელოვნად ართულებდა ეკონომიკის რეფორმირების ერთიანი, მწყობრი პოლიტიკის განხორციელებას.

ეკონომიკური რეფორმები რამდენიმე მიმართულებით უნდა განხორციელებულიყო. უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო დამოუკიდებელი ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტების, მათ შორის, საკუთარი ფულად–საკრედიტო და საგადასახადო–საბიუჯეტო სისტემების ფორმირება, ეკონომიკის რეგულირების მბრძანებლურ–ადმინისტრაციული მეთოდებისაგან გათავისუფლება, პრივატიზაცია, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაცია და სხვა [147, გვ.53]. “შოკური თერაპიის”

ქრესტომატიულ მაგალითად იქცა პოლონეთში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები, რომელიც პოლონეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრის ლეშეკ ბალცეროვიჩის სახელთანაა დაკავშირებული და “ბალცეროვიჩის გეგმის” სახელითაა ცნობილი.

“ბალცეროვიჩის გეგმის” თანახმად, პოლონეთში გატარდა უმკაცრესი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, რაც ფასების ლიბერალიზაციაში, საბიუჯეტო დოტაციებსა და სუბსიდიებზე უარის თქმის მეშვეობით, ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვან შემცირებაში, მოსახლეობის შემოსავლებისა და მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობის შეზღუდვაში [55, გვ.47] გამოიხატებოდა. საქართველოში “შოკური თერაპია” 1992 წლის თებერვლიდან დაიწყო [148, გვ.5]. საქართველოს ხელისუფლებას იმ ეტაპზე არ ჰქონდა არც ერთი რეალური მაკროეკონომიკური ინსტრუმენტი, მათ შორის, არც საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა და არც საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკის გატარების ბერკეტები.

ფასების მოწესრიგების მიმართულებით პირველი ნაბიჯები 1991 წელს, ჯერ კიდევ სსრკ-ის პირობებში გადაიდგა, როდესაც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე მოხდა ფასების რამდენიმეჯერ მომატება. სამწუხაროდ, საქართველოში პირველი საპრეზიდენტო არჩევნების წინ გარკვეული სახის პროდუქციის (მათ შორის, პურის და საქალაქო ტრანსპორტის) ფასები ძველ ნიშნულს დაუბრუნდა. ამ მიმართულებით შედარებით უფრო რადიკალური ნაბიჯები საქართველოში 1992 წლის 1 თებერვლიდან გადაიდგა, როცა საქონლისა და მომსახურების ერთი ჯგუფის ფასები განთავისუფლდა, ხოლო სხვა რეგულირებადი ფასები მკვეთრად (მაგალითად, პურზე 100-ჯერ) გაიზარდა.

იმის გამო, რომ საქართველოს არ გააჩნდა საკუთარი ვალუტა და, შესაბამისად, არ ჰყავდა ემიტენტი, იგი ვერ განახორციელებდა რეფორმისათვის აუცილებელ ღონისძიებებს. არც გამოცდილება და არც ფინანსური საშუალება არ იძლეოდა ამ პროცესების დამოუკიდებლად წარმართვის საშუალებას, ამიტომ საქართველომ დახმარებისათვის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს, უპირველეს ყოვლისა კი, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს მიმართა.

ამდენად, საქართველოში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ზემოგანხილულ წანამდღვრებთან ერთად, პოლიტიკის ფორმირებაში უდიდესი წვლილი მსოფლიო საფინანსო წესრიგის განმსაზღვრელმა ორგანიზაციებმა შეიტანეს. [149, გვ. 38].

ამ ორგანიზაციების დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესის წარმართვისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი როგორც მეთოდური და მეთოდოლოგიური, ასევე, ფინანსური დახმარება.

სახელმწიფოს მხრიდან დაიწყო მონოპოლიური სტრუქტურების საქმიანობის შეზღუდვაზე ფიქრი, მაგრამ, რეალურად, მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ მოხერხდა ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის რეფორმირების უფრო მოგვიანებით პერიოდში, “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა გაუქმდა და მხოლოდ 2010 წელს, ევროკავშირის ეკონომიკასთან ჰარმონიზაციის მიზნით აღდგა, თუმცა, სამწუხაროდ, როგორ ჩანს, მხოლოდ ფორმალურად.

პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ყველაზე სწრაფი და ეფექტიანი გზა, რომელიც “შოკური თერაპიის” სახელითაა ცნობილი, პრაქტიკულად, საქართველოში ვერ განხორციელდა. ის ინსტრუმენტები, რომლებსაც ეკონომიკაში “შოკის ეფექტი” უნდა მოეხდინა, სახელმწიფოს არ გააჩნდა. შესაბამისად, სახელმწიფო ვერ განახორციელებდა ეფექტიან მონეტარულ პოლიტიკას, რამეთუ, მიუხედავად იმ პერიოდში “ცივი ომისა” ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან, რეფორმირების პირველ წლებში რუსეთი მაინც რჩებოდა ჩვენი ეკონომიკის ემიტენტად. სწორედ რუსეთის ცენტრალურ ბანკზე იყო დამოკიდებული საქართველოში მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა და, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტიც ისევ მის ხელში რჩებოდა. ამდენად, ვიდრე საქართველო არ შეძლებდა პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციისათვის აუცილებელი ინსტრუმენტების საკუთარ ხელში თავმოყრას, რეფორმების წარმატებით განხორციელებაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო.

როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს მთავრობა ფაქტის წინაშე დააყენა და შეუწყვიტა ფულის მიწოდება, საქართველოს ხელისუფლება

იძულებული გახდა 1993 წლის აპრილში ბრუნვაში გაეშვა საქართველოს დროებითი ფულის ნიშანი – საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონი.

მოსახლეობა უნდობლად შეხვდა კუპონს და ამის ძირითადი მიზეზი არა თავად კუპონი, ან საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა იყო, არამედ ქვეყნის ხელისუფლების სურვილი – “რუბლის ზონაში” მუდმივი ან დროებითი დარჩენისა და კუპონის, როგორც მიმოქცევაში რუსული რუბლის წარმომადგენლის გაშვება. კუპონი ერთადერთ კანონიერ საგადახდელო საშუალებად გამოცხადდა არა თავიდანვე, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთმა, 1993 წლის ივლის-აგვისტოში, გაატარა ფულის ნაწილობრივი რეფორმა და ბრუნვიდან ამოიღო დაშლილი საბჭოთა კავშირის მანეთი.

უკონტროლო საკრედიტო ემისიამ ბიძგი მისცა ჰიპერინფლაციურ პროცესს. ინფლაციის მაღალი ტემპის პირობებში კუპონი ვეღარ ასრულებდა ფულის ფუნქციებს. კუპონის ნაცვლად მიმოქცევაში იზრდებოდა რუბლის გამოყენების მასშტაბები, ხოლო თავად რუბლის მსყიდველუნარიანობის ასევე სწრაფი დაცემის პირობებში, საქართველოში აშშ დოლარის მოქმედების ასპარეზი იზრდებოდა. რეალურად, კუპონი მხოლოდ კომუნალური გადასახადების გადახდას და ნორმირებული პურის შეძენას უზრუნველყოფდა.

ეროვნული ბანკის მცდარმა პოლიტიკამ ნაღდი ფულის მოძრაობის არეალის შეზღუდვამდე, ნაღდი და უნაღდო ფულის ღირებულებათა შორის მნიშვნელოვან სხვაობამდე მიგვიყვანა. შედეგად, კიდევ უფრო შეიზღუდა კუპონის მიმოქცევის არეალი.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით „მოკური თერაპიის“ შემოჭრის შემდეგ, საქართველოში პრივატიზაციის ნაჩქარევად განხორციელებულმა პოლიტიკამ დააჩქარა მცირე საწარმოების სტიქიურად შექმნის პროცესი. [41, გვ.272] საქართველოში წარმოების, მცირე ბიზნესის განვითარება თავიდანვე სტიქიურად დაიწყო და ყოველგვარი რეალური და სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და მხარდაჭერის ქმედითი სისტემის გარეშე მიმდინარეობდა. ამის გამო, მცირე ბიზნესის უდიდესი ნაწილი „რდილოვან ეკონომიკაში“ ფუნქციონირებდა. თანაც ძირითადად მოკლევადიან საქმიანობაზე, სავაჭრო-საშუამავლო სპეკულაციურ

ოპერაციებზე იყო ორიენტირებული თითქმის ჩამკვდარი მატერიალური წარმოების ფონზე.

მატერიალური წარმოების დარგების ჩავარდნამ, ბუნებრივია, ვერ შექმნა საჭირო ეკონომიკური გარემო სოციალური ინფრასტრუქტურის დარგებში სარეფორმო სამუშაოებისათვის. მართალია, მიღებულ იქნა სამთავრობო გადაწყვეტილება თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების დასამკვიდრებლად, მაგრამ მან არსებითი პოზიტიური გავლენა ვერ მოახდინა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. კომერციამ სპეკულაციის სახე მიიღო. ბიზნესმა ძირითადად ყიდვა-გაყიდვის სფეროში გადაინაცვლა.[17, გვ.50]

1994 წელს, ანტიკრიზისული პროგრამის მიღებითა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მუშაობის განახლებით, იწყება ეკონომიკური რეფორმების ახალი ეტაპი. ამ ეტაპზე თავიდან იყო გარკვეული წარმატებები, რომლებსაც შემდგომი რეფორმირებისათვის უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა. თუ აქამდე (1991-1994 წლებში) საქართველო არად აგდებდა მათ რეკომენდაციებს, შემდგომ აღნიშნული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები აქტიურად ეხმარებიან საქართველოს ხელისუფლებას პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის წარმატებით განხორციელებაში [151, გვ.39] საქართველო მსოფლიო ბანკს 1992 წელს შეუერთდა, საერთაშორისო განვითარების ასოციაციას (IDA) კი – 1993 წელს. მას შემდეგ მსოფლიო ბანკმა სხვადასხვა დარგში 51 პროექტი დააფინანსა. დაფინანსების მთლიანმა თანხამ 1.55 მილიარდი დოლარი შეადგინა, საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტების, გრანტების და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხების სახით. მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილი დაფინანსების 64% საინვესტიციო პროექტებზე მოდიოდა, 36% კი განვითარების პოლიტიკის ღონისძიებების ფარგლებში ბიუჯეტისათვის გაწეული დახმარებაა. [20, გვ.12]

1994 წლის ზაფხულიდან გამოირიცხა უკონტროლო საკრედიტო ემისია. 1994 წლის შემოდგომაზე საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააუქმა შეზღუდვები ბანკებიდან ნაღდი ფულის გამოტანაზე, რის შედეგადაც, ნაღდი და უნაღდო ფულის ღირებულებები მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ერთმანეთს.

1994 წლის სექტემბერში გახსა და ელექტროენერგიაზე ფასები საერთაშორისო დონემდე გაიზარდა, პურზე ფასი გაიზარდა 285-ჯერ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მეტროპოლიტენით მგზავრობის საფასურიც. მართალია გაიზარდა საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა ხელფასები, პენსიები და შემწეობანი, მაგრამ მათი ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩა ფასების ზრდას.

დაიწყო ლიცენზირების არსებული მექანიზმის გამარტივება. 1995 წლის 1 იანვრიდან, კვოტირების სისტემა საერთოდ გაუქმდა, ხოლო ლიცენზირება შენარჩუნებულ იქნა საქონელთა მცირე ჩამონათვალზე, რამაც ხელი შეუწყო ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და კორუფციული გარემოს შეზღუდვას. ამასთან, დაიწყო რეალური საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება, როდესაც ბაზარზე შესვლა და გამოსვლა აღარ იყო დამოკიდებული ჩინოვნიკის სურვილზე.

ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში განხორციელებული პრივატიზების პროცესის უკვე ტრადიციად ქცეულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს 1995 წლიდან საქართველოში დაწყებული ვაუჩერიზაცია. ნაცვლად იმისა, რომ წარმოების საშუალებები გადასულიყო (თუნდაც უფასოდ) იმათ ხელში, ვინც შეძლებდა მათ გადაიარაღებას, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფას, წარმოების წახალისებასა და პროდუქციისათვის რეალიზაციის ბაზრის პოვნას, ქარხანა-ფაბრიკები მეთოდით მოსახლეობის იმ ფენას გადაეცა, რომელსაც მისი ამოქმედებისათვის ინვესტიციის მოძიება არ შეეძლო.

1995 წლიდან, საქართველოს ეკონომიკაში დიდი წარმატებების სამწლიანი ეტაპი დაიწყო. ქვეყანაში შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ჩამოყალიბდა ორ იარუსიანი საბანკო სისტემა, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები, მოხერხდა ფინანსური სტაბილიზაცია და საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღება, ძირითადად, დამთავრდა ე.წ. “მცირე პრივატიზაციის” პროცესი, განხორციელდა ფასების, ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაცია. ყოველივე ამის საფუძველზე, ქვეყანაში ჩამოყალიბდა მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის ელემენტალურად აუცილებელი ეკონომიკური გარემო, რამაც, თავის მხრივ, უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი დაჩქარებული განვითარება.

ფულად-საკრედიტო და ფისკალურ სფეროებში რეფორმის წარმატებით განხორციელებამ კეთილსაიმედო ფონი შექმნა ეროვნული ვალუტის შემოღებისათვის, რაც 1995 წლის სექტემბერში წარმატებით განხორციელდა. შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტა – ლარი და დადგენილ იქნა ლარის კუპონზე გადაცვლის ფიქსირებული კურსი 1 ლარი – 1 მილიონი კუპონი, ხოლო აშშ დოლართან მიმართებაში იგი 1,3 ლარით განისაზღვრა.

ფულის რეფორმამ არ გაიმეორა ის შეცდომები, რაც ხელისუფლების მხრიდან კუპონის მიმართ იქნა დაშვებული. რეფორმის დროს არ იქნა გამოყენებული არავითარი კონფისკაციური ღონისძიება, რამაც საზოგადოების თვალში ნდობა დაიმსახურა და ლარი სწრაფად დამკვიდრდა. ეროვნული ვალუტის შემოღებიდან უკვე ერთი თვის განმავლობაში, ლარის კურსი თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე 1,3-დან 1,25-მდე გაიზარდა აშშ დოლართან მიმართებაში, ხოლო „შავ ბაზარზე“ – 1.275 - დან 1.25- მდე. მოქნილი საკურსო პოლიტიკის შედეგად, საქართველოში გადაილახა ე.წ. მულტისაკურსო პრაქტიკა და დასრულდა სავალუტო კურსის უნიფიცირება.

სამწუხაროდ, 1998 წლიდან, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში შეფერხებები იწყება, რამაც ეკონომიკური ზრდის მიღწეული ტემპები შეამცირა და ქართულ ეკონომიკაში „უძრაობამ“ დაისადგურა.

თუმცა, 2003 წლის ნოემბერში, საქართველოში მომხდარმა „ვარდების რევოლუციამ“ დაასრულა „უძრაობის ხანა“ და ეკონომიკური პროცესები, მათ შორის რეფორმირება, სწრაფი ნაბიჯებით განვითარდა.

„ვარდების რევოლუციას“ საქართველო ძირითადი საბაზრო ინსტიტუტებით შეხვდა, თუმცა, 2004 წლიდან, ეკონომიკის რეფორმირების მთავარ მიმართულებად დერეგულირება იქცა [150, გვ 26].

2004 წლის დასაწყისამდე, საქართველო აყალიბებდა საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ისეთ ინსტიტუციონალურ ბაზას, რომლის მაგვარიც იყო ევროპის სახელმწიფოებში. საქართველოში რადიკალური ეკონომიკური რეფორმები დაიწყო, რაც, ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ სახელმწიფოს მხრიდან რეგულირების მექანიზმების გაუქმებაში გამოიხატებოდა.

სახელმწიფომ, გარდა რეგულირების პირდაპირი ფორმებისა, მკვეთრად შეზღუდა მაკროეკონომიკური რეგულატორების ფუნქციონირებაც.

2004 წლიდან, გაუქმდა საგზაო ფონდი, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და ფოსტის სამინისტრო, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო, საგარეო ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტრო, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო, კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახური, მცენარეთა დაცვის სამსახური, მეცხოველეობისა და სანაშენე საქმის დეპარტამენტი, ძვირფასი ქვებისა და ლითონების დეპარტამენტი, დასაქმების სახელმწიფო სამსახური, “საქსტანდარტი”, კვების პროდუქტების ხარისხის ინსპექცია, ფიტო სანიტარიული კონტროლი, ტრანსპორტის მარეგულირებელი კომისია; გამარტივდა მშენებლობის პროცედურები.

მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საქმიანობათა ჩამონათვალი, რომელიც ლიცენზირებას მოითხოვდა. კერძოდ, საქმიანობათა ასეთი 900 დასახელებიდან დარჩა მხოლოდ 114. გაუქმდა ზომისა და წონის კონტროლი, ვეტერინარული საქმიანობის ლიცენზია და ნებართვა, პესტიციდების წარმოების და ვაჭრობის ლიცენზია და ა.შ. საქართველოს კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ თეორიულად ევროპულ ორიენტაციას აღიარებს, აბსოლუტურად საპირისპიროდ ვითარდებოდა. ამის საუკეთესო მაგალითად გამოდგება საქართველოს შრომის კანონმდებლობა, რომელიც აგებულია დამქირავებელთა უფლებების პრიმატის აღიარებით და, პრაქტიკულად, მინიმუმამდეა დაყვანილი დასაქმებულთა ინტერესები [151, გვ. 45].

“ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში, ანტიმონოპოლიური სამსახური აღმოჩნდა ის პირველი სერიოზული სტრუქტურა, რომელიც გაუქმდა კანონმდებლობასთან ერთად. მის ნაცვლად შეიქმნა “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის კანონი” და შესაბამისი სამსახური; საინტერესოა ის ფაქტი, რომ ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების მიზნად ბაზარზე კონკურენციისათვის ხელშეწყობა დასახელდა. [151, გვ.35] თუმცა, 2010 წელს საქართველომ გადადგა გარკვეული ნაბიჯები ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ასამოქმედებლად, თუმცა არაეფექტური.

თუ დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური ინსტიტუტების განვითარების ისტორიას გადავხედავთ, ნათლად ჩანს, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მარეგულირებელი

ინსტიტუტი იყო. ის, რომ საქართველოს აქვს ეროვნული ვალუტა, რომელიც ინარჩუნებს პოზიციებს, სწორედ ეროვნული ბანკის ერთ-ერთი დამსახურებაა.

სამწუხაროდ, საქართველოში საკმაოდ აქტიურად განიხილებოდა ამ სფეროს აბსოლუტური დერეგულირების შესაძლებლობა იმ დონემდეც კი, რომ საუბარი ე.წ. “სავალუტო ფარის” ან “სავალუტო საბჭოს” შექმნას შეეხებოდა, რაც ეროვნული ბანკის ფუნქციების მინიმიზებას და რეალურად მხოლოდ ვალუტის გაცვლითი კურსის შენარჩუნებას გულისხმობდა. ეროვნული ბანკი დაიშალა და ნაცვლად საბანკო სისტემის მონიტორინგისა და ანალიზისა, ეროვნული ბანკის ერთადერთ ფუნქციად ინფლაციასთან ბრძოლა გამოცხადდა. თუმცა, 2009 წელს, რეგულირების ეს ინსტიტუტი სრულად აღდგა.

2009 წლის მარტში ახალი იდეა დაიბადა - საქართველოში ეროვნულ ვალუტას - ლარს - ჩამოერთვას ერთადერთი კანონიერი საგადასახდელი საშუალების სტატუსი და იგი გადაუნაწილდეს დოლარსა და ევროს.

2009–2010 წლებში საქართველოში მიმართულება ამ მხრივ შეიცვალა. 2010 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაიწყო ეკონომიკის “ლარიზაციის” პროცესი, რაც ეროვნული ვალუტის მოქმედების არეალის გაფართოებას გულისხმობს

ეკონომიკის რეფორმირებაში “ვარდების რევოლუციის” შემდეგ სხვა პრობლემებიც იყო: საწყის ეტაპზე “დეპრივატიზაცია”, ხოლო შემდეგ, აგრესიული პრივატიზაცია.

დღეს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მხოლოდ სერიოზულ უცხოურ ინვესტიციებს შეუძლია. ეს უკანასკნელი კი, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება ინვესტორთა და მესაკუთრეთა უფლებები, ბაზარი გათავისუფლდება სახელმწიფოს და ბიუროკრატთა მხრიდან არასანქცირებული ჩარევისაგან.

2003 წლის ნოემბერში, საქართველოში “ვარდების რევოლუცია” მოხდა, რამაც მნიშვნელოვანი იდეოლოგიური და ინსტიტუციური გადაწყვეტილებები გამოიწვია, რაც, საბოლოოდ, ეკონომიკურ პოლიტიკაზეც აისახა. ლიბერალიზმი სახელმწიფოს განვითარების იდეოლოგიურ ბაზისად იქცა. ქვეყანამ ერთიანად თქვა უარი ეკონომიკის პროგნოზირების მანამდე არსებულ მექანიზმებზე, დაიწყო ლიცენზირებისა და ნებართვების სისტემის კიდევ უფრო გამარტივება.

კორუფციასთან ბრძოლის საბაზით, როგორც ავღნიშნეთ, სახელმწიფომ უარი განაცხადა მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე, ანტიმონოპოლიურ რეგულირებაზე, ხარისხის კონტროლზე; დაიწყო გადასახადების რაოდენობის და განაკვეთების შემცირება.

ლიბერალიზმის ქვაკუთხედი კერძო საკუთრება და მისი ხელშეუხებლობაა. ამ მიმართულებით საქართველოში პრობლემებია. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ისე, როგორც ზოგადად რევოლუციების შემდეგ ხდება ხოლმე, ქონების გადანაწილება დაიწყო. პრივატიზაციის პარალელურად, აქტიურ ფაზაში შევიდა ფარული ნაციონალიზაციის პროცესი. მესაკუთრეები ერთი მეორის მიყოლებით "ჩუქნიდნენ" სახელმწიფოს როგორც უძრავ-მოდრავ ქონებას, ისე საქართველოში არსებული საწარმოების წილებს. არცთუ იშვიათად ხდებოდა უძრავი ქონების პირდაპირი ექსპროპრიაცია და შემდეგ, "ხედის დამახინჯების" ბრალდებით, მათი დანგრევა ან "ნაჩუქარი" ქონების ძირითადად უცხოელ ინვესტორებზე ხელახალი პრივატიზაცია, უკვე გაცილებით მაღალი ფასით.

ის რაც 2007 წელს, ნოემბრის შემდეგ დაიწყო საქართველოს ეკონომიკაში, საერთოდ ამოვარდა "ლიბერალიზმის" კურსიდან. [116, გვ.57] ხელისუფლებას მოუწია მძიმე პოლიტიკური ფონის განეიტრალებისათვის ეკონომიკური პოლიტიკის რადიკალური ცვლილება. ამას თან დაერთო რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, რამაც, ცხადია, ეკონომიკურ პოლიტიკაში წინა პლანზე წამოწია სოციალური ფაქტორი და არცთუ იშვიათად, პოპულისტური ნაბიჯები იქნა გადადგმული.

პოპულისტური მიზნებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ უარი განაცხადა მის ერთ-ერთ მთავარ მიღწევაზე – საგადასახადო ადმინისტრირებაში მიღწეულ შედეგზე, როდესაც უარი ითქვა მოსახლეობასთან ნაღდი ანგარიშსწორებისას სალაროს აპარატების გამოყენების აუცილებლობაზე.

საქართველოსათვის უმუშევრობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემაა. თუ 2005 წელს უმუშევრობის დონე 13,8% იყო, 2012 წლის ბოლოს უმუშევრობა 15,0%-ი იყო. [31] ლიბერალიზმის საფარქვეშ რამდენიმე სერიოზული ინსტიტუციური ცვლილებაც განხორციელდა. [21, გვ.27] დღესაც სერიოზული განცხადებები კეთდება საქართველოს ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაციის მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალიზაციას ალტერნატივა არ

გააჩნია, მაგრამ შესაბამისი საბაზრო ინსტიტუტების არსებობის გარეშე მხოლოდ ლიბერალიზაცია ვერ უზრუნველყოფს ჰარმონიულად განვითარებადი ეკონომიკური სისტემის შექმნას.

ლიბერალიზაციას ალტერნატივა არ გააჩნია, მაგრამ შესაბამისი საბაზრო ინსტიტუტების არსებობის გარეშე მხოლოდ ლიბერალიზაცია ვერ უზრუნველყოფს ჰარმონიულად განვითარებადი ეკონომიკური სისტემის შექმნას.

მოვლენების ამგვარად განვითარების მცდელობაა ის ინიციატივები, რომლებიც საქართველოს მთავრობამ გაახმოვანა [36]. იგი ითვალისწინებდა: გადასახადების ზრდას მხოლოდ რეფერენდუმით, საქართველოში დამატებითი მარეგულირებელი ინსტიტუტების შექმნის აკრძალვა, კომერციულ ბანკებში წილის ფლობის აკრძალვა საქართველოს მთავრობისთვის, ფასების სახელმწიფო რეგულირებაზე უარის თქმა. გაცხადდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური პროპორციის დაწესების შესახებაც, კერძოდ, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 30%-ს, მისი მინიმუმ 30% უნდა მიიმართოს სოციალური მიზნებისათვის, ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა იყოს მშპ-ის 3%-ზე მეტი და სახელმწიფო ვალი არ უნდა იყოს მშპ-ის 60%-ზე მეტი.

ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების მცდელობა მაკროეკონომიკური ზღვრების დაწესების გზით ეკონომიკის პრობლემების კვლევის ცენტრის ექსპერტებმა შეაფასეს როგორც „ხისტი მიდგომა“ პრობლემისადმი. მით უფრო, როდესაც საუბარი სახელმწიფო ვალს ეხება. [43, გვ.17] მათი აზრით ეკონომიკური რყევების თავიდან აცილება მობილური, დისკრეტული ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე წარმოუდგენელია.

2.2. საქართველოს მაკროეკონომიკური ინდიკატორების ანალიზი

საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველოში ცხოვრების დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალი იყო. შემდგომ, ზემოაღნიშნული პრობლემების გამო, 1990-იანი წლებიდან ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა.

1991 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოს ეკონომიკაში მშპ-ის 21,9 პროცენტის დაკემა დაფიქსირდა. მომდევნო 1992 წელს ქვეყნის ეკონომიკაში რეალური მშპ კიდევ 44,9%-ით დაეცა.

არც 1993 წელსაც მშპ-ის კიდეც 29,3%-იანი დაცემას ქონდა ადგილი. უკვე 1993 წელს 1990 წელთან შედარებით, მშპ-ის მოცულობამ მხოლოდ 30,73% შეადგინა. [28]

1995 წლის შედეგების მიხედვით, არა მარტო შეჩერებულ იქნა წარმოების შემდგომი ვარდნა, არამედ, მიღწეულ იქნა მშპ-ის 2,6 პროცენტისანი ზრდა, ხოლო ინფლაციამ 157,4 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 1994 წელს დაფიქსირებული 7841 პროცენტისა.

საქართველოს სოციალურ- ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებით მაღალი შედეგები იქნა მიღწეული 1996-1997 წლებში. კერძოდ, ამ წლებში ქვეყანაში მშპ-ის მოცულობა თითქმის 24 პროცენტით გაიზარდა [31]. 1996-1997 წლებში უფრო დამაჯერებელი შედეგები იქნა მიღწეული ისეთი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მიხედვითაც, როგორცაა ინფლაცია. (იხ.ცხრილი 2.2.1). კერძოდ, 1996 წელს ინფლაციის წლიურმა ტემპმა 13,5 პროცენტი, ხოლო 1997 წელს - 7,3 პროცენტი შეადგინა, რაც, შესაბამისად, საშუალოდ თვეში 1,1 პროცენტი და 0,6 პროცენტი იყო. ყოველივე ამან კი, პოზიტიური ზეგავლენა იქონია მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს ფორმირებაზე. 1998-2002 წლებში, ეკონომიკური ზრდის ტემპები შემცირდა და საშუალოდ წელიწადში 2%-ს შეადგენდა. 2003 წელს კი, მიუხედავად უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობისა, ეკონომიკურმა ზრდამ 10%-ს გადააჭარბა. შემდგომ წლებშიც, თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2008 და 2009 წლებს, ეკონომიკური ზრდის ტემპები საკმაოდ მაღალი იყო.(იხ. ცხრილი 2.2.1)

ცხრილი 2.2.1

საქართველოს ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 1996-2012 წლებში

	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
მშპ საბაზრო ფასებში (მლნ ლარი)	3 868,5	4 554,9	5 022,1	5 668,7	6 043,1	6 674,0	7 456,0	8 564,1
მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი)	827,6	999,2	1 114,8	1 268,2	1 362,5	1 516,3	1 705,6	1 972,1
მშპ ერთ სულზე (აშშ დოლარი)	655,6	770,2	800,7	629,6	689,7	731,8	777,3	919,0
მშპ მლნ აშშ დოლარი	3 064,6	3 510,7	3 606,9	2 814,1	3 059,1	3 221,0	3 397,8	3 990,8

გაცვლითი კურსი(ლარი)აშშ დოლარი	1,2623	1,2974	1,3924	2,0144	1,9755	2,0720	2,1944	2,1459	
ეკონომიკის ზრდა		110,5	103,1	102,9	101,8	104,8	105,5	111,1	
მშპ დეფლატორი		106,5	106,9	109,6	104,6	105,3	106,0	103,3	
	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
მშპ საბაზრო ფასებში (მლნ ლარი)	9 824,3	11 620,9	13 789,9	16 993,8	19 074,9	17 948,6	20743.4	24344.0	26138.9
მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (ლარი)	2 276,7	2 689,1	3 133,1	3 866,9	4 352,9	4 092,8	4675.7	5447.1	5811.7
მშპ მოსახლეობის ერთ სულზე (აშშ დოლარი)	1 187,6	1 483,5	1 763,5	2 314,6	2 921,1	2 450,1	2623.0	3230.7	3519.6
მშპ მლნ აშშ დოლარი	5 124,7	6 411,0	7 761,7	10171,9	12800,5	10767.1	11636.5	14438.5	15829.7
გაცვლითი კურსი (ლარი აშშ დოლარი)	1,9170	1,8127	1,7767	1,6707	1,4902	1,6705	1.7826	1.6860	1.6513
ეკონომიკის ზრდა	105,9	109,6	109,4	112,3	102,3	96,1	106,3	107,2	106,1
მშპ დეფლატორი	108,1	107,9	108,5	109,7	109,7	98,0	108.5	109.5	101,2
საქართველოს სახ.ვალი (მლნ ლარი)	4,155.5	3,509.0	2,954.2	3,015.3	4,407.4	5,927.4	7007.8	7015.6	7218,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდი <http://www.mof.ge/4971> და საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენები <http://nbg.gov.ge/index.php?m=352> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21. 02.2013

2008 წელს, რუსული აგრესიის შემდეგ, ეკონომიკა მხოლოდ 1,9%-ით გაიზარდა, ხოლო 2009 წელს, პირველად 1995 წლიდან, ეკონომიკა შემცირდა 3,9%-ით. ომის შემდგომ რუსეთის აგრესიის შედეგების მინიმიზაციის მიზნით, საქართველომ დონორთა უპრეცედენტო დახმარება - 3.4 მლრდ ევრო მიიღო, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა დაცემის ამპლიტუდა. [159, გვ.5]

რეალური მშპ-ის ზრდა და სექტორული წვლილები (პროცენტი), 2009-2012

	2009		2010		2011		2012	
	ზრდა	წვლილი	ზრდა	წვლილი	ზრდა	წვლილი	ზრდა	წვლილი
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და სამთომოპოვებითი	-6.8%	-0.6%	-4.8%	-0.4%	8.0%	0.6%	-3.3%	-3%
დამამუშავებ. მრეწველობა	-8.5%	-0.7%	20.2%	1.4%	13.9%	1.1%	16.4%	1.4%
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის პროდუქციის გადამუშავება	6.2%	0.1%	2.0%	0.1%	7.2%	0.2%	-0.9%	0.0%
მინამეურნეობების მიერ მშენებლობა	-1.8%	0.0%	-4.6%	-0.1%	7.1%	0.2%	-2.0%	-1%
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის სასტუმროები და ტრანსპორტი	-3.1%	-0.2%	6.5%	0.4%	7.1%	0.4%	11.4%	0.7%
კავშირგაბმულობა	-16.3%	-2.3%	14.1%	1.8%	5.6%	0.8%	7.3%	1.1%
საფინანსო საქმიანობა	-4.4%	-0.1%	13.1%	0.3%	8.0%	0.2%	11.8%	0.2%
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი	0.5%	0.0%	13.0%	0.8%	6.7%	0.5%	5.9%	0.4%
სახელმწიფო მმართველობა	-3.4%	-0.1%	10.4%	0.4%	8.1%	0.3%	9.6%	0.3%
განათლება	1.5%	0.0%	14.7%	0.4%	24.3%	0.6%	15.0%	0.3%
ჯანმრთელობის დაცვა და კომუნალური, სოციალური და მინამოსამსახურის საქმიანობა და მინამეურნეობების საქმიანობა, დაკავშირებული	-4.1%	-0.1%	10.1%	0.4%	11.3%	0.5%	4.2%	0.2%
ფინანსური შუამავლობის მომსახურების	2.8%	0.1%	2.6%	0.1%	2.9%	0.1%	3.7%	0.1%
მშპ საბაზისო ფასებში	1.2%	0.2%	0.8%	0.1%	3.3%	0.4%	3.2%	0.3%
გადასახადები	4.7%	0.2%	3.1%	0.1%	2.7%	0.1%	2.4%	0.1%
სუბსიდიები პროდუქციაზე	8.7%	0.4%	2.9%	0.2%	1.3%	0.1%	1.0%	0.1%
მშპ საბაზრო ფასებში	-13.0%	-0.5%	11.6%	0.4%	7.8%	0.3%	8.2%	0.3%
გადასახადები	2.7%	0.0%	9.5%	0.0%	15.3%	0.0%	7.0%	0.0%
სუბსიდიები პროდუქციაზე	-1.0%	0.0%	9.6%	-0.1%	20.5%	-0.2%	10.3%	-
მშპ საბაზრო ფასებში	-4.1%	-3.5%	7.1%	6.1%	6.7%	5.8%	-3.3%	-
გადასახადები	-1.7%	-0.2%	1.3%	0.2%	10.2%	1.4%	7.5%	1.1%
სუბსიდიები პროდუქციაზე	4.0%	0.0%	4.3%	0.0%	8.5%	0.0%	-0.4%	0.0%
მშპ საბაზრო ფასებში	-3.8%	-3.8%	6.3%	6.3%	7.2%	7.2%	6.1%	6.1%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/cms/site_images/ ნაკრები. გადამოწმებულია ჩვენს მიერ 5.10. 2013

2008 წლის მესამე კვარტლიდან დაწყებული რეცესია 2010 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ-ის 3.7 პროცენტის ზრდით შეიცვალა. 2010 წელი საქართველოსთვის ეკონომიკური კრიზისის შედეგების დაძლევის პერიოდი იყო. წლის განმავლობაში ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 6.3 პროცენტით გაიზარდა, 2009 წლის პირველ ნახევარში ეკონომიკური კლება უპრეცედენტოდ მაღალი იყო. ეკონომიკის იმ სექტორებმა, რომლებშიც 2009 წელს საგრძნობი კლება დაფიქსირდა (ვაჭრობა, დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა) 2010 წელს მაღალი რეალური ზრდა აჩვენეს და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეკონომიკურ ზრდაში. კრიზისამდელ პერიოდში მშპ-ის ზრდას, ძირითადად, გაზრდილი „ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე“ განაპირობებდა, რაც ძირითადად უცხოური კაპიტალის შემოდინებით ფინანსდებოდა. აღსანიშნავია, რომ 2010 წელს ეკონომიკური ზრდის აღნიშნული მოდელი შეიცვალა და ზრდის ძირითადი მამოძრავებელი „საქონლისა და მომსახურების ექსპორტი“ გახდა. ეს ფაქტი უფრო მდგრადი ზრდის წინაპირობაა და, შესაბამისად, ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის მხრივ ნაკლები რისკების შემცველია.

2011 წელს საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის წლიურმა მაჩვენებელმა 7 პროცენტს მიაღწია.

2012 წელს ქვეყნის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი 6.1 პროცენტით გაიზარდა. ეკონომიკა მაღალი ტემპებით წლის პირველი სამი კვარტალის განმავლობაში იზრდებოდა. წლის ბოლოს ზრდის ტემპმა იკლო, რაც განსაკუთრებით მკვეთრად მეოთხე კვარტალში გამოვლინდა, როდესაც ზრდამ 2.8 პროცენტი შეადგინა.

როგორც მოყვანილი ცხრილი 2.2.2-დან ჩანს, 2012 წლის ეკონომიკურ ზრდაში ძირითადი წვლილი დამამუშავებელი მრეწველობის და ვაჭრობის სექტორებს მიუძღვის. გარდა ამისა, აღსანიშნავია 2012 წელს მშენებლობის და საფინანსო საქმიანობის სექტორების მნიშვნელოვანი ზრდა და რეალური მშპ-ის ზრდაში მათი მაღალი წვლილი.

მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი გამოყენება ძირითადი კატეგორიების მიხედვით
(მიმდინარე ფასებში, მლნ ლარი)

	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო	11,621	13,790	16,994	19,075	17,986	20,743	24,344	26,139
ხარჯები საბოლოო მოხმარებაზე	9,794	12,972	15,732	19,596	19,075	19,898	22,448	23,508
შინამეურნეობები	7,720	10,804	11,953	14,582	14,600	15,418	17,882	18,718
სახელმწიფო მართვის ორგანოები	2,014	2,116	3,718	4,936	4,399	4,371	4,431	4,563
შმაკო ¹	61	52	61	77	75	109	136	157
(+) მთლიანი კაპიტალის ფორმირება	3,892	4,255	5,448	4,952	2,343	4,478	6,368	7,575
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	3,261	3,524	4,370	4,099	2,755	4,009	5,474	6,497
მარაგების ცვლილება	630	731	1,077	853	-412	469	894	1,079
(+) საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	3,922	4,532	5,303	5,459	5,349	7,250	8,823	10,048
საქონლის ექსპორტი	2,666	2,956	3,479	3,587	3,163	4,390	5,476	5,825
მოსახურების ექსპორტი	1,256	1,576	1,824	1,873	2,185	2,860	3,347	4,223
(-) საქონლისა და მომსახურების იმპორტი	5,993	7,863	9,848	11,140	8,801	10,945	13,334	15,105
საქონლის ექსპორტი	4,861	6,574	8,295	9,304	7,173	9,007	11,217	12,710
მოსახურების ექსპორტი	1,131	1,289	1,553	1,837	1,628	1,938	2,117	2,395
(+) სტატისტიკური განსხვავება	6	-107	359	209	20	63	39	112
(=) მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	11,621	13,790	16,994	19,075	17,986	20,743	24,344	26,139

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს ეროვნული ბანკი (ნაკრები, 2005-2011წწ. ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ)

http://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2012/annual_report_04_30_saitistvis.pdf

და http://geostat.ge/cms/site_images/files/georgian/nad/GDP_2012%20_press-release_Geo.pdf

სოფლის მეურნეობის სექტორი კი, წინა წელს დაფიქსირებული საკმაოდ მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ, კვლავ შემცირდა. 2012 წლის მონაცემებით, რეალურმა მშპ-მ სოფლის მეურნეობაში წლიურად 3.3 პროცენტით იკლო.

2012 წლის განმავლობაში, საკმაოდ მაღალი ზრდა აჩვენეს, და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდაში საგრძნობი პოზიტიური წვლილი შეიტანეს შემდეგმა სექტორებმა: „ტრანსპორტი“, „სახელმწიფო მმართველობა“, „კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება“, „კავშირგაბმულობა“ და „სასტუმროები და რესტორნები“. დანარჩენ სექტორებში შექმნილი დამატებითი ღირებულების ზრდის წვლილი მთლიან ზრდაში შედარებით მცირე იყო. წლიური კლება „სოფლის მეურნეობის“ სექტორის გარდა მხოლოდ „სამთომშობვეებით მრეწველობაში“ დაფიქსირდა, რაც საერთაშორისო ბაზრებზე წიაღისეულ

¹ შინამეურნეობების მომსახურე კერძო არაკომერციული ორგანიზაციები

ნედლეულზე მოთხოვნის კლებას უკავშირდება. 2012 წელს ნომინალური მშპ წინა წელთან შედარებით 7.4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მშპ-ის დეფლატორმა 1.2 პროცენტით მოიმატა. „საბოლოო მოხმარების“ კატეგორია ნომინალურად 4.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო „მთლიანი კაპიტალის ფორმირების“ და „საქონლისა და მომსახურების ექსპორტის“ ნომინალურმა ზრდამ შესაბამისად, 19.0 პროცენტი და 13.9 პროცენტი შეადგინა. რაც შეეხება იმპორტს, იგი 13.3 პროცენტით გაიზარდა და მისმა წილმა ნომინალურ მშპ-ში 58 პროცენტი შეადგინა. საგულისხმოა, რომ მთელ პოსტკრიზისულ პერიოდში რეალურ ეკონომიკურ ზრდას ძირითადად ექსპორტის და კაპიტალის ფორმირების ზრდა განაპირობებდნენ.

ცხრილი 2.2.4.

რეალური მშპ-ის ზრდის ტემპები 2008-2013 წლებში

რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (%)	2008	2009	2010	2011	2012	2013 (6 თვე)
	2.3	-3.8	6.3	7.2	6.1	1.9


წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და საქართველოს ეროვნული ბანკი (ცხრილი შედგენილია ჩვენს მიერ) <http://www.nbg.gov.ge/> და http://geostat.ge/cms/site_images/Geo.pdf ნანახია 21.10. 2013

მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში საქართველო ახერხებდა ინფლაციური ზეწოლის შეკავებას ერთნიშნა მაჩვენებლის დონეზე, 2011 წელი საკმაოდ პრობლემური წელი გამოდგა ამ თვალსაზრისით. 2011 წლის მეორე ნახევრიდან დაწყებული წლიური ინფლაციის კლების ტენდენცია 2013 წელსაც გრძელდება. უფრო მეტიც, თებერვლის თვიდან მოყოლებული წლიური ინფლაციის მაჩვენებელი უარყოფითი გახდა და წლის ბოლოსათვის -1.4 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდისათვის საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა -0.9 პროცენტი შეადგინა. ამგვარად, წლიური ინფლაცია მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივ მაჩვენებელს, რომელიც საშუალოვადიანი პერიოდისათვის 6 პროცენტს შეადგენს. ანალოგიურად, კლების ტენდენციით ხასიათდება საბაზო ინფლაციის მაჩვენებელიც (სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე), რომელიც დეკემბრის ბოლოსათვის -0.2 პროცენტს გაუტოლდა. 2012 წლიდან, საქართველოს ეროვნულმა სტატისტიკის სამსახურმა სამომხმარებლო კალათაში ცვლილებები შეიტანა – კალათაში შემცირდა სურსათის წილი.


ცვლილებების თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ გრაფიკებს (გრაფიკები 2.2.1. და 2.2.2.), რომლებშიც სამომხმარებლო კალათაში განხორციელებული ცვლილებები წონებში არის გამოხატული. მთავარი ცვლილება სურსათისა და არაალკოჰოლური სასმელების წილის 9.8%-იანი შემცირებაა, რომლებზეც ფასები, 2010 წლის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მთელ მსოფლიოში იცვლება. საინტერესოა, რომ ბინის, წყლის, ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის ხარჯები სამომხმარებლო კალათაში შემცირდა, ხოლო კომუნალური მომსახურების ხარჯები საშუალო შინამეურნეობებში გაიზარდა დასუფთავების გადასახადის გაზრდის გამო. ამავე დროს, კავშირგაბმულობის წილი სამომხმარებლო კალათაში გაიზარდა მაშინ, როდესაც ამ სფეროში ფასების მკვეთრი კლება აღინიშნება - 14.2%-იანი შემცირება 2011 წელს, 2010 წელთან შედარებით. მართალია, სამომხმარებლო კალათაში სურსათის წილის შემცირება არ იმოქმედებს საბაზო ინფლაციის მაჩვენებელზე, რადგან ამ უკანასკნელში სურსათისა და ნავთობპროდუქტებზე ფასები არ შედის, მაგრამ ზემოთ აღნიშნულმა მოსაზრებამ შესაძლოა ინფლაციის არასწორი მაჩვენებელი მოგვცეს. ინფლაციის მახასიათებლები საქართველოში ძალიან ჰგავს სხვა პატარა ზომის ღია ეკონომიკების მახასიათებლებს, ანუ სურსათის დიდი წილით ეროვნულ სამომხმარებლო კალათებში. ამიტომ, საქართველოში არსებობს პოზიტიური კორელაცია საერთო ინფლაციასა და სურსათისა და ნავთობზე საერთაშორისო ფასებს შორის.

ნახაზი 2.2.1

სამომხმარებლო კალათის წონები 2010-2012 წლები



სამომხმარებლო კალათა 2012 წ.




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და http://geostat.ge/cms/site_images/_Geo.pdf ნანახია 21.10. 2013

და ბოლოს, სასურსათო ინფლაცია საქართველოში უფრო მაღალი, მერყევი და ხანგრძლივია, ვიდრე არასასურსათო ინფლაცია; შედეგად, საერთო ინფლაცია საბაზო ინფლაციაზე (ანუ ინფლაცია, რომელშიც არ შედის სურსათი და ენერგომატარებლები) მაღალია. ნახაზი 2.2.3.

საერთო და საბაზო სამომხმარებლო ფასების ინფლაცია (წლის საშუალო %)

2000– 2012



წყარო: IMF Regional Economic Outlook. 2011 წლის ოქტომბერი. გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02. 2013

იგივე ტენდენცია გრძელდება 2013 წლის განმავლობაშიც. 2013 წლის აპრილში, წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში -1,7% შეადგინა. 2.2.3. სქემაში შედარებულია საქართველოში ბოლო წლებში არსებული საბაზო და საერთო ინფლაციის ტენდენციები. ციფრები წარმოადგენს წლიურ საშუალო მონაცემს პროცენტებში. როგორც ამ გრაფიკიდან ჩანს, 2011 წელს დიდი სხვაობა დაფიქსირდა საბაზო და საერთო ინფლაციის მონაცემებს შორის, ხოლო წინა წლებში საბაზო და საერთო ინფლაციის მონაცემები მეტნაკლებად მიახლოებული იყო. ამის მიზეზი როგორც უკვე ავლნიშნეთ, სურსათზე, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების მკვეთრი მატებაა, რომლებიც საბაზო ინფლაციის მაჩვენებელში არ აისახება. ინფლაციის პიკი 2011 წლის მაისში დაფიქსირდა - წლიური 14.3%, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში რეკორდულად მაღალი მაჩვენებელი იყო; შემდეგ კლება დაიწყო სურსათზე მსოფლიო ფასების შემცირების პარალელურად. კლების ეს ტენდენცია 2013 წლის განმავლობაშიც გრძელდება.

ნახაზი 2.2.4.

წლიური ინფლაციის დონე საქართველოში 2010–2012



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://geostat.ge> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.10. 2013

როგორც ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში, საქართველოში სურსათის ხვედრითი წილი სამომხმარებლო კალათაში შედარებით მაღალია და დღეისათვის

30%-ს შეადგენს. შესაბამისად, მაღალია ინფლაციის მაჩვენებლის მგრძობელობა სურსათის ფასების ცვლილების მიმართ.

სურსათის ფასები საერთაშორისო ბაზრებზე მნიშვნელოვანი მერყეობით ხასიათდება, რაც თავის მხრივ ინფლაციაზე აისახება, ანუ ინფლაციის მერყეობის არსებითი წილი სურსათის ფასების ცვალებადობაზე მოდის. 2006-2009 წლების განმავლობაში სურსათზე ფასების ცვლილება მთლიანი ინფლაციის საშუალოდ 50%-ს შეადგენდა. 2010 წლის მეორე ნახევრიდან, სურსათზე ფასების მატებით გამოწვეული ინფლაციის წილი მთლიან ინფლაციაში თითქმის 90.0 %-მდე გაიზარდა.

საქართველოში, როგორც ქვედა-საშუალო შემოსავლიან ქვეყანაში, მოსახლეობის დიდი ნაწილის დღიური ხარჯების საშუალოდ 35-40 პროცენტი სურსათზე მოდის. შესაბამისად, სურსათზე ფასების ზრდა მკვეთრად ამცირებს მოსახლეობის რეალურ შემოსავალს და აქედან გამომდინარე, კრედიტუნარიანობას.

როგორც უკვე აღინიშნა, მკვეთრად გაზრდილი სურსათის ფასები მნიშვნელოვნად ზრდის შინამეურნეობების ხარჯებს. შესაბამისად, მცირდება მათი რეალური შემოსავლები და უარესდება კრედიტუნარიანობა. ამრიგად, 2.2.3 და 2.2.4. ნახაზებიდან გამომდინარე, შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ კრიზისის შემდგომ პერიოდში საქართველო ეკონომიკა არასტაბილურობით გამოირჩევა, რასაც თავის მხრივ მოყვება ფინანსური სტაბილურობის მკვეთრი რყევები. მოსახლეობამ ინფლაციის დონის შემცირება ვერ შეიგრძნო. საწვავზე ფასები კვლავაც მაღალია. ბოლო ორი წლის განმავლობაში სურსათზე ფასები 25-30%-ით გაიზარდა.

ქვეყანაში შემომავალი ინვესტიციების დონე ასახავს: რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპექტივა. ამ თვალსაზრისით განვიხილავთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის შესახებ (იხ. ცხრილი 2.2.5.)

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. აშშ დოლარი)


2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013(6 თვე)
449.8	1190.4	2014.8	1 564.0	658.4	814.5	1117.2	911.6	458.6

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/cms/site_images/ გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.10. 2013)

ამ მონაცემების თანახმად, პირდაპირმა ინვესტიციებმა 2012 წელს 911.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ეს 20 პროცენტით ნაკლებია 2011 წლის და 10 პროცენტით მეტია 2010 წლის მონაცემებზე.

ნახაზი 2.2.5

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (2004-2012 წლები)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/cms/site_images/_Geo.pdf და <http://www.investinggeorgia.org/> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.10. 2013

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი ნაკადები საქართველოში 2007 წელს შემოვიდა. რაც 69.3%-ით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს. ამ მონაცემთან შედარებით 2012 წლის მაჩვენებელი, 1104.0 მლნ. ლარით არის

შემცირებული და შეადგენს 911,6 მლნ.დოლარს. (იხ. სქემა 2.2.5.) თუ 2011-2012 წლების საინვესტიციო დაბანდებებს სექტორების მიხედვით დავაკვირდებით, აღმოვაჩინოთ, რომ ბოლო წლებში წამყვანი სფერო ენერგეტიკა გახლდათ; მას მოსდევს დამამუშავებელი მრეწველობა, საფინანსო სექტორი, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა. საინვესტიციო დანახარჯების შემცირება 2012 წელს ყველა სფეროს ეხება, გარდა დამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციებისა, მცირედი ზრდაა სოფლის მეურნეობა/თევზჭერასა და ჯანდაცვის სფეროში.

ნახაზი 2.2.6.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით (2009-2012 წლები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/cms/site_images/Geo.pdf და <http://www.investingorgia.org/> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.10. 2013

ნახაზი 2.2.7

უმსხვილესი პირდაპირი ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013 წლის მე-2 კვარტალში




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური http://geostat.ge/cms/site_images/Geo.pdf და <http://www.investingorgia.org/> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.10. 2013

ეს უკანასკნელი, ძირითადად, სადაზღვევო კომპანიების მიერ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს - საავადმყოფოების მშენებლობის პროექტს უკავშირდება. პირდაპირი ინვესტიციების დინამიკა სექტორების მიხედვით 2011-2012 წლებში შემდეგნაირად გამოიყურება.(იხ. ნახ. 2.2.6. და 2.2.7.)

დარგობრივ ჭრილში განხილული ინვესტიციები (ნახ. 2.2.6 და 2.2.7) მიუთითებენ იმ სფეროების შესახებ, რომელიც დღეს ქვეყანაში განვითარებადია. ამას გარდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა წლების მიხედვით (იხ. ნახაზი 2.2.8) საკმაოდ კარგ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რა ურთიერთმიმართება არსებობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, რეფორმებს, სტაბილურობას, პროგნოზებსა და ინვესტიციების მასშტაბს შორის. ვარდების რევოლუციის შემდგომი ორი წელი მარტივი არ ყოფილა საქართველოსთვის. პირველივე წლებში ინვესტიციების გარკვეული ზრდა გამოიკვეთა (2003 წლის მაჩვენებლებთან შედარებით), თუმცა საინვესტიციო ბუმით 2006-2007 წელი აღინიშნა. 2007 წლის ბოლოდან 2008 წლის ჩათვლით საქართველოსთვის ერთ-ერთი უმძიმესი პოლიტიკური და ეკონომიკური წელი გახლდათ - აგვისტოს ომი და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ეს ფაქტორები სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ საქართველოში ინვესტიციების მასშტაბი მინიმუმამდე დასულიყო. 2.2.5 ნახაზის გადახედვა ინვესტიციების შემცირებაზე მოწმობს. სერიოზული კრახისგან თავის დაღწევა ქვეყანამ 2008 წლის ომის შედეგად დონორების მიერ საქართველოსთვის გამოყოფილ დახმარებების წყალობით მოახერხა. (იხ ზევით). წინააღმდეგ შემთხვევაში ეს წელი, ინვესტიციების თვალსაზრისით, საქართველოსთვის ერთ-ერთ დაბალ ნიშნულზე მყოფ წლად შეიძლება ქცეულიყო.

2012 წელს საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლებამ 28% შეადგინა.[177] ვინაიდან საქართველოს შიდა კაპიტალის ბაზარი კვლავ განუვითარებელია, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დაფინანსების გარე წყაროებზე და კერძოდ, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორულ ჭრილში 2008-2012 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, <http://www.geostat.ge/>
გადამოწმებულია ჩვენს მიერ 2013 წლის 19 მარტს.

ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისთვის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად გამოიყენება, რომელთა განხორციელებაც მხოლოდ ადგილობრივი საბანკო სექტორის დაფინანსებით შეუძლებელი იქნებოდა.

ათი წლის წინ, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, მათ შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აღნიშნავდა, რომ მიუხედავად მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, საქართველოსა და კავკასიის რეგიონში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სიმცირე არასახარბიელო საინვესტიციო კლიმატის მაჩვენებელი იყო, რაც სტრუქტურული რეფორმების ნაკლებობით იყო გამოწვეული. [65, გვ.228; 164, გვ. 54]

განსაკუთრებული შეშფოთების საგანი რეგიონში არსებული ხისტი საგადასახადო სისტემები, ყოვლისმომცველი კორუფცია, გადამეტებული სახელმწიფო ჩარევა, რეგულირების განუვითარებელი ბაზა და სუსტი იურიდიული სტრუქტურები იყო.[39, გვ.29] თუმცა, მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის „ბიზნესის კეთების სიადვილის ინდექსის“ მიხედვით, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ ყველა ზემოაღნიშნული კრიტერიუმით

შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია. [171] მრავალი ემპირიული ანალიზით დასტურდება, რომ ისეთი ინსტიტუციური ფაქტორები, როგორებიც ზემოთ იქნა ჩამოთვლილი, [59, გვ.83] მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე, მაგრამ ნაკლები ყურადღება ეთმობა ისეთ სამეცნიერო ნაშრომებს, რომლებიც პოლიტიკური რისკისა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების ურთიერთდამოკიდებულებაზეა ფოკუსირებული [63, გვ.232; 66, გვ.17; 80, გვ.32] ბოლო ათი წლის განმავლობაში, აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ზოგიერთ გარდამავალ ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა. [220, გვ.33]

მასპინძელი ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობა ორი მთავარი რისკის არსებობას ნიშნავს, რომლებიც ინვესტორმა ინვესტიციის ეკონომიკური ეფექტის ანალიზის დროს უნდა გაითვალისწინოს. ეს ფაქტორები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნის შემთხვევაში. პირველი რისკი შიდა არასტაბილურობას ან კონფლიქტს უკავშირდება, რამაც, შესაძლოა, საქმიანობის მომგებიანობა შეამციროს იმ ქვეყანაში, სადაც ასეთი ტიპის რისკი არსებობს, ვინაიდან შეიძლება საფრთხე შეექმნას გაყიდვებსა და ექსპორტს, შეჩერდეს წარმოება, ანდა დაზიანდეს რესურსები. მეორე რისკი არის ის, რომ პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, შესაძლოა, ქვეყნის ეროვნულ ვალუტაზე იმოქმედოს, რაც შეამცირებს როგორც ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტირებული აქტივების ღირებულებას, ასევე ნებისმიერ მოსალოდნელ მოგებას ინვესტიციაზე.


პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება მნიშვნელოვანწილად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწრაფად გამოვა გლობალური ეკონომიკა რეცესიიდან და რამდენად წარმატებულად გააგრძელებს და გააძლიერებს საქართველოს მთავრობა აქამდე არსებულ ეფექტიან საინვესტიციო პოლიტიკას. ახლად არჩეულმა მთავრობამ აღიარა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის და გამოთქვა მზადყოფნა, ხელი შეუწყოს მათ მოზიდვას ინვესტიციების დაცვის ზომების განხორციელებით და სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნესგარემოს შექმნით. [33]

აქტივების რენტაბელურობას, ანუ მოგებას ინვესტირებულ აქტივებზე, ინვესტორი ქვეყანაში ინვესტიციის დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას

აქცევს, რაც იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ეფექტიანად შეიძლება აქტივების გამოყენება შემოსავლების გენერირებისათვის. როგორც ნახაზიდან ჩანს (ნახაზი 2.2.9), ინვესტიციის მოგებად გარდაქმნის თვალსაზრისით საქართველოში უკეთესი მდგომარეობა 2011 წელს იყო. წინა წლებთან შედარებით, მდგომარეობა გაუარესდა და აქტივების რენტაბელურობა ახლა 0.5%-ს შეადგენს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბალმა დონემ, შესაძლოა, ადგილობრივი დანაზოგების ზრდა წახალისოს, რაც მთლიანი კაპიტალის ფორმირებას დაემატება; მთლიანი კაპიტალის ფორმირება კი დადებით კორელაციაშია ეკონომიკაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობასთან (ნახაზი 2.2.10).

ნახაზი 2.2.9

უკუგება აქტივებზე (2006-2012 წლები)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013), http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=140&lang=eng ნახაზი ჩვენს მიერ 20.10.2013

როდესაც კაპიტალის შემოდინება მცირდება, ხოლო ერთობლივი მოთხოვნა ფულზე ნარჩუნდება ან იზრდება, იზრდება ფასი რაც, თავის მხრივ, ადგილობრივი დანაზოგების სტიმულირებას ახდენს.


ჰოლანდია, აზერბაიჯანი, თურქეთი და გაერთიანებული სამეფო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შედარებით სტაბილურ წყაროებს წარმოადგენენ; გაერთიანებული სამეფოდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებმაც პიკს 2006 წელს მიაღწია 187 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციით,

მკვეთრად შემცირდა 2009 წელს, ხოლო 2010-2012 წლებში საშუალო წლიურ 59 მილიონ აშშ დოლარამდე დასტაბილურდა.

ჰოლანდიიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასეთ ზოგად ტენდენციას არ მიუყვება - როგორც 2007, ასევე 2011 წელს ამ ინვესტიციებმა 250 მილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა, 2006-დან დღემდე ყველა სხვა წლებში კი 18 მილიონიდან 136 მილიონ აშშ დოლარამდე მერყეობდა. [31](იხ. ნახ. 2.2.11 და 2.2.12)

ნახაზი 2.2.10


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მთლიანი კაპიტალის ფორმირება
2005-2011 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2013), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=140&lang=eng გადამოწმებულია ჩვენს მიერ 20.10.2013


ნახაზი 2.2.11

1996-2012 წლებში მსხვილი ინვესტორი სახელმწიფოები



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური <http://www.geostat.ge/> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 20.10.2013

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით 2013 წლის 6 თვის მდგომარეობით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა «საგარეო ეკონომიკურისაქმიანობის შესახებ») <http://www.geostat.ge/> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 09.10. 2013

ეს მსხვილი ინვესტიციები სტატისტიკას დაუცველს ხდის იმ ცვლილებების მიმართ, რაც ერთი მსხვილი ინვესტიციის დაკარგვამ შეიძლება გამოიწვიოს. საქართველომ შედარებით მცირე და უფრო სტაბილური ინვესტიციების მოზიდვა ვერ შეძლო.

ცხრილი 2.2.6

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2011-2013 წლები

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	2011	2012	I კვ. 2013*	II კვ. 2013*
სულ	1,117,244.1	911,564.3	226,213.7	232,395.4
მათ შორის:				
საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევა	853,477.8	729,669.2	147,670.1	164,041.1
პრივატიზაცია	61,811.9	5,370.2	20.7	140.7


საფინანსო სექტორი	201,954.4	176,524.8	78,522.8	68,213.6
----------------------	-----------	-----------	----------	----------

წყარო 1.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა «საგარეო ეკონომიკურისაქმიანობის შესახებ») <http://www.geostat.ge/>; 2. საქართველოს ეროვნული ბანკი; <http://www.nbg.gov.ge/> 3. საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრო; <http://www.economy.ge/> 4.საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური; <http://www.mof.ge/> ცხრილი შედგენილია და მონაცემები ნანახია ჩვენს მიერ 20. 10.2013

მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი (ნახაზი 2.2.13) (ამჟამად მშპ-ის 21.2%-ის ტოლი) და გარდამავალ პოლიტიკურ პერიოდთან დაკავშირებული გაურკვევლობა ქვეყნის ყველაზე დიდ რისკებად სახელდება.

ნახაზი 2.2.13

სავაჭრო, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-სთან (2009-2012 წლები)



წყარო: ფინანსთა სამინისტრო www.mof.ge გადამოწმებულია ჩვენს მიერ 15.10. 2013


საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის თანახმად, საქართველოს მიმდინარე ანგარიშის გაზრდილი დეფიციტი ნაწილობრივ ლარის მაღალი გაცვლის კურსის შედეგია (ნახაზი 2.2.14), რამაც იმპორტის მატება გამოიწვია და ქვეყნის სავაჭრო ბალანსი გააუარესა -5 465 მილიონ აშშ დოლარამდე (ნახაზი 2.2.15), ანუ ქვეყნის მშპ-ის 24.9%-მდე (ნახაზი 2.2.13), რაც 2007 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მონაცემია.

ადგილობრივ ვალუტაზე მოთხოვნის მატება ფულადი გზავნილების მოცულობის რეკორდულმა ზრდამ გამოიწვია, რომლებსაც ბენეფიციარები ადგილობრივ ვალუტაზე ცვლიან მოხმარებისათვის.

იმ პირობებში, როდესაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, ასეთი დეფიციტების დაფინანსება მზარდი საგარეო ვალდებულებებით ხდება. 2013 წლისთვის საქართველოს სახელმწიფო ვალი მშპ-ის 36.3%-ს შეადგენს. (ნახაზი 2.2.13)

ნახაზი 2.2.14

ოფიციალური გაცვლითი კურსი საქართველოში (2011-2012 წწ.)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.ge გადამოწმებულია ჩვენს მიერ 25.10. 2013

მეორე მხრივ, კორპორატიულმა სექტორმა 2012 წელს სამჯერ მოახდინა ევროობლიგაციების გამოშვების ინიცირება - 250 მილიონი აშშ დოლარის საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ, 500 მილიონი აშშ დოლარის საქართველოს რკინიგზამ და 250 მილიონი აშშ დოლარის საქართველოს ბანკმა. შედეგად, 2012 წლის მთლიანი საგარეო ვალი, 9.7 მილიარდ აშშ დოლარია რაც მშპ-ის 59.1%-ია. [226]

ნახაზი 2.2.15

საქონლით ვაჭრობა (მლნ. აშშ დოლარი 2007-2012 წწ.)



წყარო: World Bank – Georgia Partnership Country Program Snapshot. <http://www.worldbank.org> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 23. 10. 2013.


გლობალური ეკონომიკის გაუარესებამ შეიძლება შეამციროს ექსპორტი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და კაპიტალის სხვა ნაკადები, რომლებიც საქართველოს ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს. ამიტომ, ფისკალური კონსოლიდაცია აუცილებელ ზომად არის მიჩნეული იმისათვის, რომ შეიქმნას

საბიუჯეტო თანხებით მანევრირების დამატებითი შესაძლებლობა გადახდების შესასრულებლად უფრო დიდი გლობალური შოკის შემთხვევაში.[29]

2012 წელს, 2008-2009 წლის ეკონომიკური დაღმასვლის შემდეგ, იმპორტიცა და ექსპორტიც ზრდის ტენდენციას აჩვენებდა (ნახაზი 2.2.15) თუმცა, საქართველოს მიმდინარე ანგარიშის ბალანსი (სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის) კვლავ დეფიციტურია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ, ფულადი გზავნილების ნაკადებს თუ არ ჩავთვლით, ბევრად მეტი ღირებულება გაედინება ქვეყნიდან, ვიდრე შემოედინება. მიუხედავად იმისა, რომ 2000 წლის შემდეგ საქართველოს ექსპორტი შვიდჯერ გაიზარდა, რაც ქვეყნის მშპ-ის ზრდის შთამბეჭდავ ტემპს შეესაბამება, სხვაობა მთლიან ექსპორტსა და მთლიან იმპორტს შორის 14-ჯერ გაიზარდა იმავე პერიოდში.

ნახაზი 2.2.16

სავაჭრო, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი და საგარეო ვალი პროცენტულად მშპ-სთან (2009-2012 წწ.)




წყარო: <http://www.mof.ge/> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; ნანახია 21.10.2012

2012 წელს საქონლისა და მომსახურების იმპორტი 5464 მილიონი აშშ დოლარით მეტი იყო ექსპორტზე (2377 მილიონი აშშ დოლარის ექსპორტი და 7842 მილიონი აშშ დოლარის იმპორტი), რაც საკმაოდ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ტვირთს წარმოადგენს.

2012 წლის მონაცემების თანახმად, კონსოლიდირებული ბიუჯეტის მთლიანმა შემოსავლებმა 7,560.0 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 10%-იანი ზრდაა 2011 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით და მშპ-ის 28.9%-ს შეადგენს (რაც 0.7%-იანი ზრდაა). 2011 წელს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდა უფრო მაღალი იყო - 17%. მთლიანი ხარჯები 6,495,7 მილიონი ლარი იყო, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა (11%) წინა წელთან შედარებით და მშპ-ის 24.7%-ს შეადგენს (1%-იანი ზრდა) (ნახაზი 2.2.17).

ნახაზი 2.2.17

კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსავლები, ხარჯები და საოპერაციო საფასვრი, მლნ. ლარი (2002-2012 წწ.)




წყარო: <http://www.mof.ge/> საქართველოს ფინანსთა სამინისტრო; გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.10.2012

სამთავრობო ხარჯების მთელი მოცულობა ეფექტურობის მაქსიმალურ დონეს აღწევს, როდესაც მშპ-ის 13-14%-ს შეადგენს. მშპ-ში სამთავრობო ხარჯების ყოველი დამატებითი პროცენტული წილი ეკონომიკური ზრდის ტემპის 0.1-0.4%-იან შენელებას იწვევს. [153, გვ.58]

როდესაც ხარჯები მშპ-ის 30%-ს აღწევს, ისინი უარყოფითად მოქმედებს ზრდაზე, ანუ, სამთავრობო ხარჯების უმნიშვნელო ზრდა ეკონომიკის ზრდაზე დადებითად არ აისახება.

საქართველოს კონსოლიდირებული ბიუჯეტი (2008-2012 წწ)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <http://www.mof.ge/>; გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.10.2012

რესურსები, რომლებსაც ბიუჯეტი მოიცავს და ანაწილებს, ვერ გაიზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე ზოგადად ეკონომიკა. ამ კონტექსტში, საქართველომ საბიუჯეტო კონსოლიდაციის პერიოდის პიკი უკვე 2008 წლამდე გაიარა, ანუ, როდესაც შემოსავლებისა და ხარჯების ზრდის ტემპმა მაქსიმუმს მიაღწია (ნახაზი 2.2.17). ეს მოხდა საგადასახადო ადმინისტრირების როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი გაუმჯობესების ხარჯზე.

ცხრილი 2.2.7

კონსოლიდირებული ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები 2006-2012 წწ.

კონსოლიდირებული ბიუჯეტი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012
შემოსავლები (მლნ. ლარი)	3,850	4,793	5,854	5,265	5,866	6,873	7,560
ხარჯები (მლნ ლარი)	4,098	5,865	7,114	6,937	7,274	5,786	6,495


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <http://www.nbg.gov.ge/?m=306> ნანახია 19.02 2013

ეკონომიკა სწრაფად განვითარდა საბიუჯეტო კონსოლიდაციის დადებითი ტენდენციის ფონზე. ამკარაა, რომ ეკონომიკური ზრდის პოზიტიური შედეგები

თანაბრად ვერ გადანაწილდა ყველა სოციალურ ჯგუფზე, რაც დამახასიათებელია ყველა გარდამავალი ეკონომიკისთვის განვითარების ადრეულ ეტაპზე.

ნახაზი 2.2.19

მშპ-სა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტემპები 2003-12 წლები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <http://www.mof.ge/>; ნანახია 21.10.2012

მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში მონეტარული გადაცემის მექანიზმები შესუსტდა, რის გამოც გაჩნდა მთავრობების მიერ ფისკალური სტიმულირების საჭიროება, რაც დამატებით ვალის აღებას მოითხოვდა და გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. ომის შედეგების აღმოფხვრისთვის საქართველომ მიიღო დონორთა დახმარებები: ნაწილი გრანტების, ნაწილი კი შეღავათიანი სესხების სახით.

ამას დაემატა კრიზისულ პერიოდში მშპ-ს შემცირება და შედეგად 2008 წლიდან საგარეო და საშინაო ვალის ტვირთის ზრდა აღინიშნება. მართალია 2010 წელს საქართველოს ეკონომიკამ კრიზისიდან გამოსვლა დაიწყო, მაგრამ ამავე დროს მთავრობა კვლავ აგრძელებდა დონორთა მიერ გამოყოფილი სახსრების ათვისებას. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს გაიზარდა სახელმწიფო ვალი, საშუალო საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 2 პროცენტს შეადგენს, შედეგად ვალის მომსახურების ყოველწლიური ხარჯი არის მცირე. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ვალის

ძირითადი ნაწილი არის ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით მიღებული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საპროცენტო რისკი სახელმწიფო ვალისთვის დაბალია.

ამრიგად, რიგი მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტენდენცია მათი გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. უახლოესი წლების ეკონომიკური შედეგები დიდად არის დამოკიდებული ერთი მხრივ, ეკონომიკის განვითარების იმ სტრატეგიულ ხედვაზე, რომელსაც ხელისუფლება შეიმუშავებს და მეორე მხრივ იმაზე, თუ რამდენად სწორად დაიკავეს ქვეყანა თავის ნიშას კავკასიასა თუ რეგიონში. 2008 წლის შემდეგ საქართველომ სწრაფად შეძლო დაწეოდა და გაესწრო კიდევ საკმაოდ ბევრი ქვეყნისთვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის მაჩვენებლის მიხედვით. ამავე დროს, სოციალური უთანასწორობა კიდევ უფრო გაღმავდა. ეს მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნება მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში უფრო პრობლემურია იმ ქვეყნებში, სადაც განვითარების ზომიერი ტემპია, ვიდრე ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში. ამ ეტაპზე სოციალური უთანასწორობის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ჯანდაცვის, განათლების და ინფრასტრუქტურის რადიკალური გაუმჯობესების კონტექსტში. რაც შეეხება საქართველოს, სახელმწიფომ ბიუჯეტის კონსოლიდაციაში გარკვეულ სტაბილურობას უკვე მიაღწია, განსხვავებით სოციალური პრობლემებისგან და შედეგად, შემოსავლის განაწილებაზე დიდი სოციალური მოთხოვნა არსებობს;


2012 წლის იანვარში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა მიმდინარე წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეამცირა ევროზონაში ვითარების მოსალოდნელი გაუარესების გამო. მათ მიაჩნიათ, რომ საკმარისი საფუძველი არსებობს იმის სავარაუდოდ, რომ საბაზისო სცენარი შეიცვლება. ეს მოხდება აღმოსავლეთ ევროპის და რეგიონის სხვა ქვეყნების ევროზონის ბანკებთან მჭიდრო ინტეგრირების, ფულადი გზავნილების შესაძლო კლების, რეგიონში მიმდინარე მოვლენების, სხვა ქვეყნებზე ზემოქმედების და ასევე, სასაქონლო ფასების ზოგადი კლების შედეგად. ამრიგად, ევროზონაში არსებულმა კრიზისმა შეიძლება გარდამავალი ქვეყნების წარმოების დონეებზე უარყოფითად იმოქმედოს ფინანსური, სავაჭრო და ფულადი გზავნილების არხების მეშვეობით. მეტიც, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო საკმაოდ დიდი მოცულობის პირდაპირ

უცხოურ ინვესტიციებს იღებს ევროკავშირის ქვეყნებისგან (მთელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაახლოებით 60%), ევროზონაში მოსალოდნელმა უარყოფითმა მოვლენებმა შესაძლოა საქართველოდან კაპიტალის გადინება ან კაპიტალის შემოდინების შემცირება გამოიწვიოს. საქართველო ნაკლებად არის ინტეგრირებული ევროპულ ბაზარში და ქვეყანამ, შესაძლოა, ვაჭრობის თვალსაზრისით დიდი ზეწოლა არ განიცადოს, თუმცა ფულადი გზავნილების კუთხით ზემოქმედება უმნიშვნელო არ იქნება (საქართველოში ფულადი გზავნილების 21% ევრო ზონის ქვეყნებიდან შემოდის). ამრიგად, მიგვაჩნია, რომ სსფ-ის თავდაპირველი პროგნოზები 2013 წლის რეალობას არ ასახავს და სავარაუდოდ, შეიცვლება.

2.3. დემოგრაფია და სოციალური სიტუაცია საქართველოში

საქართველოში სამუშაო ძალის რიცხოვნობა 2010 წლის მონაცემებით შეადგენდა 1,945 მლნ კაცს, ამ მონაცემით საქართველო მსოფლიოში 121-ე ადგილზე დგას. აქედან 55,6% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, 8,0% - მრეწველობაში და 35,5% მომსახურების სფეროში. უმუშევრობის დონე ოფიციალური მონაცემებით 2011 წელს შეადგენდა მოსახლეობის 15,1%-ს (16,2% იყო 2010 წ.) და ამ მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 155-ე ადგილს იკავებს. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა რიცხვი მოსახლეობის მთელი რიცხოვნობის 9,7 %-ია. ჯინის ინდექსმა, ანუ ყველაზე უზრუნველყოფილი მოახლეობის 10%-ის შემოსავლების შეფარდებამ ყველაზე არაუზრუნველყოფილი ნაწილის შემოსავლებთან შეადგინა 40,9 და 56-ე ადგილი დაიკავა მსოფლიოში. შედარებისთვის - ეს ინდექსი 37,1 იყო 1996 წელს, ანუ 16 წლის განმავლობაში ის 3,8-ით არის გაზრდილი. [227]

მომუშავეთა რიცხოვნობა სექტორების მიხედვით



საქართველოს მოსახლეობის მსიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია ეკონომიკის არაფორმალურ სექტორში. იმათაგან, ვინც მუშაობს ოფიციალურად, დაახლოებით 50% დაკავებულია საბიუჯეტო სექტორში, დაახლოებით 16% - სახელმწიფო კომპანიებში. კერძო სექტორი ჯერჯერობით ვერ თამაშობს აქტიურ როლს დასაქმების საკილხში. [130] უმუშევრობის დონე ოფიციალური მონაცემების თანახმად შეადგენს 15,1%-ს. აქედან ქალაქის მოსახლეობაზე მოდის 28,8 %. [31]

1990 წელს საქართველოში დასაქმებამ 100% შეადგინა, 1991 წელს ოფიციალურად უმუშევარი იყო მხოლოდ 3500 კაცი, 1992 წელს უმუშევრობის დონე 32-ჯერ გაიზარდა და 113 ათასი კაცი შეადგინა, 1993 წელს უმუშევართა რიცხვი კიდევ 60%-ით გაიზარდა და 180 ათასი კაცი შეადგინა. დღეისათვის, ოფიციალური ინფორმაციით, უმუშევარია 330 ათასი კაცი.

რადგან მომუშავეთა დიდი ნაწილი მიეკუთვნება თვითდამსაქმებელთა კატეგორიას სოფლის მეურნეობაში, სადაც წარმოების მოცულობის მაჩვენებელი უმნიშვნელოა, უმუშევრობის ფორმალური მაჩვენებლები ვერ ასახენ შრომის ბაზარზე არსებულ რეალურ სიტუაციას. 2011 წელს ამერიკის ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტის - NDI-ის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 73% თვლის თავს დაუსაქმებლად. აქედან 41% თავს უწოდებს უმუშევარს, 25% პენსიონერია, რომელიც ეძებს სამუშაოს, დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები გააჩნია გამოკითხულთა 81%-ს. ჩატარებული რეფორმები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს დადებით ძვრებს ამ საკითხში.

აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის აღნიშნული დონე ეფუძნება ორ სტატისტიკურ-მეთოდოლოგიურ დაშვებას, რომლებიც “ანელებენ” აღნიშნული პრობლემის სიმწვავეს: 1. უმუშევრებს არ მიეკუთვნება ე.წ. თვითდასაქმებულები. 2. უმუშევრობის დონე გაანგარიშებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის “მკაცრი” კრიტერიუმით.

მოსახლეობის აღწარმოების ანალიზმა ცხადყო, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში საქართველო უკვე დემოგრაფიულად დაბერებული ქვეყნა იყო. 90-იანი წლებიდან მწვავე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის გამო კი ეს პროცესი კიდევ უფრო გამწვავდა. ამჟამად საქართველოში ყოველი მეექვსე ადამიანი 59 წელსაა გადაცილებული, 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, 1970 წლის მაჩვენებელთან შედარებით, გაორმაგებულია და 13.8% შეადგენს.

დაბერების ზღვრად ითვლება მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში ამ ასაკის მოსახლეობის 7%. თუ 1970 წელს 64 წელს გადაცილებული მოსახლეობა 0-14 წლამდე ასაკის მოსახლეობის მხოლოდ 26.2% -ს შეადგენდა 2011 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 81.2% -ს მიაღწია. აღნიშნულ პერიოდში 0-14 წლის ასაკის მოსახლეობა 1 425.8 ათ. კაციდან შემცირდა 759.8 ათ. კაცამდე, ხოლო 64 წელს გადაცილებულები 373.9 ათასიდან გაიზარდა 616.7 ათასამდე, ანუ 0-14 წლის ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში 30.5% -დან შემცირდა 17.0%-მდე, ხოლო 64 წელს გადაცილებულთა ხვედრითი წილი 8.0%-დან გაიზარდა 13.8%-მდე. შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეიცვალა დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი.

0-14 წლიანების მიხედვით ეს მაჩვენებელი 49.6%-დან 24.6%-მდე შემცირდა, ხოლო 64 წელს გადაცილებულების მიხედვით 13.0%-დან 19.9%-მდე გაიზარდა (იხ. ცხრილი 2.3.1). მაშასადამე, დემოგრაფიულმა დაბერებამ ჩვენს ქვეყანაში გამოიწვია მთელ რიგ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. კერძოდ, სახეზეა მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში შრომისუნარიანზე მაღალი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილის მკვეთრი ზრდა და შრომისუნარიანი მოსახლეობის ეკონომიკური დატვირთვის ზრდა.

დემოგრაფიული დატვირთვის გაზრდის გამო საქართველოს იმდროინდელმა ხელისუფლებამ ნაწილობრივ იპოვა გამოსავალი და 90-იანი წლების ბოლოს საპენსიო ასაკი ხუთი წლით გაზარდა (ამჟამად საპენსიო ასაკი მამაკაცებისათვის 65 წელია, ხოლო ქალებისათვის 60 წელი).

ლოგიკურია, რომ საპენსიო ასაკის გაზრდას მოჰყვა პენსიონერთა რიცხოვნობისა და ხვედრითი წილის შემცირება. თუ 1995 წელს პენსიონერთა ხვედრითიწილი მთელ მოსახლეობაში 23.0% იყო, 2011 წლისათვის მან 18,5% შეადგინა. მაგრამ, მოსახლეობის დაბერების პროცესის უწყვეტობის გამო, ასაკით პენსიონერთა რიცხოვნობა 2011 წელს 2000 წელთან შედარებით 116.4 ათასით გაიზარდა (550,0 ათასიდან 666.4 ათასამდე).

ცხრილი 2.3.1

საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (ათასი კაცი)

	1970	1989	2002	2011
ათასი კაცი				
მოსახლეობა სულ	4 674.6	5400.8	4371.5	4 469.2
0-14 წლის ასაკის	1 425.8	1 338.5	918.0	759.8
15-64 წლის ასაკის	2 874.9	3 584.3	2 898.3	3 092.7
64 წელს გადაცილებულები	373.9	487.0	555.2	616.7
პროცენტებში				
მოსახლეობა სულ	100	100	100	100
0-14 წლის ასაკის	30.5	24.7	21.0	17.0
15-64 წლის ასაკის	61.5	66.5	66.3	69.2
64 წელს გადაცილებულები	8.0	8.8	12.7	13.8
დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებელი				
(თანაფარდობა 15-64 წლიანებთან):				
ა. 0-14 წლიანების მიხედვით	49.6	37.1	31.7	24.6
ბ. 64 წელს გადაცილებულთა მიხედვით	13.0	13.2	19.2	19.9
დაბერების ინდექსი:				
64 წელს გადაცილებულთა თანაფარდობა 0-14 წლის ასაკის მოსახლეობასთან	26.2	35.6	60.5	81.2

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge გადამოწმებულია ჩვენს მიერ 12.12. 2012

საპენსიო უზრუნველყოფის საკითხი კი კვლავ მოუგვარებელი დარჩა და კიდევ უფრო გამწვავდა.

მოპოვებული ინფორმაციის ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი ადასტურებს, რომ პენსიონერთა სიცოცხლის მაღალი ხარისხის მიღწევა ჩვენს

ქვეყანაში ჯერჯერობით შეუძლებელია. ვინაიდან დღეისათვის საქართველოში მოქმედი სოციალური დახმარების სისტემა და საპენსიო უზრუნველყოფა ვერ პასუხობს ამ სისტემისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ, ვერ უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რეალურ დახმარებას (თუნდაც საარსებო მინიმუმის დონეზე), არ არის ეკონომიკურად და სოციალურად ეფექტიანი, არ შეესაბამება ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და სოციალური სტაბილურობის უზრუნველყოფის ამოცანებს.

მართალია, ბოლო პერიოდში საქართველოში პენსიის სიდიდე ეტაპობრივად გაიზარდა და 2011 წლის სექტემბრისათვის 100 ლარი შეადგინა, რაც 2003 წლის პენსიის სიდიდეს 7,1-ჯერ აღემატება (2003 წელში პენსია 14 ლარი იყო), მაგრამ ამით თითქმის არაფერი არ შეცვლილა.

დღეისათვის პენსიონერთა საშუალო პენსია 1/3-ით ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, ანუ საშუალო პენსია შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის ოფიციალური საარსებო მინიმუმის მხოლოდ 70%-ს შეადგენს, თავისი მსყიდველობითი უნარიანობით კი იგი ორი ათეული წლის წინანდელი მინიმალური პენსიის დაახლოებით 45%-ის ეკვივალენტურია და ფაქტობრივად, მხოლოდ სოციალური დახმარების ფუნქციის მქონეა.

გამომდინარე აქედან, პენსიონერთა ფიზიკური არსებობა მთლიანად მათსავე საქმიანობაზე და ახლობლების დახმარებაზეა დამოკიდებული. მაშინ როდესაც პენსია საგრძნობლად ჩამორჩება საარსებო მინიმუმს, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (რომელიც ჩვენს ქვეყანაში მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია) დაახლოებით 3-4 -ჯერ აღემატება საარსებო მინიმუმს.

საარსებო მინიმუმი, საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი და პენსია

2004-2010 წლები (ლარებში)

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი	96.2	98,3	98,3	115.9	130.7	126.1	149.5
საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი	156.2	204,2	277.9	368.1	534.9	534.9	534.9
საშუალო თვიური პენსია	28	33	38	55	70	80	90

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge გადამოწმებულია ჩვენს მიერ 12.12. 2012

პენსიონერთა სოციალური უზრუნველყოფის კუთხით საინტერესო სურათს იძლევა საქართველოსა და მეზობელი პოსტსაბჭოური ქვეყნების შედარება.

უნდა ითქვას, რომ დღეს საქართველო არა მარტო პენსიის სიდიდით, არამედ ოფიციალურ საარსებო მინიმუმთან და საშუალო ხელფასთან პენსიის თანაფარდობითაც საგრძნობლად ჩამორჩება მეზობელი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ჩვენს ქვეყანაში საშუალო პენსია საარსებო მინიმუმის 70% და საშუალო ხელფასის მხოლოდ 14.7%-ს შეადგენს. ეს თანაფარდობა გაცილებით უკეთესია მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ რუსეთში საშუალო პენსია საარსებო მინიმუმს 1.6-ჯერ აღემატება და საშუალო ხელფასის 35,8%-ს შეადგენს, აზერბაიჯანში საშუალო პენსია საარსებო მინიმუმს 1.05-ჯერ სჭარბობს და საშუალო ხელფასის 31.3%-ს შეადგენს, საქართველოზე უკეთესი მდგომარეობა ასევე სასომხეთში.

როგორც ვხედავთ, მშპ-ს ერთსულ მოსახლეზე მსიყდველობით უნარიანი პარიტეტის მიხედვითაც საგრძნობლად ჩამოვრჩებით სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ქვეყნებს.

მსოფლიოში ამ ინდიკატორის განაწილების სურათი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს საყოველთაო ფინანსური კრიზისის მასშტაბების შესახებ. ამ ანალიზით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით საქართველოში რა მდგომარეობა გვაქვს სხვა ქვეყნებთან შედარებით.


საშუალო პენსიის თანაფარდობა საარსებო მინიმუმსა და საშუალო ხელფასთან

	საპენსიო ასაკი		საშუალო პენსია (აშშ დოლარი)	საშუალო პენსიის თანაფარდობა საარსებო მინიმუმთან (%)	საშუალო პენსიის თანაფარდობა საშუალო ხელფასთან (%)
	კაცი	ქალი			
საქართველო	65	60	60	70	14.7
სომხეთი	65	63	73	85	25.5
აზერბაიჯანი	62	57	126	105	31.3
რუსეთის ფედერაცია	60	55	311	160	35.8

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge გადამოწმებულია ჩვენს მიერ 12.12. 2012

მიუხედავად უმუშევრობის მაღალი დონისა ახალგაზრდებში, საქართველოს ამ მხრივ თავისი სპეციფიკა აქვს: 2003 წლის შემდეგ. მმართველობით ორგანოებში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდების მასობრივმა მოსვლამ გააჩინა ერთგვარი ეიჯიზმის სინდრომი – მკაფიოდ გამოხატული დისკრიმინაციული დამოკიდებულება საშუალო და უფროსი ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა მიმართ. ეს კარგად ჩანს დაქირავებით დასაქმებულთა ასაკობრივ დინამიკაში.

მშპ ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში 2000-2012 წლებში



წყარო: World maps of GDP (PPP), 2010 International Monetary Fund <http://www.imf.org/external/index.htm>
გადამოწმებულია ჩვენს მიერ 12.12. 2012

შესაბამის ასაკობრივი ჯგუფის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობიდან დაქირავებით დასაქმებულთა ყველაზე მაღალი წილი სწორედ ახალგაზრდებშია. მათ შორის, დაქირავებით დასაქმების დონე საშუალო ქვეყნისმიერ მაჩვენებელს დაახლოებით 1.4-ჯერ, ხოლო წინასაპენსიო ასაკის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მაჩვენებელს – 1.5-ჯერ უსწრებს.

დღეს საქართველოში მოახლეობის დემოგრაფიულ დაბერებასთან დაკავშირებული მთავარი სოციალური პრობლემა პენსიონერი მოსახლეობის ეკონომიკური უზრუნველყოფაა. ამჟამად საქართველოში 826.8 ათასი პენსიონერიდან 80.6% ასაკით პენსიონერია და ეს მაჩვენებელი დღითი დღე იზრდება. დღევანდელი მდგომარეობით ჩვენს ქვეყანაში პენსიებს განსაზღვრავს და გასცემს მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი. კერძო საპენსიო სისტემა კი ჯერჯერობით ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ამ კუთხით ქვეყანაში უნდა მოხდეს რადიკალური ცვლილებები, თორემ მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებები, დასაქმების სფეროში არსებული მდგომარეობა, სიღარიბის მაჩვენებელთა დინამიკა გვაფიქრებინებს, რომ უახლოეს მომავალში სახელმწიფოს კიდევ უფრო გაუჭირდება სოციალურად დაუცველი ფენების შენახვა და მათთვის რეალური დახმარების აღმოჩენა. [10, გვ.61].

თავი 3. საქართველოს გეოეკონომიკური გარემო რეგიონების და ქვეყნების კონტექსტში

3.1. ევროკავშირის გეოეკონომიკური დახასიათება

ევროკავშირი 27 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა. ევროკავშირის ძირითად კანონმდებლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები. ეს ხელშეკრულებები საფუძველს უყრის ევროკავშირის პოლიტიკას, აფუძნებს მის ინსტიტუციონალურ სტრუქტურას, საკანონმდებლო პროცედურებს და უფლებამოსილებებს.

ევროკავშირის ძირითადი ინსტიტუტებია: ევროპის პარლამენტი, ევროპის საბჭო, ევროკავშირის საბჭო და ევროკომისია.

ევროპის პარლამენტი ირჩევა 5 წელიწადში ერთხელ ევროკავშირის ხალხის მიერ მისი ინტერესების წარსადგენად. ევროპარლამენტის მთავარ საქმიანობას წარმოადგენს ევროპული კანონების მიღება ევროკომისიის მიერ წარდგენილი წინადადებების საფუძველზე. პარლამენტის მთავარი სხდომები იმართება სტრასბურგში (საფრანგეთი), ხოლო დანარჩენი ბრიუსელში (ბელგია). [8,]

ევროპის საბჭო შედგება წევრი ქვეყნების მთავრობისა ან სახელმწიფოს ხელმძღვანელებისგან მის პრეზიდენტსა და კომისიის პრეზიდენტთან ერთად. მის მუშაობაში მონაწილეობას იღებს ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი. ევროპის საბჭო განსაზღვრავს ევროკავშირის ზოგად პოლიტიკასა და პრიორიტეტებს. მას არ აქვს საკანონმდებლო ფუნქციები. ევროპის საბჭო ჩვეულებრივ, ბრიუსელში იკრიბება. [9]

ევროკავშირის საბჭო ევროკავშირის გადაწყვეტილებების ძირითადი მიმღები ორგანოა. იგი იზიარებს პასუხისმგებლობას ევროპის პარლამენტთან ერთად ევროკავშირის კანონების მიღებაზე. ევროკავშირის საბჭო შედგება ევროკავშირის ყველა ქვეყნის ეროვნულ მთავრობათა მინისტრებისგან. [70]

ევროკომისია ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოა და ევროკავშირის საერთო ინტერესს წარმოადგენს. იგი შეიმუშავებს ახალ ევროპულ კანონების პროექტებს, რომელსაც წარუდგენს ევროპის პარლამენტსა და საბჭოს. იგი პრაქტიკაში

განახორციელებს ევროკავშირის საერთო პოლიტიკას და განაგებს ევროკავშირის ფონდებსა და პროგრამებს. [80]

მნიშვნელოვანია ევროკავშირის ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის ჩამოყალიბების გენეზისი. ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა იდეა გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები. შედეგად 1951 წელს შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, რომელშიც შევიდა 6 სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი სუპრაეროვნული (იგივე ზეეროვნული) ორგანო (High Authority). [82, გვ.125-135; 183, გვ 297-317]

ამ დროს ევროპაში გავრცელებული იყო ე.წ. ნეოფუნქციონალისტური დამოკიდებულება, რომელიც ეფუძნებოდა ე.წ. “გადაღვრის იდეას” [101, გვ. 297-317]. ამ იდეის თანახმად, ინტეგრაციის პროცესები ერთ სფეროში (ფოლადი, ნახშირი) გამოიწვევს ინტეგრაციის პროცესების დაწყებას (გადაღვრას) სხვა სფეროებში (საერთო ბაზარი, საბაჟო ტარიფების შემცირება, საერთო სოფლის მეურნეობა და ა.შ.). ეკონომიკური ინტეგრაცია საწინდარი იყო მომავალი პოლიტიკური ინტეგრაციისა. შუმანის გეგმის მიხედვით სუპრაეროვნული ორგანიზაციისთვის უმნიშვნელოვანესი რესურსების - ნახშირის და ფოლადის ჩაბარება ემსახურებოდა ერთ მიზანს - უზრუნველყო გერმანიის და საფრანგეთის მშვიდობიანი თანაცხოვრება და გაელრმავებინა ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური და შემდგომში პოლიტიკური დამოუკიდებლობა. [162; 163]

1959 წელს დიდი ბრიტანეთის თაოსნობით, კერძოდ პრემიერ მინისტრ მაკმილანის ინიციატივით შეიქმნა შვიდი სახელმწიფოს ეკონომიკური გაერთიანება, რომელშიც შევიდნენ ევროგაერთიანების გარეთ მყოფი ევროპული სახელმწიფოები: ბრიტანეთი, ავსტრია, დანია, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი და შვეიცარია. მოგვიანებით შეუერთდნენ ისლანდია, ფინეთი და ლიხტენშტეინი. 1973 წელს ევროკავშირის პირველი გაფართოების შედეგად ბრიტანეთი და დანია

ევროგაერთიანებაში შევიდნენ. 1986 წელს ევროგაერთიანებაში მოხვდა პორტუგალია, 1995 წელს კი ავსტრია, ფინეთი და შვედეთი. [97]

ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის ერთ-ერთი უპირველესი მიზანი იყო დაემყარებინა თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები წევრებს შორის და კონკურენცია გაეწია ე.წ. “ექვსი ურჩისთვის” - ევროგაერთიანების წევრი ქვეყნებისთვის. რა თქმა უნდა, ბრიტანეთის სიმპათიები ასეთი ორგანიზაციის მხარეს უფრო იყო, რადგან თავისუფალი ვაჭრობის არეალი სხვა არაფერი იყო თუ არა ეკონომიკური კავშირი, რომელიც არავითარ საფრთხეს არ უქადდა ბრიტანეთის სუვერენიტეტს და პოლიტიკურ ინტერესებს. ანუ იგი, ევროგაერთიანების წევრი ქვეყნებისგან განსხვავებით მხოლოდ ეკონომიკურად იყო დაკავშირებული ამ გაერთიანებასთან და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა.

1960-74 წლებში დასავლეთ ევროპაში ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი იყო. ამ ხნის განმავლობაში მომხმარებლების მსყიდველობითი უნარი თითქმის ორჯერ გაიზარდა. ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებამ ამ პერიოდში რამდენიმე სახის რეფორმა განახორციელა. დაიწყო საერთო აგრარული პოლიტიკის განვითარება და სხვა ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები. წარმატებამ თავის მხრივ უკვე დიდი ბრიტანეთიც დააინტერესა, რომელმაც ბოლოსდაბოლოს მოისურვა შეერთებოდა ეკონომიკურ გაერთიანებას. პირველი განაცხადი გაერთიანებაში შესვლაზე პრემიერ მინისტრმა მაკმილანმა 1961 წელს შეიტანა. მიუხედავად საფრანგეთის პრემიერ მინისტრ პომპიდუს დადებითი დამოკიდებულებისა, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ვეტო დაადო ბრიტანეთის მიღებას ევროპულ გაერთიანებაში [73]. დამოკიდებულება დიდი ბრიტანეთის მიმართ შეიცვალა მას შემდეგ რაც საფრანგეთის და გერმანიის სათავეში 1969 წელს მოვიდნენ ჟორჟ პომპიდუ და ვილი ბრანდტი. ამის შემდეგ ბრიტანეთის ევროპის გაერთიანებაში ინტეგრაციის პროცესი დაჩქარდა. [131]

1973 წელს პირველი გაფართოების შედეგად ევროგაერთიანებაში შევიდნენ დიდი ბრიტანეთი, დანია და ირლანდია. [96] ამავე წელს ევროგაერთიანების წევრი უნდა გამხდარიყო ნორვეგიაც - ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც რეფერენდუმზე

ჩააგდო გაერთიანებაში შესვლა. ნორვეგია დღესაც არ არის ევროკავშირის წევრი. [127, გვ.133]

ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წარმატება ძირითადად ეფუძნებოდა მუდმივ კომპრომისებს წევრ სახელმწიფოებს შორის, ანუ იმისთვის, რომ გადაწყვეტილება მიეღოთ საჭირო იყო ყველა წევრის თანხმობა. ეს არის ერთხმოვანების პრინციპი. 1977 წელს ევროპული კომისიის პრეზიდენტი გახდა როი ჯენკინსი, რომელმაც შემოიტანა ევროპის სავალუტო სისტემის იდეა. ევროპის სავალუტო კავშირის მხარდასაჭერად ჯენკინსმა გადმოიბირა საფრანგეთის პრეზიდენტი ჟისკარ დ'ესტენი და გერმანიის კანცლერი ჰელმუტ შმიდტი, თუმცა ვერ შეძლო ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის ჯეიმს კალაჰანის დათანხმება. მიუხედავად ამისა ევროპის სავალუტო კავშირი ძალაში შევიდა 1979 წლიდან და მისი განვითარება დაიგეგმა საფეხურების მიხედვით. ევროპის სავალუტო სისტემის მთავარ მიზანს ევროგაერთიანების წევრი სახელმწიფოთა ვალუტებს შორის რყევების შემცირება და ინფლაციის დონის დარეგულირება წარმოადგენდა. შემოღებული იქნა ახალი ევროპული ვალუტა - ეკიუ. ევროპის სავალუტო სისტემამ თავისი ფუნქციები ამოწურა მას შემდეგ რაც 1999 წელს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები გადავიდნენ ახალ ფულად ერთეულზე - ევროზე. [122, გვ.120-125]

ამავე პერიოდში მოხდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანების გაფართოება. საბერძნეთმა, რომელთანაც 1969-1974 წლებში ურთიერთობები გაყინული იყო, მოახერხა დემოკრატიის აღდგენა ქვეყანაში და პირველი ოფიციალური განაცხადიც შეიტანა ევროგაერთიანების წევრობაზე. საბერძნეთი ვერანაირ ეკონომიკურ კრიტერიუმებში ვერ ჯდებოდა. მიუხედავად ამისა მინისტრთა საბჭო და ევროპული საბჭო მომხრე იყო საბერძნეთის პოლიტიკური მოსაზრებით ევროგაერთიანებაში მიღებისა, რათა არ მომხდარიყო აღორძინებული დემოკრატიის დაკარგვა და კომუნიზმის გავრცელება. ყოველივე ეს დაემთხვა ესპანეთის და პორტუგალიის მისწრაფებებსაც მოეხდინათ მჭიდრო ინტეგრაცია ევროპულ გაერთიანებასთან.

ესპანეთიც და პორტუგალიაც, საბერძნეთის მსგავსად სამხედრო დიქტატურიდან ახლად განთავისუფლებული ქვეყნები იყვნენ, ამიტომ ევროპული სახელმწიფოები არ ჩქარობდნენ მათთვის უარის თქმას. [52, გვ.540-542] საბერძნეთი

ევროგაერთიანებას 1981 წელს, [132] პორტუგალია და ესპანეთი კი მოგვიანებით, 1986 წელს შეუერთდნენ. [133] გაფართოებასთან ერთად ევროპას ახალი ტიპის პრობლემების წინაშე დადგა. ეს იყო საფრთხე ევროპის გაერთიანებაში ნაჭარბი პროდუქტების ზრდისა. შესაბამისად ესპანეთს მოუხდა ბევრ კომპრომისზე წასვლა, რათა დაეკმაყოფილებინა საფრანგეთის და სხვა ქვეყნების აგრარული ინტერესები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლითაც 70-იანი წლები აღინიშნა, იყო ევროპარლამენტის არჩევითობის შემოღება. მიუხედავად იმისა, რომ რომის ხელშეკრულება ითვალისწინებდა ასამბლეის წევრების არჩევითობას, წევრი სახელმწიფოები ამჯობინებდნენ თავად წარეგზავნათ პარლამენტარები ევროპულ ფორუმში (პარლამენტში).

1974 წელს პარიზის დადგენილებით მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაემავთ პარლამენტარების არჩევითობა. საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი პარლამენტარების წარგზავნის მომხრეები იყვნენ, ხოლო ევროგაერთიანების მცირე წევრი-სახელმწიფოების უმრავლესობა, მათ შორის იტალიაც მხარს უჭერდა ევროპარლამენტარების არჩევითობას. საბოლოოდ პირველი არჩევნები 1979 წელს ჩატარდა და საფუძველი დაედო ახალი პარლამენტარიზმის აღმოცენებას ევროპულ გაერთიანებაში. აღსანიშნავია, რომ არჩევითობის პირველი შედეგები უმაღვე თვალნათელი არ ყოფილა, თუმცა პარლამენტის გაზრდილი როლი აშკარა გახდა ერთიანი ევროპული აქტის და ევროკავშირის დამფუძნებელი მასტრიხტის ხელშეკრულების მიღების შემდეგ [134].

1979 წელს ევროპარლამენტის არჩევნების ჩატარებამ წარმოშვა შესაძლებლობა ევროპული გაერთიანების მომავალი რეფორმებისათვის. ევროპარლამენტის ფუნქციების გაფართოება მჭიდროდ უკავშირდება ალტიერო სპინელის სახელს. სპინელიმ 1980 წელს ჩამოაყალიბა ე.წ. “ნიანგის კლუბი”, რომელიც მიზნად ისახავდა ევრო გაერთიანების გაძლიერებას და პარლამენტის როლის გაფართოებას. [69, გვ.300-335] მან მიაღწია, რომ ევროგაერთიანებაში შექმნილიყო ინსტიტუციონალური საკითხების კომიტეტი, სადაც დაიწყო ევროპის გაერთიანებისთვის აქტუალური საკითხების წამოჭრა.

კიდევ ერთი პრობლემა რომელიც 70-იანი და 80-იანი წლების მიჯნაზე წარმოიშვა, დაკავშირებული იყო დიდი ბრიტანეთის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ბიუჯეტში გადახდილ უზარმაზარ თანხებთან. 1984 წელს ფონტენბლუმში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც დიდი ბრიტანეთის ფინანსური შენატანი ევროპული გაერთიანების ბიუჯეტში საგრძნობლად შემცირდა. დიდმა ბრიტანეთმა დაზოგა 10 მლრდ. გირვანქა სტერლინგზე მეტი 1984-1990 წლებში. ამასთან დიდი ბრიტანეთის საბიუჯეტო ინტერესების დაკმაყოფილებამ გზა გაუხსნა ახალ ინიციატივებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს - ერთიანი ბაზრის შექმნას.

1986 წელს ხელი მოეწერა ერთიან ევროპულ აქტს, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ ძირითად სიახლეებს:

- მთავრობებისა და სახელმწიფოების ლიდერთა პერიოდულ შეხვედრებს ევროპულ საბჭოში და პარლამენტის ძალაუფლების გაძლიერებას.
- 1992 წლის 31 დეკემბრამდე ერთიანი ბაზრის შექმნას ევროგაერთიანების წევრ-სახელმწიფოებს შორის, რაც გულისხმობს ყოველგვარი ბარიერებისა (ქვოტები, ტარიფები) და ეკონომიკური დაბრკოლებებისაგან თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეს, სადაც თავისუფლად უნდა მოხდეს ე.წ. “4 სახის თავისუფლების” (ადამიანები, პროდუქცია, მომსახურება და კაპიტალი) გადაადგილება. ამ მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა 300-მდე სხვადასხვა ღონისძიებების გატარება. 1992 წელს ამ ღონისძიებათაგან თითქმის ყველა (95%) წარმატებით განხორციელდა და ევროგაერთიანების შიგნით ამოქმედდა ერთიანი ბაზარი.
- წევრ-სახელმწიფოთა შორის ერთიანი სავალუტო პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა ერთიან ევროპულ ვალუტაზე - ევროზე გადასვლა.
- ეკონომიკურ და სოციალურ გათანაბრებას - როგორც ევროგაერთიანების წევრ-სახელმწიფოებს, ასევე ამ სახელმწიფოთა სახვადასხვა რეგიონებს შორის არსებული ეკონომიკური და სოციალური სხვაობის დაძლევის, ანუ

ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარებულ ქვეყნებთან დაწევას და ქვეყნების შიგნით არსებული ჩამორჩენილი რეგიონების განვითარებულ რეგიონებთან გათანაბრებას. ამ მიზნის მისაღწევად შეიქმნა ე.წ. სტრუქტურული და გათანაბრების ფონდები (ევროპის რეგიონული განვითარების ფონდი, ევროპის სოციალური ფონდი და სხვ.), რომლებშიც ევროპული ბიუჯეტიდან ირიცხება თანხები ჩამორჩენილი რეგიონებისა და ქვეყნების განვითარებისთვის. 1993 წელს სტრუქტურულ ფონდებში გადარიცხულმა თანხამ მთლიანი ევროპული ბიუჯეტის 25% შეადგინა.

ერთიანი ევროპული აქტის მიღების შემდეგ დღის წესრიგში დადგა საერთო ბაზრის საბოლოო ფაზაში შეყვანის საკითხი. ევროპის გაერთიანების რამდენიმე ქვეყანამ და განსაკუთრებით საფრანგეთმა პრიორიტეტად დაისახეს ერთიანი ბაზრისთვის საბოლოო სახის მიცემა. სწრაფად დაიწყო ერთიანი ბაზრის მისაღებად საჭირო რეფორმების გატარება, რასაც ევროკომისია ჟაკ დელორის ხელმძღვანელობით უძღვებოდა. კომისიამ შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, რომელსაც “დელორის პაკეტი” ეწოდება. იგი ითვალისწინებდა:

- სტრუქტურული და გათანაბრების ფონდის დაფინანსების გაზრდას;
- საბიუჯეტო წესრიგის დამყარებას;
- საერთო აგრარული პოლიტიკის გარდაქმნას. [134]

ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შემდეგი ეტაპი 1989 წელს დადგა, როდესაც მადრიდის სამიტზე დელორის კომისიამ შეთავაზა წევრ სახელმწიფოებს ევროპული სავალუტო კავშირის პირველი ეტაპის დაწყება, რაც გულისხმობდა ვალუტის კურსის ერთიანი მექანიზმისადმი მიერთებას. [155] დიდი ბრიტანეთი ჯერ შეუერთდა ამ სისტემას, თუმცა ორ წელიწადში ფუნტი სტერლინგი გამოეყო ევროპულ სავალუტო კავშირს. ამას ხელი არ შეუშლია სხვა სახელმწიფოებისთვის მიეღოთ გადაწყვეტილება 2000 წლისათვის გადასულიყვნენ ერთიან სავალუტო სისტემაზე - ევროზე.

1992 წელს ჰოლანდიის ქალაქ მასტრიხტში ხელი მოეწერა ევროკავშირის ხელშეკრულებას, რომელიც ცნობილია როგორც “მასტრიხტის ხელშეკრულება”.

[111, გვ.105-125] ამ ხელშეკრულების დადებით ევროგაერთიანება, რომელიც ძირითადად წევრი ქვეყნების ეკონომიკურ კავშირს წარმოადგენდა გადაკეთდა ევროკავშირად, ანუ ეკონომიკურთან ერთად პოლიტიკურ კავშირადაც. მასტრიხტის ხელშეკრულებით შესწორებულ იქნა და ერთ დოკუმენტში გაერთიანდა მანამდე არსებული ყველა ხელშეკრულება - პარიზისა (1950) და რომის (1957) ხელშეკრულებები და ერთიანი ევროპული აქტი (1986). საბოლოოდ მასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ საყრდენს (სამ სვეტს): პირველ სვეტში გაერთიანდა აქამდე არსებული ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და მას ევროპული თანამეგობრობის სვეტი ეწოდა. მეორე სვეტში შევიდა მასტრიხტის ხელშეკრულებით დადგენილი საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, ხოლო მესამე სვეტში - თანამშრომლობა იუსტიციისა და საშინაო საქმეებში.

პირველ სვეტში შემავალი საკითხებია: საბაჟო კავშირი; საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა; ერთიანი ბაზარი, რომელიც ჩამოაყალიბა ერთიანმა ეროვნულმა აქტმა; სავაჭრო პოლიტიკა. ამ სვეტს შემდგომში **ამსტერდამის ხელშეკრულებით** დაემატა სხვა საკითხებიც [138].

მეორე სვეტი მოიცავს: საგარეო პოლიტიკას: საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავებაზე თანამშრომლობა; სამშვიდობო მისიები; ადამიანთა უფლებები; არაწევრი ქვეყნებისათვის დახმარება. **თავდაცვას:** ევროპის უსაფრთხოების საკითხები; განიარაღების საკითხები; თავდაცვის დაფინანსების საკითხები.

მესამე სვეტი: წევრი ქვეყნების პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებში: საპოლიციო თანამშრომლობა; რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა; ნარკომანიის, ტერორიზმის, ორგანიზებული დამნაშავეობის, ტრეფიკინგის და ადამიანთა უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა.

მასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება, შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი და დაიწყო სერიოზული მზადება ერთიანი ვალუტის შემოსაღებად. მასტრიხტის ხელშეკრულებაში ასევე იყო საუბრები ერთიანი სოციალური პოლიტიკის შექმნის შესახებ, თუმცა ეს თავი

საბოლოოდ ამოღებული იქნა, რადგან სოციალური პოლიტიკა, ისევე როგორც საგარეო და დაბეგვრის პოლიტიკა წევრმა სახელმწიფოებმა ქვეყნის შინაგან საქმეებად მიიჩნიეს.

1995 წელს მოხდა ევროკავშირის მორიგი გაფართოება. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის არეალის სამი ქვეყანა - შვედეთი, ავსტრია და ფინეთი ევროკავშირის მეცამეტე, მეტოხმეტე და მეთხუთმეტე წევრები გახდნენ[137]. ეს გაფართოება, ალბათ ყველაზე უმტკივნეულო იყო ევროკავშირისთვის, რადგან მისი წევრები გახდნენ მაღალგანვითარებული ქვეყნები, რომლებსაც შესწევდათ ძალა უფრო მეტი თანხები გაეღოთ ევროპული ბიუჯეტისთვის ვიდრე მიეღოთ. 1995 წლის გაფართოების შედეგი სხვადასხვა იყო შემავალი ქვეყნებისათვის. შვედეთის მოსახლეობას მალე გაუცრუვდა იმედი ევროკავშირით და ქვეყნის მთავრობამ მალევე მიიღო გადაწყვეტილება არ მიეღო მონაწილეობა ეკონომიკური და მონეტარული კავშირის მესამე ეტაპში. 1997 წელს ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულების სახელით არის ცნობილი. [136] ამსტერდამის ხელშეკრულება მოიცავს იმ საკითხებს, რომელზეც შეთანხმება ვერ მოხერხდა მახსტრიხტში. ამ დროისთვის ევროკავშირში გაწევრიანებაზე უკვე სურვილი ჰქონდათ გამოთქმული აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყანას, თურქეთს, მალტასა და კვიპროსს. ევროკავშირის ლიდერებმა იმთავითვე აღიარეს, რომ ევროკავშირის შემდგომი გაფართოება აუცილებლად მოხდებოდა, თუმცა არ დაუკონკრეტებიათ როდის და რა პირობებში. სამთავრობათაშორისო კონფერენცია ძირითად მიზნად ისახავდა ისეთი ინსტიტუციონალური სისტემის შექმნას, რომელიც უპრობლემოდ უზრუნველყოფდა ევროკავშირის მომავალ გაფართოებას და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციას. მოქნილობის გაზრდა გულისხმობდა ევროკავშირის მმართველი ორგანოების სტრუქტურების დახვეწას, რომ იგი უკეთ მორგებოდა 15 წევრამდე გაზრდილ ევროკავშირს, სადაც ისევ იგეგმებოდა ახალი წევრების მიღება.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ ხელშეკრულებაში იქნა წამოწეული იყო თავისუფლების, უსაფრთხოების და იუსტიციის საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავება. რაც გულისხმობდა თანამშრომლობის გააქტიურებას

ისეთ საკითხებში, როგორცაა სავიზო რეჟიმები, სასაზღვრო კონტროლი, თავშესაფრის მიცემის და იმიგრაციის პოლიტიკა, პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სამოქალაქო საკითხებში; არაწევრი ქვეყნების უფლებების დაცვა. ამსტერდამის ხელშეკრულებით ევროკავშირი შეუერთდა შენგენის შეთანხმებას და შეიქმნა ე.წ. შენგენის სივრცე, სადაც უვიზო რეჟიმი მოქმედებს.

ევროკავშირის მეხუთე გაფართოების მიზანი იყო საბჭოთა მმართველობისგან განთავისუფლებული აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების განვითარება და დასავლური ევროპული დონისთვის დაწევა კავშირში მიღებით. ამ მიზნით 2004 წელს ევროკავშირს შეუერთდა 10 ქვეყანა: ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, პოლონეთი, [139] მალტა და კვიპროსი. [140] ევროკავშირის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 25-მდე. ამ დროისათვის ევროკავშირში კუნძულ კვიპროსის მხოლოდ ბერძნული ნაწილი არის შესული, რადგან კუნძულზე ჩატარებულ რეფერენდუმზე კვიპროსის ბერძნულმა მოსახლეობამ უარი თქვა კვიპროსის თურქულ ნაწილთან შეერთებაზე.

2008 წლისთვის ორი ქვეყანა - რუმინეთი და ბულგარეთი შევიდნენ ევროკავშირში. [141] ხოლო 2012 წელს - ხორვატია გახდა ევროკავშირის წევრი.

ევროკავშირი, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანება დაფუძნებული იყო მზარდ ინტეგრაციაზე. [181, გვ.45-63] მაგრამ 2004 და 2007 წლების ინტეგრაციული პროცესების შემდეგ ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობამ გამოხატეს შეშფოთება შემდეგ გაფართოებასთან დაკავშირებით. მათი აზრით უსასრულო გაფართოება გამოიწვევდა ევროკავშირის ქმედითუნარიანობის დაქვეითებას.

2004 გაჩნდა კონცეფცია ინტეგრაციის შესახებ გაფართოების გარეშე. ამ კონცეფციამ თავისი ასახვა ჰპოვა ევროპის სამეზობლო პოლიტიკასა (ENP) და შემდგომ მის რეგიონულ დამატებაში, რომელიც ცნობილია აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) სახელწოდებით. ევროკავშირის გაფართოების კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ გეოსტრატეგიული თვალსაზრისით ევროკავშირის საგარეო ურთიერთობები და ევროკავშირის სამეზობლო ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო

ევროპისთვის. მიუხედავად ამისა ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და აღმოსავლეთ პარტნიორობა მზარდი ინტერესის საგანი გახდა პარტნიორი ქვეყნებისთვის. მეზობელი ქვეყნები აღიქვამენ ევროკავშირს, როგორც მნიშვნელოვან მოთამაშედ როგორც ეკონომიკური ძლიერების, ისე უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამას გარდა, ევროკავშირისთვის სამეზობლო ინიციატივები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც წარდგენილი იქნა დოკუმენტი „ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების შეფასება“ [74, გვ.503.] იმაზე, თუ რამდენად შეძლებს ევროკავშირი პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს სამეზობლოს ქვეყნებზე, დამოკიდებულია ევროკავშირის - როგორც „საიმედო ძლიერი გლობალური მოთამაშის“ - სტატუსი. [86]

პარტნიორი ქვეყნები და მკვლევარები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ევროპის სამეზობლო პოლიტიკამ ვერ გაამართლა იმედეები - მისი წარმოქმნიდან, 2004 წლიდან მოყოლებული. შედეგად 2009 წელს ევროკავშირმა შეიმუშავა აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა, როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის დამატებითი აღმოსავლეთ განზომილება. აღმოსავლეთ პარტნიორობა - ეს არის ორმხრივი და მრავალმხრივი პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც მიმართულია 6 აღმოსავლეთ ევროპის მეზობელი ქვეყნისადმი. ამ ჯგუფში შედიან 3 სამხრეთ კავკასიის ქვეყანა - აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო და ბელარუსი მოლდოვა და უკრაინა.

3.2 . თურქეთის გეოეკონომიკური დახასიათება

თანამედროვე გეოპოლიტიკაში თურქეთი მოიაზრება როგორც უმნიშვნელოვანესი რეგიონული ძალა. ეს ფაქტი აშკარაა, როდესაც ვხედავთ თურქეთის ეკონომიკის ზრდის ტემპებს გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში.

თურქეთის აღორძინების დაწყება მჭიდროდ უკავშირდება ოსმალეთის იმპერიის რღვევას პირველი მსოფლიო ომის შედეგად და თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის შექმნას 1923 წელს მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ.

ათათურქის მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, შეენარჩუნებინა ოსმალეთის იმპერიის ბირთვი და მოეცილებინა დაპყრობილი ტერიტორიები და მეორე მხრივ, გაეთავისუფლებინა თურქეთი ოტომანთა კულტურული მემკვიდრეობის ზეგავლენისაგან.

ათათურქის მიხედვით, თურქეთის აღორძინება დამოკიდებული იყო მის მოდერნიზაციაზე. ქვეყანაში უნდა შექმნილიყო სეკულარული საზოგადოება, როგორც თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოს საფუძველი, სადაც ისლამი იქნებოდა ინდივიდის პირადი ცხოვრების ნაწილი და არა სახელმწიფოს მმართველობითი ფუნქციების მატარებელი. ეს ძალიან რთული ამოცანა აღმოჩნდა, რადგან ისლამი ისტორიულად იყო და არის პოლიტიკური რელიგია და იგი მისწრაფვის გააკონტროლოს და მართოს ადამიანთა როგორც პირადი ისე საზოგადოებრივი ცხოვრება.

ათათურქმა შექმნა სეკულარული სახელმწიფო სამხედრო ძალის გამოყენების გზით. ევროპული იდეოლოგია თანდათან აღწევდა ისლამურ სამყაროში. თურქეთის მსგავსად იქმნებოდა სეკულარული მსოფლმხედველობის მქონე მთავრობები და მათ უნდა ემართათ მუსულმანური საზოგადოებები. ეს პროცესი ძალიან რთული აღმოჩნდა. 1971 წელს რეგიონში დაიწყო კონტრევოლუციების ტალღა, სადაც გაჩაღდა ბრძოლა ისლამის რეინტეგრაციისთვის მუსულმანური ქვეყნების სამართავად. ამ მოძრაობის კულმინაციამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ალქაიდას გაჩენასა და საქმიანობაში.

საერთაშორისო დისკუსიები მიმართულია იმის დასადგენადაც თუ რა ზომით შორდება თურქეთი თავის ისეთ ტრადიციულ მოკავშირეებს, როგორცაა ამერიკა, ევროპა და ისრაელი. რეალურ პირობებში, როცა ამერიკა იმყოფება საომარ მდგომარეობაში ერაყთან და ავღანეთთან და დამაბული ურთიერთობა აქვს ირანთან, ნებისმიერი სახის ძალთა გადანაწილება მუსულმანური სამყაროს სასარგებლოდ, საგანგაშოდ აღიქმება. [51, გვ. 35]

არანაკლებ რთულია თურქეთსა და ევროპას შორის ურთიერთდამოკიდებულებაც, რაც 1990-იანი წლებიდან იღებს სათავეს. 1993 წლისთვის არაოფიციალური წყაროებით უმუშევრობამ თურქეთში მთელი სამუშაო

ძალის (18,5 მლნ.) 15 % შეადგინა. [129, გვ.164] (სამთავრობო შეფასებით – 8,7%) . ყოველ მომდევნო წელს ეს მაჩვენებელი დაახლოებით 2%-ით იზრდებოდა. ჩრდილო-დასავლეთ ევროპის კაპიტალტევადი ქვეყნები 60-იანი წლებიდან განიცდიდნენ ცოცხალი სამუშაო ძალის დეფიციტს. თურქებმაც დაიწყეს მასობრივად ემიგრირება ევროპაში, განსაკუთრებით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (დასავლეთ გერმანიაში.) ემიგრაციის პიკმა 1973 წელს მიაღწია. მომდევნო წლებში ნავთობის კრიზისსა და 1974-75 წლების მკაცრ რეცესიას მოყვა მკაცრი შეზღუდვები გასტარბაიდერებზე, ხოლო დასავლეთ გერმანიაში საერთოდ აიკრძალა ემიგრანტთა დასაქმება.

აკრძალვებისა და მომუშავეთა ემიგრაციის წლიური რაოდენობის 136000-დან 18000-მდე შემცირების მიუხედავად, 1981 წლისთვის დასავლეთ ევროპაში 1 მილიონამდე თურქი ემიგრანტი მუშაობდა. გერმანიის გაერთიანების შემდეგ (1989 წელს) ნეონაციისტურმა პოლიტიკურმა პარტიებმა მოითხოვეს თურქი ემიგრანტების ძალადობრივი რეპატრიაცია.

სხვა ევროპულ სახელმწიფოებშიც, მაგალითად საფრანგეთში დაიწყო მტრული დამოკიდებულების გამოხატვა თურქების მიმართ. დაფიქსირდა ძალადობის რიგი შემთხვევები. ყოველივე ამან შექმნა სერიოზული პრობლემები თურქეთ-ევროპის შემდგომ ურთიერთობებში.

თურქებმა ვერ შეძლეს ევროპელებთან ასიმილირება და ეს ორივე მხარის დამსახურება იყო. ამრიგად, ნათლად გამოიხატა ის გარემოება, რომ ევროპისა და მუსულმანური სამყაროს, მათ შორის თურქეთის ურთიერთდამოკიდებულების დინამიკა არასახარბიელოდ ვითარდებოდა.

თურქეთის ეკონომიკა, განუხრელად იზრდება. საბიუჯეტო დისციპლინა და მკაცრი საბიუჯეტო-საფინანსო პოლიტიკა კვლავაც შეადგენს თურქეთის ეკონომიკური პროგრამის ძირითად საყრდენს.


გარდა წარმატებული მაკროეკონომიკური პოლიტიკისა, თურქეთმა შეძლო განეხორციელებინა ფართო და კომპლექსური სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამები, რომლებიც მათი რეალიზაციის სისწრაფით გამოირჩევიან.

მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული საფინანსო სექტორის რესტრუქტურირების საქმეში.

მთავრობამ სრულყო სახელმწიფო სექტორის მმართველობითი სისტემა და შექმნა პირობები ბიზნესის გასავითარებლად. სტრუქტურული გარდაქმნები მოიცავდა: თურქეთის ეკონომიკაში კერძო სექტორის როლის გაზრდას; ფინანსური სექტორის ეფექტიანობის ამაღლებას; სოციალური დაზღვევის სისტემის უფრო მყარ საფუძვლებზე გადაყვანას. ამ რეფორმებმა უზრუნველყვეს თურქეთის ეკონომიკის მაკროეკონომიკური საფუძვლების საბოლოოდ გამყარება. სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შერწყმამ დინამიურ რეფორმებთან სათანადო შედეგები გამოიღეს. ბოლო 8 წლის განმავლობაში ეკონომიკამ შეინარჩუნა ზრდის მნიშვნელოვანი ტემპები. თამამი სტრუქტურული გარდაქმნებისა და წარმატებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის წყალობით თურქეთი ამჟამად გვევლინება როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებდი ქვეყანა რეგიონში. [90, გვ.1011-1012] როგორც ნახაზებიდან ჩანს, 2010 წლისთვის თურქეთი იყო ევროპაში ყველაზე დინამიურად მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყანა.(იხ. ნახ.: 3.2.1., 3.2.2., 3.2.3., 3.2.4., 3.2.5.).


ნახაზი 3.2.1

მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო საშუალო წლიური ზრდის ტემპები (%)
უცვლელი ფასებით



წყარო: Turkstat. <http://www.investmentguide/investorsguide/ages/acroeconomicindicators.aspx>
გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02. 2013


მთლიანი შიდა პროდუქტის საერთო საშუალოწლიური ზრდის ტემპები (%) 2002-2010 წლებისათვის უცვლელი ფასებით



1. თურქეთი, 2. რუსეთი, 3. პოლონეთი, 4. ტაილანდი, 5. ბრაზილია, 6. ჩილე, 7. ბულგარეთი, 8. კორეა, 9. რუმინეთი, 10. უკრაინა, 11. ჩეხეთი, 12. სლოვაკეთი, 13. ხორვატია, 14. მექსიკა, 15. უნგრეთი.

წყარო: მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი. აპრილი 2011. მსოფლიო ეკონომიკური პერსპექტივების მიმოხილვა; (Turkstat. <http://www.investmentguide/investorguide/ages/acroeconomicindicators.aspx> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02. 2013


მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა 2010 წელს (%)



1. თურქეთი; 2. განვითარებადი ქვეყნები; 3. მსოფლიო; 4. ცენტრალური და აღმ. ევროპის ქვეყნები; 5. პოლონეთი; 6. ჩეხეთის რესპ.; 7. ევროკავშირის 27 ქვეყანა.


წყარო: Turkstat. <http://www.investmentguide/investorguide/ages/acroeconomicindicators.aspx> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02. 2013

თურქეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე მიმდინარე ფასებით. (აშშ დოლ.)



წყარო: Turkstat. <http://www.investmentguide/investorguide/ages/acroeconomicindicators.aspx>
გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02. 2013

ინფლაციის საშუალო დონე თურქეთში პერიოდების მიხედვით (%-ში).



წყარო: Turkstat. <http://www.investmentguide/investorguide/ages/acroeconomicindicators.aspx>
გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02. 2013

თურქული ეკონომიკის ერთ-ერთ შთამბეჭდავ ასპექტს წარმოადგენს ინფლაციის შემცირების მაჩვენებელი იმ პირობებშიც კი, როდესაც აქტიურად იზრდებოდა ფასები ენერგომატარებლებზე. ინფლაციის წლიური ზრდის ტემპი შემცირდა 2002 წელს არსებული 70 პროცენტიდან ერთნიშნა მაჩვენებლამდე 2010 წლის ბოლოსათვის და შეადგინა 6,4 პროცენტი.

საბიუჯეტო დისციპლინა წარმოადგენს თურქეთის მაკროეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედს. ასეთი ფრთხილი და გაწონასწორებული საბიუჯეტო პოლიტიკის წყალობით თურქეთმა აჩვენა ევროპულ ეკონომიკებს შორის ვალის შემცირებასთან დაკავშირებული საუკეთესო მაჩვენებელი.

როგორც უკვე ვნახეთ თურქეთის ეკონომიკა განუხრელად იზრდება. უკვე რამდენი წელია თურქეთის მთავრობა დაჟინებით გამოხატავს ევროკავშირში შესვლის სურვილს. ეკონომიკის მიღწეული სიძლიერიდან გამომდინარე, თურქეთის ეს მისწრაფება ცოტა უცნაურად ჩანს. ფაქტია ისიც, რომ ევროკავშირი თავისი მხრიდან არ გამოხატავს დაინტერესებას თურქეთის ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

დღეისათვის მთავარ პრობლემას თურქეთის ხელისუფლებისთვის წარმოადგენს როგორ გადოს ხიდი ისლამისტებსა და სეკულარისტებს შორის. ეს ალბათ ყველაზე კარგი გამოსავალი იქნებოდა რელიგიური რადიკალიზმის თავიდან ასარიდებლად. ჯერჯერობით ამ შერიგების დამაიმედებელი ნიშნები არ ჩანს. თურქეთის ოფიციალური გეოპოლიტიკური სტრატეგიაა იმეგობროს ყველასთან, “ნულოვანი კონფლიქტი მეზობლებთან” – ეს ის დევიზია, რომელიც სისტემატიურად ჟღერს თურქეთის მხრიდან. თუმცა შეუძლებელია მეგობრულ ურთიერთობაში ყოფნა რეგიონში არსებულ ყველა ქვეყანასთან ერთდროულად მაშინ, როდესაც მათი ინტერესთა სფეროები ასე შეუთავსებელია ერთმანეთთან. ერთადერთი სავარაუდო შედეგი ისაა, რომ ყველანი რაღაც დოზით უკმაყოფილონი იქნებიან თურქეთით და გამოხატავენ მისადმი უნდობლობას.

თურქეთის საგარეო პოლიტიკას გარკვეულწილად ისიც განსაზღვრავს, რომ მას არ სურს ასოციაცია გამოიწვიოს ოსმალეთის იმპერიასთან. ოტომანთა იმპერია ისტორიულად ცნობილი იყო თავისი დამპყრობლური ომებით. იგი თავის მხრივ ღირსეული მემკვიდრე იყო ბიზანტიის იმპერიისა. ათათურქმა რადიკალურად გაამარტივა თურქეთის საგარეო პოლიტიკა. მიუხედავად თურქეთის მთავრობის ფრთხილი და ზომიერი პოლიტიკისა, ტერმინი “ნეო-ოტომანიზმი” მაინც შემოდის თანდათან გეოპოლიტიკურ სივრცეში.

ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის პოლიტიკა, ისტორიულად ცნობილია, რომ ვერ ხორციელდება. თურქეთს უკეთესი სტრატეგია ჯერჯერობით არ გააჩნია. ჯორჯ ფრიდმანის აზრით “ ასეთი საგარეო პოლიტიკის პრობლემა ისაა, რომ ის ვერ მუშაობს ხანგრძლივად. მე ვეჭვობ, რომ ეს იცის თურქეთის მთავრობამაც, მაგრამ ის უბრალოდ იგებს დროს გარკვეული პოლიტიკური მოტივების გამო”. [83, გვ.21] თურქეთს ეს დრო ჭირდება ადმინისტრაციული ხასიათის პრობლემების გამოც. ამერიკის შეერთებული შტატები ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში ისე, რომ რომ მას არ ყავდა სათანადო დაზვერვა, დიპლომატიური კორპუსი არ იყო მზად ომისშემდგომი გამოწვევებისთვის და მას არ გააჩნდა კომპეტენტური სტრატეგიული დაგეგმვის სისტემა. მართალია თურქეთი ბევრად წინა არის 1940 წლის ამერიკასთან შედარებით, მაგრამ ჯერ არც მას გააჩნია სათანადო ადმინისტრაციული სტრუქტურა და მომზადებული პერსონალი, რათა თავი გაართვას სირთულეებს.

რეგიონში თავის განვითარების რთულ გზას გადის მეორე დიდი ქვეყანა – რუსეთი, რომელიც სერიოზულ გამოწვევებს ქმნის მეზობელი ქვეყნებისთვის.

რიგი ქვეყნები ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, რომლებსაც ისტორიულად ჩამოყალიბებული საერთო ინტერესები და გეოპოლიტიკური პოზიცია გააჩნიათ რუსეთის თავსმოხვეული ძლიერების საწინააღმდეგოდ, გაერთიანებულნი არიან ეგრეთწოდებულ ინტერმარიუმში (intermarium). თურქეთი პირდაპირ არ მოიაზრება “ინტერმარიუმის” ნაწილად, თუმცა ცივი ომის პერიოდში ის ასრულებდა ნატოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ფორპოსტის როლს.

ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად, თურქეთიც დამოკიდებულია რუსეთის ენერგეტიკულ წყაროებზე. მიუხედავად იმისა რომ თურქეთი ცდილობს რუსეთთან შეინარჩუნოს კეთილმეზობლური დამოკიდებულება, იგი იძულებულია ეძებოს ენერჯის მიღების ალტერნატიული გზები. ეს ნიშნავს, რომ თურქეთმა გაიხედოს სამხეთით – ერაყისკენ ან აღმოსავლეთით – აზერბაიჯანისკენ. როდესაც თურქეთი ორიენტაციას იღებს სამხრეთზე, წინააღმდეგობაში მოდის ირანთან და შესაძლოა საუდის არაბეთთანაც. როდესაც გადაიხრება აღმოსავლეთისკენ – იწყება კონფლიქტები სომხეთთან და რუსეთთან. [103, გვ.3-25]

თურქეთი დგას დილემის წინაშე. ის ვერც ერთი მიმართულებით ვერ იწყებს მოძრაობას ისე, რომ არ გაანაწყენოს რომელიმე ძლიერი ქვეყანა. მაგრამ ამის გამო იგი უარსაც ვერ იტყვის მოქმედებაზე. მას უბრალოდ აღარ შეუძლია დარჩეს რუსეთზე ენერგეტიკულად დამოკიდებული, ისე როგორც ეს შეუძლია პოლონეთს.

საქართველოს თურქეთთან ხანგრძლივი ისტორიული და სავაჭრო ურთიერთობები აკავშირებს. საქართველო სამ კავკასიურ ქვეყანას და თურქეთს შორის ალიანსის ჩამოყალიბების წინადადებით გამოდის. საქართველო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს თურქეთთან თანამშრომლობას. ორ ქვეყანას შორის არსებული დინამიური და ნაყოფიერი ურთიერთობები ხელს უწყობს რეგიონულ მშვიდობასა და სტაბილურობას. მნიშვნელოვანია თურქეთის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხში, ისევე როგორც მისი როლი სამხედრო აღმშენებლობის პროცესში. საქართველოს მთავრობა მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავს თურქეთთან ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებისაკენ, განსაკუთრებით ვაჭრობის და ტრანსპორტის სფეროებში. სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკულ თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ორი ქვეყნის, არამედ მთლიანად ევროპის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას. [32]

2011 წლის მონაცემებით, სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 36.5% შეადგინა. კვლავ ლიდერობს თურქეთი, უკრაინა და აზერბაიჯანი. თურქეთს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 15.3% ხვედრითი წილი უკავია 285.7 მლნ. აშშ დოლარით.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო თურქეთი. თურქეთიდან კაპიტალის გადინებამ 2011 წლის სექტემბრის შემდეგ 9,7 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მრეწველობის მაჩვენებელი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე მკვეთრად - 21,3%-ით დაეცა. [176] რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, მიუხედავად გლობალური ფინანსური კრიზისისა, თურქეთი, საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში პირველობას ინარჩუნებს.

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ბრუნვა 2004-2010 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

წლები	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010 7 თვე
ბრუნვა	321	404.9	647.94	899.68	1 202.8	1 014.23	587.3
ზრდა %	72.2	26.1	60.0	38.9	33.7	-15.7	-0.4
წილი %	12.9	12.1	13.9	13.9	15.9	18.4	16.7
ექსპორტი	118.7	121.8	124.96	171.77	262.91	226.2	138.4
ზრდა %	50.4	2.6	2.6	37.5	53.1	-14.0	-3.5
წილი %	18.3	14.1	12.6	13.9	17.6	19.9	16.3
იმპორტი	202.3	283.	522.98	727.91	939.87	788.03	448.9
ზრდა %	88.1	39.9	84.8	39.2	29.1	-16.2	0.6
წილი %	11.0	11.4	14.2	14.0	15.5	18.0	17
სალდო	-83.6	-161.2	-398.0	-556.1	-4560.4	-561.8	-310.5

წყარო: http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=298&lang_id=GEO გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02. 2013

შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელმოწერილი იქნა ქ. თბილისში 2007 წლის 21 ნოემბერს, ხოლო “შეთანხმება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის შემოსავლებზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ” ხელმოწერილია ქ. თბილისში 2007 წლის 21 ნოემბერს. [32] თურქი ინვესტორების მხრიდან საქართველოს ეკონომიკისადმი ინტერესი კვლავ შთამბეჭდავ ციფრებში გამოისახება. ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გემთმშენებლობა, ტექსტილის წარმოება - ეს მცირე ჩამონათვალია იმ მიმართულებებისა, რომელთა განვითარებითაც თურქი ბიზნესმენები საქართველოში დაინტერესდნენ.

თურქეთი ის პირველი კაპიტალისტური ქვეყანაა, რომელთანაც დამოუკიდებელმა საქართველომ კონტრაქტი დაამყარა, განსაკუთრებით ვაჭრობის სფეროში. თურქეთი პირველი ქვეყანაა, რომელიც, ევრორეგულაციის წესდებიდან ამოვარდა და საქართველოსთან განსაკუთრებული ურთიერთობა დაამყარა.

თურქული ინვესტიციები საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)

წლები	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
მოცულობა	8,85	17,28	33,93	21,81	129,73	93,87	164,5	97,9	91,8	75,5
ზრდა %	4,6%	95,3%	96,4%	-5,7%	494,7%	-7,6%	75,27%	-40,5	-7,3	-17,76

წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი

http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=298 გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02. 2013

3.3. რუსეთის გეოეკონომიკური დახასიათება.

რუსეთი ოფიციალურად იწოდება ორივენიარად: რუსეთი და რუსეთის ფედერაცია. იგი მდებარეობს აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აზიაში, ზოგი მკვლევარის მიხედვით ჩრდილოეთ ევრაზიაში.

რუსეთი შედგება 83 ფედერაციული სუბიექტისაგან. რუსეთს რუსული წყაროების მიხედვით ესაზღვრება 18 სახელმწიფო. ორი აქედან მის მიერვე აღიარებული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია.

რუსეთს ტერიტორიის ფართობის მიხედვით მსოფლიოში პირველი ადგილი უკავია და იგი შეადგენს 17 098 246 კვადრატულ კილომეტრს [221, გვ.223]. რაც დედამიწის მთელი სახმელეთო ნაწილის 11,5% -ს ანუ 1/9-ს შეადგენს და დასახლებული სახმელეთო სივრცის 12,5 %-ს ანუ 1/8 ნაწილს.

მოსახლეობა 2012 წლის მდგომარეობით შეადგენს 143 030 106 ადამიანს. [214] რუსეთს მეცხრე ადგილი უკავია მსოფლიოში ამ მაჩვენებლის მიხედვით. რუსეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი აზიაში მდებარეობს, ხოლო ტერიტორიის 40 % ევროპულია. ქვეყანა მოქცეულია 11 დროით სარტყელში.

რუსეთი მსოფლიოში გამოირჩევა მინერალური და ენერგეტიკული რესურსების სიუხვით. [178] ის არის მსოფლიოში მეორე ნავთობის მწარმოებელი და მეორე ბუნებრივი გაზის მწარმოებელი, გლობალური მნიშვნელობის მქონე ქვეყანა. . რუსეთი აგრეთვე ფლობს მსოფლიოში უდიდესი ტყის რეზერვებს და მისი ტბები შეიცავენ მსოფლიოს მტკნარი წყლის დაახლოებით 1/4-ს.

მოსახლეობის დინამიკა 1821-2012 წწ (მლნ.კაცი)

1821	1914	1917	1926	1939	1959	1979	1996	2002	2010	2012
67,5	89,9	91,0	92,7	108,4	117,2	137,4	148,3	145,6	142,9	143,0

წყარო; Росстат: Численность населения РФ на 1 января 2012 года *გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02.2013*

ქვეყნის ისტორია დაიწყო აღმოსავლეთ სლავიანებით, რომლებიც ევროპაში გამოჩნდნენ III-IV საუკუნეებში. შუასაუკუნეობრივი სახელმწიფო “კიევის რუსეთი” წარმოიქმნა IX საუკუნეში ვარიაგთა (ნორმანთა ან ვიკინგთა) მებრძოლი ელიტის მიერ. 988 წელს რუსეთმა მიიღო მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოება. ამ პერიოდიდან იწყება ბიზანტიური და სლავიანური კულტურის სინთეზი, რამაც შემდგომში დიდად განსაზღვრა რუსული კულტურა მომდევნო ათასი წლის განმავლობაში.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და მოკლევადიანი პროგნოზირების ცენტრის შეფასებით, ქვეყანაში ბოლო დროს მრეწველობისა და ინვესტიციების ზრდა აღინიშნება. ცენტრმა ინვესტიციების შეფასების ოფიციალური მეთოდები არასრულყოფილად გამოაცხადა და საკუთარი „საინვესტიციო აქტივობის ინდექსის“ შემოღების წინადადება წამოაყენა, რომელიც იმპორტის მაჩვენებლის, მანქანების და დანადგარების, ასევე სამშენებლო მასალების წარმოებისა და სამშენებლო ტვირთების გადაზიდვის ღირებულებას ასახავს. ამ მეთოდით, 2011 წლის აპრილ–მაისში ინვესტიციის ზრდამ წინა კვარტლის მონაცემებთან შედარებით, 2,8 % შეადგინა.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, სამრეწველო წარმოება სტრუქტურულად კარგ ზრდას აჩვენებს, ზოგი კი, საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს რუსეთის საინვესტიციო ზრდის მაჩვენებლებს.

რუსეთის ფედერაციის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 2000 - 2010 წლების მიხედვით (წინა წელთან მიმართებაში პროცენტებში)

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
მშპ	110,0	105,1	104,7	107,3	107,2	106,4	107,7	108,1	105,6	92,1	104,0

სამრეწველო პროდუქცია	109	103	103	109	108	104	104	106	102	90,7	108,2
სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია	108	108	102	101	103	102	104	103	111	101,2	88,1
ინვესტიციები ძირითად კაპიტალში	117	110	103	112,5	112	111	117	121	110	83,8	106,0
ტვირთების გადაზიდვა	106	102	98	104	104	109	109	99	99,4	81,8	99,9
ბრუნვა საცალო ვაჭრობაში	109,0	111,0	109,3	108,8	113,3	112,8	114,1	116,1	113,5	95,1	104,4
მწარმოებელთა ფასების ინდექსი სამრეწველო საქონელზე	132	108	118	113	129	113	110	125	122	113,9	116,7
სამომხმარებლო ფასების ინდექსი	120 ¹	122	116	114	111	113	110	109	114	111,7	106,9
ექსპორტი თანამეგობრობის ქვეყნებში	129	106	107	130	144	111	130	124	133	67,42	127,9
ექსპორტი სხვა ქვეყნებში	144	96	107	124	134	137	124	116	133	64,01	132,1
იმპორტი თანამეგობრობის ქვეყნებში	139	97	91	129	135	107	118	133	123	59,52	145,0
იმპორტი სხვა ქვეყნებიდან,	102	138	117	123	131	138	145	147	136	63,16	135,6

წყარო: <http://www.cisstat.com/eng/rus.htm> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02 .2012წ.

პოსტრევოლუციურ საქართველოში აშკარად გაძლიერდა რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის მიმართულება. [146, გვ.37] “ლიბერალური იმპერიის” ჩუბაისისეული რუსული მოდელი ეფუძნება რუსულ ევრაზიანიზმს, [7, გვ.15] [77, გვ.15] რომელსაც რუსეთში ღრმა ფესვები აქვს გადგმული. [194, გვ.42] ხაზგასასმელია, რომ თავისთავად ლიბერალური იმპერიის იდეა სულაც არ არის რუსული, [206, გვ.22] და რომ მან პირველად დიდ ბრიტანეთში გაიჟღერა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, [122, გვ.47] ხოლო განვითარება XX საუკუნის ბოლოს ჰპოვა. [156, გვ.23] და საბოლოოდ ამერიკული “ელფერიც” კი მიიღო. [81, გვ.21] სავარაუდოა, რომ ლიბერალური იმპერიის რუსული ვერსიის შექმნა “დააჩქარა” აშშ-ის სამხედრო ოპერაციებმა ავღანეთსა და ირანში, [173, გვ.55] რომელიც მიზნად ამერიკული დემოკრატიული იმპერიის შექმნას ისახავს. [118, გვ.67].

სიტყვა “ლიბერალურს” ის დატვირთვა აქვს, რომ ახალი იმპერიის შექმნა არა ძალადობის გზით უნდა განხორციელდეს, არამედ რუსულმა მსხვილმა კომპანიებმა (სულერთია სახელმწიფომ თუ კერძომ) ხელთ უნდა იგდონ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული საწარმოები, რამაც, საბოლოო ანგარიშით, უნდა უზრუნველყოს მოსკოვის პოლიტიკური ზეგავლენის ზრდა ამ ქვეყნებზე. ამ კუთხით განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთის მიერ განხორციელებული ინვესტიციები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შემავალ ქვეყნებში. [71, გვ.38] ასევე საყურადღებოა, რომ ლიბერალური იმპერიის რუსულ იდეაში, მისი განმავითარებლები და განმახორციელებლები ძირითად ყურადღებას ამახვილებენ ტერმინ “ლიბერალურზე”. [49, გვ.12; 174, გვ.12]

ჩვენი აზრით, ძალზედ მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის მიერ გატარებული ენერგეტიკული დამოკიდებულებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პოლიტიკა,[58, გვ.87] რომლის თანახმადაც, როცა პირველი იზრდება, მეორე სუსტდება. [166, გვ.5-8] ეს სრულად ჯდება რუსეთის მიერ ლიბერალური იმპერიის შექმნის სქემაში, როცა აქცენტი გაკეთებულია ენერგეტიკული იმპერიის ფორმირებაზე. [105, გვ.38]

კავკასიაში ლიბერალური იმპერიის შექმნა რუსეთმა დაიწყო სომხეთით, როცა უკანასკნელმა 93 მლნ. აშშ დოლარის ვალის სანაცვლოდ 2002 წელს რუსეთს საკუთრებაში გადასცა შესაბამისი ღირებულების ობიექტები. [78]

იმის გამო, რომ რუსეთსა და სომხეთს საერთო საზღვარი არა აქვთ, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული კონფლიქტის გათვალისწინებით, განსაკუთრებული როლი ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნაში საქართველოს ენიჭება.

“ვარდების რევოლუციის” შემდეგ ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესში რუსული კაპიტალის შემოსვლას საქართველოს ეკონომიკაში მთავრობისაგან სრული მხარდაჭერა ქონდა. ამის საუკეთესო მაგალითია ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების აქციების

საკონტროლო პაკეტის რუსული ჰოლდინგის “პრომიშლენნიე ინვესტორის” მიერ კომპანია “სტეტონ ექვიტიზ“-სათვის მიყიდვა. [213]

“გაერთიანებული ქართული ბანკის” მესაკუთრეებმა აქციათა საკონტროლო პაკეტი მიყიდეს რუსულ “ვნეშტორგბანკს”, რომლის აქციათა 99% რუსეთის მთავრობის ხელთ იყო. [213]საყურადღებოა, რომ საქართველოში შემოსვლამდე ცოტა ადრე ვნეშტორგბანკმა სომხური “არმსბერბანკის” აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა. [160]

2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაციის კონტექსტი მოლაპარაკება დაიწყო გაზპრომთან. [191, გვ.5]

მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ პროცესში აქტიურად ჩაერია აშშ, საქართველოს მთავრობისა და გაზპრომის გარიგება ჩაიშალა, რითაც რუსეთმა პირველი სერიოზული დარტყმა მიიღო ლიბერალურ იმპერიაში საქართველოს სრულად მოქცევის გეგმის განხორციელებაში. [98, გვ.3] 2006 წლის ბოლოს რუსული გაზის ფასის გაორმაგების სანაცვლოდ გაზპრომმა კვლავ დააყენა საკითხი სხვადასხვა ობიექტის მისთვის საკუთრებაში გადაცემაზე. [167, გვ.7]. სამწუხარო ფაქტია, რომ რუსეთის ლიბერალურ იმპერიაში საქართველოს მოქცევის პროცესი დაწყებულია. [145, გვ.46]

3.4 აზერბაიჯანის გეოეკონომიკური დახასიათება.

აზერბაიჯანი, ოფიციალურად აზერბაიჯანის რესპუბლიკა— სახელმწიფო სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, კასპიის ზღვის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე. აზერბაიჯანი უნიტარული სახელმწიფოა. მას აქვს დიპლომატიური ურთიერთობა მსოფლიოს 158 ქვეყანასთან, გაწევრებულია 38 საერთაშორისო ორგანიზაციაში. [95] ის არის სუამი-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი. [99] 1993 წლის სექტემბრიდან არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის („დსთ“) წევრი. [68]

მთიანი ყარაბაღის გამო მეზობელ სომხეთთან კონფლიქტმა გამოიწვია არეულობა ქვეყანაში 1988-89 წლებში. 1994 წელს ეუთოს წევრი ქვეყნების მონაწილეობით მიღწეული იქნა დროებითი ზავი, თუმცა კონფლიქტი დღემდე მოუგვარებელია — ტერიტორიის მეშვიდედი ოკუპირებულია და ქვეყნას 800 ათასი ლტოლვილი ჰყავს. ბოლო წლებში იყო რამდენიმე უშედეგო მცდელობა სამხედრო გადატრიალებისა. 2001 წელს აზერბაიჯანი ევროპის საბჭოს წევრი გახდა. ქვეყნის ევრო ინტეგრაციას ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობების უფლებების დარღვევა აფერხებს.

ქვეყანას აქვს ნავთობის, რკინის მადნის მნიშვნელოვანი რესურსები, აგრეთვე ბუნებრივი აირი, ფერადი ლითონები, ალუმინი; ეროვნულ შემოსავალში დიდი ადგილი უკავია სოფლის მეურნეობას. სახელმწიფო ვალუტა აზერბაიჯანული მანათია (AZM).

აზერბაიჯანის დამოუკიდებლად არსებობის 20 წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმები შინაარსობრივად მონეტარიზმის იდეებს ეფუძნება, მაგრამ ხანგრძლივობის მიხედვით, თეორიული მიდგომის მკაფიო ნიშნებს ატარებს.

ქვეყნის დამოუკიდებლობის პირველ წლებში, აზერბაიჯანის ეკონომიკა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რეფორმების საჭიროების ძირითადი მაუწყებელი აზერბაიჯანის პოლიტიკური არასტაბილურობა იყო, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეული იყო ყარაბაღის კონფლიქტით. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში დამუშავდა რეფორმათა რამდენიმე კონცეფცია. ყოველი მათგანი, გარკვეულ დონეზე, საბაზრო ეკონომიკის შექმნისკენ იყო მიმართული. თუმცა არც ერთი ოფიციალური სახელმწიფო პროგრამად არ ყოფილა აღიარებული.

რუსეთში ფასების ლიბერალიზაციის შემდეგ, 1992 წლის 6 იანვარს, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება ქვეყანაში ფასების ლიბერალიზაციის შესახებ. 1995 წლის იანვარში, მთავრობამ გადადგა მომდევნო ნაბიჯი პურის ფასების სრული ლიბერალიზაციისკენ - გააუქმა სახელმწიფო შეკვეთები და პურის ფასების სუბსიდირება.

დღეისათვის, აზერბაიჯანში გაუთავისუფლებელი დარჩა მხოლოდ ენერგეტიკული რესურსების, აგრეთვე ზოგიერთი კომუნალური და ტელესაკომუნიკაციო მომსახურების, აგრეთვე საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ფასები, სადაც არსებობს ბუნებრივი მონოპოლიები.

დღეს უკვე შეგვიძლია ვისაუბროთ აზერბაიჯანში საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის მაღალი დონის შესახებ.

დამოუკიდებლობის პირველ წლებში, საექსპორტო ლიცენზირებას ექვემდებარებოდა სტრატეგიული საქონელი, რომელიც მოიცავდა ქვეყნის ექსპორტის 80%-ს. საექსპორტო ლიცენზიების გაცემა ხდებოდა საგარეო ეკონომიური კავშირების სამინისტროს მიერ. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია შემდგომ წლებშიც გაგრძელდა. [219, გვ.76]

1994 წლის 1 იანვრიდან, მანათი ოფიციალურად გახდა გადახდის ერთადერთი კანონიერი საშუალება. [219, გვ.91] მანათის კურსის შესანარჩუნებლად, 1992 წლის ივლისში, ქვეყნის პრეზიდენტმა შექმნა სავალუტო სტაბილიზაციის ფონდი, რომლის დაგროვების წყაროდ განისაზღვრა საექსპორტო რესურსები. სტაბილიზაციის ფონდმა იარსება 1994 წლის 25 აპრილამდე. შემდგომ იგი შეცვალა ერთიანმა სავალუტო ფონდმა. 2006 წლის 1 იანვრიდან, მანათი დენომინირებული იქნა (პრეზიდენტის 2005 წლის 7 თებერვლის ბრძანებულება). [219, გვ.97] ერთი ახალი მანათი (AZN) გაუთანაბრდა 5000 ძველ მანათს (AZM) და ბრუნვაში შემოვიდა ახალი კუპიურები.

ცხრილი 3.4.1

1 USD/ მანათი, 1993-2008 წწ.

	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
1 USD/ მანათი	92.8	1216	4417.5	4295.5	3987	3869	4118	4474
	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
1 USD/ მანათი	4656.5	4861	4911	4913.5	4730	0.8934	0.8581	0.8216

წყარო: <http://www.azstat.org/statinfo/system-nat-accounts/az/001.shtml> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21. 08. 2012

მკაცრმა საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკამ, IMF-ს კრედიტებთან ერთად, რომლითაც შესაძლებელი გახდა სავალუტო ინტერვენციის განხორციელება, გრეთვე,

დადებული კონტრაქტებით მიღებულმა სანავთობო ბონუსებმა, თავისი წვლილი შეიტანა მანათის გამყარებასა და ინფლაციის შეჩერებაში.

დამოუკიდებლობის წლებში, საბანკო სისტემის რეფორმა, რომელიც დაიწყო ბანკების ორდონიანი სისტემის შექმნით, გრძელდებოდა რამდენიმე მიმართულებით: ეროვნული ბანკის (ცენტრალური ბანკის) მაკონტროლებელი ფუნქციების გამკაცრება, კომერციული სახელმწიფო და კერძო ბანკების გასაფართოებლად პირობების შექმნა, სახელმწიფო კომერციული ბანკების პრივატიზაცია. დღეისათვის, პრივატიზებული არ არის მხოლოდ აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი. 2010 წლის დასაწყისისთვის, აზერბაიჯანში მოქმედებდა 46 კომერციული ბანკი (90-იანი წლების შუა პერიოდში მათი რაოდენობა ხუთჯერ მეტი იყო). აღნიშნული 46 ბანკიდან, ნახევრის საწესდებო კაპიტალი ნაწილობრივ უცხოურია.

2010 წლის 1 თებერვლისთვის, ეკონომიკის საბანკო კრედიტების საშუალო განაკვეთმა შეადგინა 13.97%, შედარებით 17.45% - 2009 წლის 1 იანვრისათვის. საბანკო კრედიტების საშუალო განაკვეთმა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში შეადგინა 15.5%.

ცხრილი 3.4.2

სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ინდექსის მნიშვნელობები %-ში, წინა წელთან შედარებით

1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999
201.8	1174.2	1080.9	1879.8	511,8	119,9	103,7	99,2	91,5
2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
101,8	101,5	102,8	102,2	106,7	109,6	108,3	116,7	120,8

წყარო: აზერბაიჯანის სტატისტიკური მატერიალები, გამომცემლობა "სადა", 2001, გვ. 321.
<http://www.azstat.org/statinfo/price-tarif/az/002.shtml> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21. 08. 2012

სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პირველი პროგრამა მიღებულ იქნა 1995 წლის სექტემბერში და მოიცავდა 1995-1998 წწ. პერიოდს. საპრივატიზაციო საშუალო და დიდი საწარმოები წინასწარ უნდა გარდაქმნილიყო სააქციო საზოგადოებებად. ყველა საპრივატიზაციო ქონება დაიყო შემდეგ ჯგუფებად: 1) საწარმოები და ობიექტები, რომელთა პრივატიზაციაც აკრძალულია; 2) საწარმოები და ობიექტები,

რომელთა პრივატიზაციაც ხდება პრეზიდენტის გადაწყვეტილებით; 3) საწარმოები და ობიექტები, რომელთა პრივატიზაციაც ხდება მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით; 4) საწარმოები და ობიექტები, რომელთა პრივატიზაციაც ხდება ქონების სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით; 5) საწარმოები და ობიექტები, რომელთა პრივატიზაციაც სავალდებულოა.

1993 წელს პრივატიზებულ იქნა დაახლოებით 32 ათასი ბინა, ხოლო 1994 წელს - 43 ათასზე მეტი. 2002 წლის დასაწყისისთვის უკვე პრივატიზებული იყო ბინების დაახლოებით 50%. 2007 წლის შუა პერიოდისათვის პრივატიზებული იყო 397 ათას ბინაზე მეტი (64%-ზე მეტი), რომელთა საერთო ფართობმა 21.5 მილიონი კვ. მ31 შეადგინა. [222]

2010 წლის დასაწყისში, სულ პრივატიზებული იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 42144 ობიექტი. სახელმწიფო საკუთრებაში კვლავ რჩება ბევრი დიდი სამრეწველო საწარმო.

დამოუკიდებელ აზერბაიჯანში მოქალაქეთა მიწის საკუთრების უფლება გაცხადებულია კანონში “საკუთრების შესახებ”, რომელიც მიღებულია 1991 წლის 9 ნოემბერს. 1992 წლის 17 ივლისს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეიქმნა მიწის სახელმწიფო კომიტეტი. მთავარი ამოცანა, რომელიც მიწის კომიტეტის წინაშე იდგა, არის მიწის რეფორმის ღონისძიებათა კომპლექსის მომზადება და განხორციელების დაწყება.

კანონი “აგრარული რეფორმის საფუძვლების შესახებ” პარლამენტმა 1995 წლის 18 თებერვალს მიიღო. კანონში განსაზღვრულია აგრარული რეფორმის მიზნები და ამოცანები, მისი ძირითადი მიმართულებები და პრინციპები. მასში ასევე განსაზღვრულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აგრარული სექტორის ობიექტებისა და საწარმოების ნაწილის მუნიციპალურ საკუთრებაში გადაცემის პრინციპები.

2008 წლის შედეგების მიხედვით, აგრარულ სექტორზე მოდიოდა აზერბაიჯანის მთლიანი შიდა პროდუქტის 5.7%. ბოლო 15 წლის განმავლობაში (1995 წელს აგრარული სექტორის წილი მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენდა 25.3%-ს), მთლიან შიდა პროდუქტში აგრარული სექტორის წილის შემცირება აიხსნება მთლიან შიდა პროდუქტში ნავთობის სექტორის წილის მნიშვნელოვანი ზრდით, რაც იმის

შედეგია, რომ გაიზარდა ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვების მოცულობა აზერი-ჩირაგი-გიუნშელისა და შაჰ-დენიზის საკონტრაქტო ტერიტორიებზე. [222]

ცხრილი 2.4.3

მონაცემები ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების შესახებ 1995, 2003 და 2008 წლებში (ათასი ტონა)

	1995	2003	2008
მარცვლეული	921.4	2057.8	2498.3
კარტოფილი	155.5	769.0	1077.1
ბოსტნეული	424.1	1046.3	1228.3
ხილი და კენკრა	324.4	572.1	712.8
ბალჩეული	41.9	356.7	407.7
თამბაქო	11.7	4.7	2.8
ბამბა	274.1	99.6	55.4
შაქრის ჭარხალი	28.1	128.9	190.7
მზესუმზირა	0.7	18.3	16.5
ყურძენი	308.7	65.0	115.8
ხორცი	82	134.4	175.7
რძე	826.5	1167.8	1381.6
მატყლი	9	12.1	14.8
კვერცხი (მილიონი ცალი)	455.8	681.9	1101.2

წყარო: <http://www.azstat.org/statinfo/agriculture/az> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21. 08. 2012

ქვეყანაში კერძო სექტორის განვითარებას უდავოდ შეუწყო ხელი 1994 წლის ივლისში მიღებულმა შემდეგმა ოთხმა კანონმა: ”საწარმოთა შესახებ”, “სააქციო საზოგადოებათა შესახებ”, “გირაოს შესახებ” და “გაკოტრების შესახებ”. 1994 წლის 22 აპრილს, პარლამენტმა დაამტკიცა “საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების დარგში საქმიანობის ლიცენზირების წესები”. ლიცენზიის მიმღები პირები თავისუფლდებოდნენ მოგების, დამატებითი ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადებისგან. 1995 წლის 2 ივნისს მიღებულ იქნა კანონი “უსამართლო კონკურენციის შესახებ”. კანონი სინამდვილეში ქაღალდზე დარჩა, მონოპოლიები კი, აზერბაიჯანის ეკონომიკის სინამდვილეა. 1997 წლის 24 ივნისს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, დამტკიცდა “მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო დახმარების პროგრამა 1997-2000 წ.” და „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მორიგი სახელმწიფო პროგრამა (2002-2005 წ.) დამტკიცებულია პრეზიდენტის 2002 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულებით.

ქვეყნის მთავრობის უცხოური კაპიტალდაბანდებებით დაინტერესება დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მესამე თვის ბოლოს გაცხადდა. 1992 წლის 15 იანვარს, მიღებულ იქნა კანონი “უცხოურ კაპიტალდაბანდებათა დაცვის შესახებ”. 1992 წლის 11 აგვისტოს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, შეიქმნა უცხოურ კაპიტალდაბანდებათა კომიტეტი, თუმცა, კომიტეტს დიდხანს არ უმუშავია. 1992 წლის 16 დეკემბერს, პრეზიდენტის ბრძანებულებით, იგი გაუქმდა, მაგრამ შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურა ეკონომიკისა და დაგეგმვის სახელმწიფო კომიტეტში. 1994 წლიდან – 2002 წლის ჩათვლით, უცხოურ კაპიტალდაბანდებათა მოცულობამ აზერბაიჯანში 9257.0 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, 1767.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა საფინანსო ინსტიტუტების კრედიტებმა, 5854.0 მილიონი აშშ დოლარი - კაპიტალდაბანდებებმა ნავთობის პროექტებში, 1135.4 მილიონი აშშ დოლარი - სხვა სექტორებმა (მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და სხვ).

ცხრილი 3.4 .4

უცხოური კაპიტალდაბანდებები 2003 წლიდან 2008 წლის ჩათვლით
(მილიონი აშშ დოლარი)

	2003	2004	2005	2006	2007	2008
სულ უცხოური კაპიტალდაბანდებები	3371.0	4575.5	4893.2	5052.8	6674.3	6847.4
მათ შორის:						
ფინანსური კრედიტები	238.3	293.0	698.4	983.5	1576.6	2357.9
ნავთობის მრეწველობა	2972.4	4088.1	3799.9	3422.3	4003.3	3350.7
ერთობლივი საწარმოები და უცხოური კაპიტალით შექმნილი საწარმოები	45.4	104.2	230.5	368.4	439.1	494.1
სანავთობო ბონუსები	58.6	21.6	1.0	17.0	68.2	3.5
საპორტფელო კაპიტალდაბანდებები	-	19.0	78.0	57.8	-	-
სხვა კაპიტალდაბანდებები	56.3	49.6	85.4	203.8	587.1	641.2

წყარო: <http://www.azstat.org/statinfo/finance/az/007.shtml> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21. 08. 2012

ამგვარად, უცხოური კაპიტალდაბანდებების მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის დამოუკიდებლობის წლებში მოდიოდა ნავთობისა და ბუნებრივი აირის სექტორზე. 1999 წლის 29 დეკემბერს, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო ფონდის შექმნის შესახებ. ამ

ინსტიტუტის ამოცანაა ნავთობის შემოსავლების თავმოყრა და მათი ეფექტური განთავსებისა და დაბანდების უზრუნველყოფა.

ცხრილი 3.4.5

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობის სახელმწიფო ფონდის შემოსავლების შედარება მის ხარჯებთან (წლების მიხედვით)

	2001 AZM	2002 AZM	2003 AZM	2004 AZM	2005 AZM	2006 AZM	2007 AZN	2008 AZN
შემოსავლები	1109993.5	1474499.0	1820493.2	1582406.6	3300323.9	4929693.5	1886.2	11864.7
გასავლები	4059.9	434171.7	1180120.2	817507.9	1164786.5	4906879.0	1061.3	4291.8
ხარჯები/შემოსავლებთან, %	0.36	29.4	29.4 64.8	51.7	35.3	99.5	56.3	36.2

წყარო: <http://www.azstat.org/statinfo/finance/az/007.shtml> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21. 08. 2012

2009 წელს, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 43024.4 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია. მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე 4874.1 აშშ დოლარი შეადგინა. 2009 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 9.3% შეადგინა.

ცხრილი 3.4.6

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები 1997-2009 წლებში

	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
1997	100.0												
1998	110.0	100.0											
1999	118.1	107.4	100.0										
2000	131.3	119.3	111.1	100.0									
2001	144.2	131.1	122.1	109.9	100.0								
2002	159.5	145.0	135.0	121.5	110.6	100.0							
2003	177.4	161.3	150.2	135.2	123.0	111.2	100.0						
2004	195.5	177.8	165.5	149.0	135.5	122.5	110.2	100.0					
2005	247.1	224.7	209.2	188.3	171.3	154.8	139.3	126.4	100.0				
2006	332.3	302.2	281.4	253.3	230.4	208.2	187.3	170.0	134.5	100.0			
2007	415.4	377.8	351.8	316.6	288.0	260.3	234.1	212.5	168.1	125.0	100.0		
2008	460.3	418.6	389.8	350.8	319.1	288.4	259.4	235.5	186.3	138.5	110.8	100.0	
2009	503.1	457.5	426.1	383.4	348.8	315.2	283.5	257.4	203.6	151.4	121.1	109.3	100.0

წყარო: აზერბაიჯანის სტატისტიკის სამსახური <http://www.azstat.org/statinfo/system-nat-accounts/az/001.shtml> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21. 08. 2012

მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურა 2009 წლისთვის შემდეგი სახისაა: აგრარული სექტორი, სამონადირეო და სატყეო მეურნეობები - 6.4%; თევზჭერა და მეთევზეობა - 0.3%; • სამთომომპოვებელი მრეწველობა - 44.8%; გადამმუშავებელი

მრეწველობა - 4.1%; ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება - 1.1%; მშენებლობა - 7.4%; ავტომობილების შეკეთება, საბითუმო და საცალო ვაჭრობა და ა. შ. - 7.0%; სასტუმრო-სარესტორნო მომსახურების გაწევა - 1.0%; ტრანსპორტი, სასაწყობე მეურნეობა და კავშირგაბმულობა - 8.5%; ფინანსური საქმიანობა (საშუამავლო მომსახურების გამოკლებით) - 0.4%; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები, იჯარა და მომხმარებელთა მომსახურება - 2.1%; სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სოციალური უზრუნველყოფის მოვალეობები - 2.0%; განათლება - 3.6%; ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების გაწევა - 1.7%; სხვა კომუნალური, სოციალური და ინდივიდუალური მომსახურების გაწევა - 2.0%; გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტი - 7.6%. [222]

მშპ-ს მოცულობამ 2011 წლის ბოლოსათვის შეადგინა 62.32 მლრდ.დოლარი. 2010 წელთან შედარებით ის გაზრდილია 5%-ით., 2009 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან ზრდამ შეადგინა 9,3%. ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს სიდიდემ 2011 წელს მიაღწია 10,300 დოლარს; 2010 წელს იგი 10,400 დოლარი იყო, ხოლო 2009 წლისათვის ეს ინდიკატორი 10,000 დოლარს წარმოადგენდა. ამ მაჩვენებლით აზერბაიჯანს მსოფლიოში 110-ე ადგილი უკავია.

მთლიანი შიდა პროდუქტის ეკონომიკის სექტორების მიხედვით დანაწილება 2011 წლისათვის შემდეგ სურათს გვამღევეს: სოფლის მეურნეობა 5.5%; მრეწველობა - 62,1% და მომსახურების სფერო - 32,4%.

ბიუჯეტის შემოსავლებმა და გასავლებმა 2005 წლიდან მნიშვნელოვნად იმატა, რაც აიხსნება აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის ნავთობსაბადოზე ფართომასშტაბიანი მოპოვების დაწყებით. 2011 წელს საბიუჯეტო შემოსავლები 8.486 მლრდ. დოლარს შეადგენდა, ხოლო გასავლები - 19,5 მლრდ დოლარს. ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 17.7%-ია. [108]

2004 წლიდან, ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა, რაც აიხსნება აზერი-ჩირაგი-გიუნეშლის საბადოდან ნავთობის მოპოვებისა და ექსპორტის ზრდით. ნავთობისა და ნავთობ პროდუქტების წილი ქვეყნის ექსპორტში, 2009 წელს 95%-ს მიუახლოვდა [222] 2011 წლისათვის ექსპორტის თანხამ შეადგინა \$34.49 მლრდ. და ამ მაჩვენებლით მსოფლიოში 63-ე პოზიცია დაიკავა. 2010 წელს ეს

ინდიკატორი \$26.48 იყო. იმპორტმა \$10.17 მლრდ. შეადგინა 2011 წელს წინა წელთან შედარებით ის 4 მლრდ. დოლარით არის გაზრდილი და შეადგენდა \$6.746 მლრდ-ს.

აზერბაიჯანი ერთ-ერთია იმ ექვსი ქვეყნიდან, რომელიც აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამასია ჩართული. ავროპასთან ინტეგრაციის ინდექსი ამგვარად გამოიყურება (იხ. ცხრილი 3.4.7):

ცხრილი 3.4.7.

ევროპასთან ინტეგრაციის ინდექსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის 2012 წ. მაისის მდგომარეობით

	საქართველო	სომხეთი	აზერბაიჯანი	ბელორუსია	მოლდოვა	უკრაინა
კავშირები	0,51	0,41	0,36	0,31	0,69	0,64
დაახლოება	0,6	0,59	0,44	0,31	0,65	0,57
მართვა	0,51	0,31	0,31	0,22	0,53	0,45

წყარო; Implementation of the European Neighbourhood Policy in 2012 Statistical Annex p32.

http://ec.europa.eu/world/enp/docs/2013_enp_pack/2013_statistical_annex_en.pdf გადამოწმებულია ჩვენს მიერ 12.092013.

ევროპასთან ინტეგრაცია შეფასებულია სამი მაჩვენებლის მიხედვით:

1. კავშირები: მზარდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კავშირები 6 ქვეყანასა და ევროკავშირს შორის.
2. დაახლოება: იმ სტრუქტურებისა და ინსტიტუტების რაოდენობა, რომლებიც შეესაბამებიან ევროპულ სტანდარტებს და ევროკავშირის მოთხოვნებს.
3. მართვა: ევროპასთან ინტეგრაციასთან დაკავშირებული მმართველობითი სტრუქტურების განვითარება

როგორც ვხედავთ, ამ მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს ყველაზე კარგი პოზიცია უკავია კავკასიის ქვეყნებს შორის. ის ჩამორჩება მხოლოდ უკრაინასა და მოლდოვას. ხოლო აზერბაიჯანს - ყველაზე ცუდი. მთლიანად 6 ქვეყანას შორის მას მხოლოდ ბელორუსიაზე უკეთესი მონაცემები გააჩნია ევროპასთან ინტეგრაციის დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით.

3.5. სომხეთის გეოეკონომიკური დახასიათება

სომხეთის რესპუბლიკა, სახელმწიფო ამიერკავკასიაში. აღმოსავლეთით ესაზღვრება აზერბაიჯანს, სამხრეთით ირანს, დასავლეთით თურქეთს და ჩრდილოეთით საქართველოს. სომხეთი 1988 წლიდან ჩართულია სერიოზულ

კონფლიქტში აზერბაიჯანთან მთიანი ყარაბაღის გამო. სომხეთმა 1991 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა, 1992 წლიდან დსთ-ს წევრია. ქვეყანას აქვს ოქროს მცირე რეზერვი, სპილენძის, მოლიბდენის, თუთიის, ალუმინის რესურსები. საექსპორტოდ აწარმოებენ ქიმიკატებს, კვების პროდუქტებს, მანქანათმშენებლობის პროდუქციას. ეროვნული ვალუტა სომხური დრამია (AMD).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სომხეთის რესპუბლიკაში განვითარებული ეკონომიკური პროცესების შედეგად, ჩამოყალიბდა გარკვეული ეკონომიკური სისტემა, რომელიც ფორმით საბაზრო ეკონომიკას ჰგავს, თუმცა, რეალურად, გეგმიური ეკონომიკის ელემენტებს შეიცავს.

პოსტსაბჭოთა ეკონომიკა მისი წინამორბედისაგან იმით განსხვავდება, რომ კერძო საკუთრების ინსტიტუტი გამყარებულია კანონმდებლობით, თუმცა, მთავარი ფინანსური არხები, ძირითადად, მთავრობის მიერ კონტროლდება.

პოსტსაბჭოთა პერიოდის საწყის ეტაპზე, სომხეთის რესპუბლიკა დამატებითი სირთულეების წინაშე აღმოჩნდა: მიწისძვრა, ომი, ფაქტობრივი ბლოკადა და ენერგოკრიზისი.

პოლიტიკურ–ეკონომიკურ ურთიერთობათა კონტექსტში, სამი ეტაპი შეიძლება გამოიყოს:

1. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპი, კაპიტალის პირველადი დაგროვება და დაცვა, კლანურ – ეკონომიკური ურთიერთობების ფორმირება (1991–2000 წწ.);
2. კვოტირებული ეკონომიკისა და ბურჟუაზიული ფენის ფორმირება (2000–2007 წ.);
3. ზეცენტრალიზებული და ადმინისტრაციულ–ბიუროკრატიული კაპიტალისტური ურთიერთობების ფორმირების ეტაპი (2007 წლიდან დღემდე).

სომხეთის ეკონომიკური რეფორმების პირველი ეტაპი მოიცავს 1991-2000 წლებს. ამ პერიოდში, მსხვილი მესაკუთრეების „კასტამ“ დაფარა თითქმის მთელი სტაბილური მოსახლეობა. ამ ეტაპის დასრულებისას, სომხეთმა მოახერხა სახელმწიფო მმართველობის მონოლითური სისტემის ჩამოყალიბება.

არჩევანი გაკეთდა „სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის“ პოლიტიკაზე, რომლის ფარგლებშიც ბაზარი თვითრეგულირებადი გახდა. დრომ აჩვენა, რომ აღნიშნული მიმართულება არ იყო განხორციელებადი, მით უმეტეს, რომ მთავრობამ თვითნებურად გადააკეთა მონეტარული კონცეფცია.

საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებები თითქმის ყველა სფეროს შეეხო. სომხეთის რესპუბლიკა იყო პირველი სახელმწიფო დსთ–ს ტერიტორიაზე, რომელმაც განახორციელა მიწის ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია. მართალია, პრივატიზაცია განხორციელდა, მაგრამ საბაზრო მექანიზმები აგრარულ სფეროს სრულად არ შეეხო. საქმე იმაშია, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მიწის ჩადება უზრუნველყოფის სახით არ ხდებოდა და, შესაბამისად, მოსახლეობას არ შეეძლო ბანკში კრედიტის აღება. აღნიშნულის მიზეზი დაუხვეწავი კანონმდებლობა იყო. აგრარული სფეროსგან განსხვავებით, სამრეწველო დაწესებულებებისა და მომსახურების ობიექტების დიდი ნაწილი სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩა, რაც პოლიტიკური ფაქტორებითადა სამხედრო მდგომარეობით აიხსნება.

1994 წელს ომი დასრულდა და პრივატიზაციის პროცესმა ინტენსიური ხასიათი მიიღო. იგი შეეხო მცირე, საშუალო და დიდ საწარმოებს, უკანონოდ აშენებულ ობიექტებს, მომსახურების და სხვა ობიექტებს.

არჩევანი გაკეთდა ვაუჩერული ტიპის პრივატიზაციაზე. სომხეთის რესპუბლიკის თითოეულ მოქალაქეს მიეცა ვაუჩერი, რომლის ინვესტირების ან გაყიდვის უფლება ჰქონდა. საწყის ეტაპზე, ვაუჩერის ნომინალური ღირებულება 10 000 დრამი იყო. მოგვიანებით, მისი ფასი გაორმაგდა, თუმცა, ბაზარზე ვაუჩერის ფასი გაცილებით დაბალი იყო. მიუხედავად ყველაფრისა, ვაუჩერებმა მოსახლეობა აქციონერებად ვერ გახადა, რადგან მათ უმეტესობას სოციალური პრობლემები ჰქონდა ან უბრალოდ არ იცოდა როგორ გამოეყენებინა ეს ფასიანი ქაღალდები და ისინი ნომინალურზე დაბალ ფასად გაყიდა.

აღსანიშნავია, რომ პრივატიზაციის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სუბიექტებმა, რომლებიც ხელისუფლების მაღალი ემელონების წარმომადგენლები იყვნენ ან ფორმირებული ჰქონდათ ფინანსურ–ეკონომიკური ჯგუფები. დაიწყო საზოგადოების პოლარიზაცია, რის შედეგადაც ემიგრაციამ მასშტაბური ხასიათი მიიღო, თუმცა, ოფიციალური სტრატეგია არ ასახავდა რეალურ დემოგრაფიულ სურათს.

რეფორმის პირველი ეტაპის დასასრულს, შემდეგი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები დაფიქსირდა: შიდა ეროვნული პროდუქტი - 1 032 629.9 მილიონი დრამი, საერთო დანაზოგები - 192 278 მილიონი დრამი, შიდა სავაჭრო ბრუნვა - 639.6

მილიონი დრამი, აქედან, ექსპორტზე - 160.9 მილიარდი დრამი მოდის, ხოლო იმპორტზე - 478.7 მილიარდი. [223]

ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპზე, ეკონომიკური თამაშის ახალი წესები ჩამოყალიბდა, ესენია: მცირე და საშუალო ბიზნესი თავისუფალია ზეწოლისაგან მანამ, სანამ განაცხადს არ გააკეთებენ უფრო მსხვილ ბიზნესზე გადასვლაზე; მცირედან საშუალო ბიზნესზე გადასვლა თავისუფალია, თუმცა მსხვილი ბიზნესისაკენ მიმავალი გზა დაკეტილია, რადგან მსხვილი ბიზნესი კერძო ინტერესებისა და ხელისუფლების ხელშია.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე საგადასახადო წნეხი ძირითადად საშუალო ბიზნესზე მოდიოდა, რადგან შესაბამისი კანონმდებლობა ერთნაირად ეხებოდა საშუალო და მსხვილ ბიზნესს (გადასახადების საერთო სისტემა), თუმცა, საშუალო ბიზნესს, მსხვილი ბიზნესისაგან განსხვავებით, ხელისუფლებაში მფარველები არ ჰყავდა.

ამგვარად, შეიქმნა ვითარება, როცა მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესები ერთმანეთს კვეთდნენ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანზე ხელისუფლების მხრიდან იყო დაინტერესება.

ეკონომიკური ზრდის პირობებში, კიდევ უფრო გაღრმავდა საზოგადოების პოლარიზაცია, ანუ ქვეყნის ეკონომიკა წინ მიდიოდა, სახელმწიფო სტატისტიკა აფიქსირებდა ორნიშნულიან ეკონომიკურ ზრდას, თუმცა, იმავე დროს, ბიზნესის სხვადასხვა ფენა კიდევ უფრო შორდებოდა ერთმანეთს და, რაც მთავარია, იზრდებოდა კორუფცია.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ეტაპზე (2000-2007 წლები) ეკონომიკაში დაფიქსირდა გარკვეული წინსვლა, რაც სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორით იყო განპირობებული. აღარც ომი იყო და აღარც ენერგოკრიზისი, პრივატიზაციაც ხარვეზებით ვითარდებოდა, მაგრამ მაინც დადებით შედეგებს აჩვენებდა და ბუნებრივია, ყველაფერ ამას ქვეყანაში კერძო ბიზნესი უნდა გაექტიურებინა.

ეკონომიკური ზრდის ლოკომოტივის როლი მშენებლობისა და მომსახურების სფეროებმა შეასრულა. შემთხვევითი არაა, რომ 2002 წლიდან, მკვეთრად გაიზარდა ფასები უძრავ ქონებაზე. მულტიპლიკაციური ეფექტის მქონე სამშენებლო ბუმმა

ეკონომიკის გააქტიურებას შეუწყო ხელი, ამუშავდა ეკონომიკის სხვა დარგებიც, მათ შორის, სამომხმარებლო ბაზარიც, თუმცა, ამკარა იყო, რომ უძრავ ქონებაზე ფასების დაუსრულებელი ზრდა ეკონომიკას „სამშენებლო საპნის ბუშტად“ აქცევდა და დივერსიფიკაციის გარეშე იგი ერთ მშენიერ დღეს საპნის ბუშტივით გასკდებოდა.

ამგვარად, 2001 წელს, შიდა ეროვნულმა პროდუქტმა შეადგინა 1 177 234,8 მილიონი დრამი, 2002 წელს – 13 577 234,8; 2003 წ. - 1 618 577,0; 2004წ. - 1 893 436,2; 2005წ. - 2 228 027,5; 2006 წ. - 2 665 036,6 და 2007 წ. - 3 139 353,9.13.[223] ბუნებრივია, ამგვარ ზრდას ხელსაყრელი საერთაშორისო ეკონომიკური კონიუნქტურაც უწყობდა ხელს. საიდუმლოს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 2002 წლიდან მოყოლებული, სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკაში შეედინებოდა მილიარდობით კერძო ტრანსფერები და თანხები, რომელთა დაბანდებაც მშენებლობაში ხდებოდა.

მოცემულ ეტაპზე, საგადასახადო–საბიუჯეტო პოლიტიკა გარკვეულ რეგულირებას ექვემდებარებოდა. 2001 წლიდან დაწყებული, საბიუჯეტო შენატანები და გადახდები (პენსიები, ხელფასები, შემწეობები და ა.შ.) დროულად ხორციელდებოდა და დაგვიანებებს ადგილი აღარ ჰქონდა.

მესამე ეტაპის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 2007 წლის ივნისი, რომელიც სხვა ეტაპებისაგან მთელი რიგი მაკროეკონომიკური თავისებურებებით გამოირჩევა. ეროვნული დრამის კურსთან დაკავშირებით, მდგომარეობა სრულიად განსხვავებულია. მიმდინარეობს დრამის დევალვაცია. მთავრობა დრამის კურსს სახელმწიფო რესურსების ხარჯზე ინარჩუნებს, თუმცა, არა გრძელვადიანად.

მეორე და მესამე ეტაპებს შორის სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ მკვეთრი ცვლილება განიცადა საგადასახადო–საბიუჯეტო პოლიტიკამ. შემოიღეს ახალი კონცეფცია და დაამტკიცეს ახალი, “დიდი ბიუჯეტის” პოლიტიკა.

შემთხვევითი არ არის 2009 წელს ოფიციალურად გამოთქმულია შეხედულება, რომლის თანახმადაც, მთლიანი შიდა პროდუქტის 14,4%-იანი ვარდნა არის არა საერთაშორისო ფინანსური კრიზისის შედეგი, არამედ სომხეთის რესპუბლიკის ხელისუფლების საქმიანობის, კერძოდ, მის მიერ 2008 წელს გატარებული მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის შედეგი. [223]

რაც შეეხება საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებს, მისი გავლენა სომხეთის ეკონომიკაზე ნაწილობრივ აისახა საზღვარგარეთიდან კერძო ფინანსური

გადმორიცხვების შემცირებითა და საერთაშორისო ბაზარზე სპილენძისა და მოლიბდენიტის ფასების დაცემით. ცნობილია, რომ სომხეთის რესპუბლიკა ფოლადისა და მოლიბდენიტის ლითონების ექსპორტიორია. შესაბამისად, ხსენებულ პროდუქტზე ფასების ვარდნა უარყოფითად აისახა ქვეყნის ეკონომიკაზე, შემცირდა ვალუტის შემოდინება და წარმოების მოცულობა. რუსეთზე საერთაშორისო ფინანსური კრიზისის გავლენამ (ნავთობზე ფასის დაცემამ), თავის მხრივ, სომხეთიც დააზარალა, რადგან ეს უკანასკნელი “ნავთობის” ექსპორტიორი იყო. 2009 წელს, დაფიქსირდა კერძო ტრანსფერების 30%-იანი კლება, რასაც ქვეყანაში სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილებების შემცირებაც მოჰყვა.

2008 წელს, ეკონომიკური ზრდა იმავე ინერციით მიდიოდა (საერთაშორისო კრიზისის მიუხედავად) და მთლიანმა შიდა პროდუქტმა 3 650 049.8 მილიონი დრამი შეადგინა, რაც 510 695,9 მილიონი დრამით აღემატებოდა 2007 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს (3139353.9 მილიონი დრამი), თუმცა, 2009 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელმა 3165538,1 მილიონი დრამი შეადგინა. [223]

2009 წელს, სხვა მაკროეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკა, წინა წელთან შედარებით, შემდეგია: სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა შემცირდა 7,8%-ით; სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა, ელექტროენერჯის, გაზისა და წყლის წარმოებისა და განაწილების გამოკლებით, 64%-ით შემცირდა; ელექტროენერჯის წარმოებამ წინ წელს წარმოებულთან მიმართებაში 92.8% შეადგინა, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქტი 0,1%-ით შემცირდა, ხოლო სამშენებლო სფეროში ყველაზე დიდი, 36.4%-იანი, ვარდნა დაფიქსირდა. ეკონომიკური კრიზისის შემდგომ პერიოდში, 2011 წლის მონაცემებით სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა წინა წელთან შედარებით გაზრდილია 14,1 %-ით; ამდენივეთია გაზრდილი სასოფლო სამეურნეო პროდუქციაც. სამშენებლო სფეროში ისევ კლებას აქვს ადგილი და ის 11,5 %-ს შეადგენს.

სომხეთის რესპუბლიკაში ეკონომიკური პროცესების შესახებ დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სომხეთში ჩამოყალიბდა ფსევდოკაპიტალისტური სისტემა, სადაც ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის მჭიდრო კავშირები არსებობს, ხელოვნური მონოპოლიაა შექმნილი და არსებობს რიგი საბაზრო მექანიზმები, რაც საბაზრო ფასწარმოქმნას უშლის ხელს.

სომხეთის რესპუბლიკაში არ არსებობს აქციონერული მართვის კულტურა და კერძო საკუთრების დაცვის რეალური გარანტიები, არ არის ფორმირებული ცივილიზებული ურთიერთობები დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის. ქვეყანაში არსებობს მსხვილი კაპიტალისა და კვალიფიციური მუშახელის გადინების სერიოზული საფრთხე, რომელიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა, რამდენადაც ადგილი აქვს საკუთრების ხელახალ გადანაწილებას.

ცხრილი 3.5.1

სომხეთის ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, 2000–2009 წწ.

მაჩვ. წელი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
მშპ	1618577,0	1893436,2	2228027,5	2665036,6	3139353,9	3650049,8	3165538,1
მშპ ზრდა (კლება)	13,9	10,1	13,9	13,4	13,7	6,8	-14,4
შიდა საქ.ბრუნვა აშშ \$მლნ	1947,5	2066,0	2718,3	3198,3	4439,2	5480,8	4001,9
ექსპორტი, აშშ \$(მლნ)	678,1	715,0	950,4	1004,0	1157,4	1069,1	697,8
იმპორტი, აშშ \$(მლნ)	1269,4	1351,0	1767,9	2194,3	3281,8	4411,7	3304,1
ფასების ინდექსი – წინა წელთან	104,7	106,0	103,1	104,8	103,9	108,5	101,5
სამომხმ. ფასების ინდექსი წინა წ-თან	104,7	107,0	100,6	102,9	104,4	109,0	103,4

წყარო: სომხეთის სტატისტიკის სამსახური <http://www.armstat.am/ru/?nid=82> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 21.02. 2012

სამხრეთ კავკასიის სამი სუვერენული სახელმწიფოს ინტერესები, არსებული პრობლემების მიუხედავად, მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ქვეყნებს შორის სრულფასოვანი თანამშრომლობის განვითარებით არის მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელი რეგიონის უსაფრთხო და მშვიდობიანი მომავლის უზრუნველყოფა. საქართველოს აზერბაიჯანთან და სომხეთთან ისტორიულად ჩამოყალიბებული კეთილმეზობლური ურთიერთობები აკავშირებს. მათთან თანამშრომლობის შემდგომი გაძლიერება საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი

ძირითადი მიმართულებაა. საქართველო ესწრაფვის, ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას ობიექტურად არსებული საერთო ინტერესების გათვალისწინებით. საქართველო განაგრძობს მჭიდრო თანამშრომლობას სომხეთთან ორმხრივი და რეგიონული ურთიერთობების ფართო სპექტრში. საქართველო მხარს უჭერს სომხეთის სრულფასოვან მონაწილეობას რეგიონულ პროექტებში და მიესალმება ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ამ ქვეყნის თანამშრომლობის ინტენსიფიკაციას, რაც გააძლიერებს რეგიონულ უსაფრთხოებას

თავი 4. საქართველო გლობალურ ეკონომიკურ პროცესებსა და ტენდენციებში

4.1. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები და მათი როლი გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ როგორც საერთაშორისო, ისე ნაციონალური სავალუტო სისტემები ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ამან გამოიწვია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა, რათა გაუმჯობესებულიყო ქვეყნების ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობა. ამის შედეგად, გაეროს საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო კონფერენციაზე, რომელიც 1944 წელს შედგა ბრეტონ-ვუდსში (აშშ), მიიღეს გადაწყვეტილება შექმნილიყო გაეროს სპეციალიზირებული ორგანო - საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ), საერთაშორისო და ნაციონალური სავალუტო-საფინანსო სისტემების სტაბილიზაციისათვის და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ) – ინვესტიციების გაზრდისათვის.

ეს საერთაშორისო ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებასა და კრიზისული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ასევე გააფართოვეს ფინანსური დახმარება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც აღადგენდნენ დამოუკიდებლობას.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) შეიქმნა სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებში. მისი ოფიციალურ მიზნებს, რომლებიც გადმოცემულია სსფ-ს წესდებაში, წარმოადგენს: თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო საკითხებში, ვალუტის სტაბილიზაცია, სავალუტო შეზღუდვების აღმოფხვრა, მრავალმხრივი სისტემის შექმნა ქვეყნებს შორის გადასახადების გადახდისათვის, წევრი ქვეყნების სავალუტო რესურსებით უზრუნველყოფა, მათი საგადასახდელო ბალანსების დროებითი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით. 80-იანი წლების დასაწყისიდან სსფ-მ დაიწყო მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტების გაცემა (7-10 წლით) წევრი-ქვეყნების ეკონომიკის რესტრუქტურირებისთვის, რომლებიც ახორციელებდნენ რადიკალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს.

სსფ-მ მოღვაწეობა დაიწყო 1947 წლის მარტიდან, როგორც გაეროს სპეციალიზებულმა ორგანომ. ცენტრალური ოფისი მდებარეობს ვაშინგტონში ასევე აქვს ფილიალები და წარმომადგენლობა რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაფუძნებაში მონაწილეობა მიიღო 44 ქვეყანამ, 2012 წლის მდგომარეობით მასში შედის 188 ქვეყანა. [224]

საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრია 1992 წლის 5 მარტიდან. [224] საქართველომ 2008–2009 წლებში ორმაგ კრიზისს თავი წარმატებით დააღწია, თუმცა მისი მიმდინარე ანგარიშის დიდი დეფიციტი და გარე დაფინანსების საჭიროებანი კვლავ სუსტ მხარეებად რჩებიან. ეს განსაკუთრებით აქტუალურია მსოფლიოში ჯერ კიდევ კრიზისული ეკონომიკური და ფინანსური პირობების ფონზე. ამ კონტექსტში საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოში მიმდინარე პროგრამების ძირითადი მიზნებია:

- ქვეყნის ხელისუფლების 2013–2014 წლების ეკონომიკური და ფინანსური პროგრამის მხარდაჭერა, რაც დაასრულებს საქართველოს პოსტკრიზისული მაკროეკონომიკური მაჩვენებლების კორექტირების პროცესს.
- დონორების ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად კატალიზატორის როლის შესრულება.
- ქვეყნისთვის საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საგადამხდელო ბალანსის დაუფინანსებლობის საფრთხის წარმოქმნის შემთხვევაში, რაც მოვლენების ნეგატიურმა განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს. [72, გვ.2]

დაწყებული პროგრამის ფარგლებში გატარებული ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა ემსახურებოდა ქვეყნის ეკონომიკის სტბილიზაციას, 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგების ლიკვიდაციას და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი პირობების აღდგენას.

პროგრამის პირველ ეტაპზე დონორების მიერ დაფინანსებული მნიშვნელოვანი ფისკალური სტიმულის გამოყენებით და საბანკო სისტემაში

ლიკვიდობის ინექციით მოხდა ზემოხსენებული ორმაგი კრიზისის შედეგების შერბილება.

მეორე ეტაპზე აქცენტი გაკეთდა ინვესტორთა რწმენის განმტკიცებაზე, რაც კერძო სექტორის მიერ განპირობებული ეკონომიკური ზრდის საფუძველია. ხსენებული მიზანი მიღწეულ იქნა უპირატესად ფისკალური კონსოლიდაციის გზით. ბიუჯეტის დეფიციტი 2011 წელს შემცირდა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 3.6 პროცენტამდე – 2009 წელს არსებული 9.2 პროცენტიდან. (იხ. ნახ.2.2.18 და 2.2.19). ამან შესაძლებელი გახადა შედარებით მოქნილი გამხდარიყო გაცვლითი კურსი და გაძლიერებულიყო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ფინანსური სისტემის მარეგულირებელი გარემო. 2011 წლის აპრილში საქართველომ შეძლო საბაზრო დაფინანსების წყაროს დაბრუნება როდესაც 500 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის 10 წლიანი ევრო ობლიგაციები განათავსა 7.125 პროცენტად. ამას მოჰყვა საქართველოს ბანკის, საქართველოს რკინიგზისა და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ ევრო ობლიგაციების გამოშვება 2012 წლის დასაწყისში.

წლის ბოლოს, ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელების მიუხედავად, საქართველოს საერთო ეკონომიკური მდგომარეობა 2012 წელს დამაკმაყოფილებელი იყო. წარმოების, მშენებლობის, ტურიზმის და ფინანსური სერვისების ზრდამ უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკის 6.1 პროცენტის ზრდის ტემპი. ინფლაცია კლებას განაგრძობს – 2012 წლის ბოლოსთვის იგი მინუს 1.4 პროცენტამდე შემცირდა 2011 წლის მაისში არსებული პიკური, 15 პროცენტის, მაჩვენებლიდან. ამას ხელი შეუწყო სურსათისა და ენერგომატარებლებზე ფასების კლებამ და ლარის გამყარებამ. მაღალი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს (მშპ-ს 12%) განაპირობებდა ნეგატიური სავაჭრო სალდო, რომელიც თავის მხრივ მშპ-ს 26%-ს შეადგენდა (იხ. ნახ. 2.2.16). სავაჭრო დეფიციტი ნაწილობრივ დაბალანსდა ტურიზმის და საინვესტიციო შემოსავლებით. ადგილი ქონდა კაპიტალური ნაკადების შემოდინებასაც, რითაც დაფინანსდა მიმდინარე ანგარიშის მაღალი დეფიციტი. ამან საქართველოს ეროვნულ ბანკს (სებ) გეგმაზე მეტი საერთაშორისო რეზერვების დაგროვების საშუალება მისცა. წლის ბოლოსთვის სებ-ის საერთაშორისო რეზერვებმა 2.9 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. [37]

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ეკონომიკური პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ მაკროეკონომიკურ ნაბიჯებს: [224]

მოხდეს დამატებითი ფისკალური კონსოლიდაცია (ბიუჯეტის დეფიციტის პარამეტრი 2011 წელს არსებული მშპ-ს 3.6 პროცენტიდან 2.8 პროცენტამდე შემცირდეს 2013 წელს), რათა სახელმწიფო ვალი მდგრადი და მაკროეკონომიკურად სტაბილური იყოს. ეს კონსოლიდაცია სოციალური ხარჯების ზრდის და კაპიტალური ხარჯების კორექტირების პარალელურად უნდა განხორციელდეს..

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს გაცვლითი კურსის მოქნილობა საგადასახადო ბალანსის დეფიციტის შემცირების მიზნით.

უნდა გაგრძელდეს ინფლაციის ტარგეტირების რეჟიმზე გადასვლა ფასების სტაბილურობის პირობებში

უნდა გაძლიერდეს საბანკო სექტორში არსებული რისკების მონიტორინგი და ფინანსური სისტემის მარეგულირებელი გარემო; შეიზღუდოს ბანკების მიერ არაძირითადი დაფინანსების შემთხვევები შოკებისადმი მედეგობის გაძლიერების მიზნით. ამასთანავე, სსფ-ს პროგრამა მხარს უჭერს მთავრობის სტრუქტურულ გეგმებს, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანის ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას ვაჭრობის მხარდასაჭერად მიმართული რეფორმების გატარებით, კონკურენციის უზრუნველყოფით, მოთხოვნასთან მისადაგებული სწავლებით და საკუთრების უფლების უზრუნველყოფით.

მიმდინარე პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდი ქვეყანას უწევს ტექნიკურ დახმარებას საჯარო ფინანსების მართვისა და ფისკალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, შემოსავლების ადმინისტრაციის გაუმჯობესების, ეროვნული ანგარიშებისა და საგარეო სექტორის სტატისტიკური აღრიცხვის გაძლიერების, საანგარიშსწორებო სისტემების მოდერნიზების და საბანკო სექტორის ზედამხედველობის შემგომი გაძლიერების მიმართულებით.

2013 წლის 13 მარტს საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დაასრულა საქართველოში სსფ-ს მიერ „სარეზერვო დაფინანსებით“ (SBA) და „სარეზერვო დაკრედიტების მექანიზმებით“ (SCF) მხარდაჭერილი ეკონომიკური პროგრამის პირველი და მეორე მიმოხილვა.

აღნიშნული პროგრამა 2012 წლის 11 აპრილს დამტკიცდა და საქართველოსთვის 250.0 მილიონი „სპეციალური სესხების უფლების ერთეულის“ (SDR-ის) (დაახლოებით 375.7 მილიონი აშშ დოლარის) გამოყოფას ითვალისწინებს. [112, გვ.12] თანხა პროპორციულად ნაწილდება დაფინანსების ორ, ზემოაღნიშნულ მექანიზმებს შორის. საქართველოს ხელისუფლებამ უარი თქვა ამ საკრედიტო რესურსის გამოყენებაზე.

სსფ-ს აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ მხედველობაში მიიღო ქვეყნის ხელისუფლების განმარტება მიმდინარე პროგრამის 2012 წლის დეკემბრის ბოლოსთვის განსაზღვრული კრიტერიუმის - საპარტნიორო ფონდის საკასო დეფიციტის-დაუცველობის შესახებ. [113, გვ 5]

სსფ-ს მიხედვით, 2013 წლის ეკონომიკური პროგნოზი დადებითია, რადგან 2012 წლის ბოლოს შემჩნეული ეკონომიკური ზრდის შენელება დროებითად არის მიჩნეული. მათი გათვლებით, ინფლაცია კვლავ იქნება ქვეყნის ცენტრალური ბანკის ორიენტირზე ნაკლები. დამატებით საჭირო იქნება ფისკალური კონსოლიდაცია, გაცვლითი კურსის მოქნილობა და საქართველოს კონკურენტულობის ზრდაზე მიმართული რეფორმები, რაც საბოლოოდ შეამცირებს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებიდან გამომდინარე უახლესი მომავლის ძირითადი გამოწვევებია: ინვესტორთა ნდობის შემდგომი გაძლიერება, რათა კერძო სექტორი გაუძღვეს ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ აღმავლობას; საჯარო ხარჯების შემცირება, გაცვლითი კურსის მოქნილობის უზრუნველყოფა საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირების მიზნით; კაპიტალის შემოდინების უზრუნველყოფა.

საშუალოვადიანი პერიოდის ძირითადი გამოწვევაა მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებისა და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის გაძლიერების ფონზე.

მსოფლიო ბანკი შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის დროს, 1945 წელს ბრეტონ-ვუდსში. მსოფლიო ბანკი თავისი არსებობის საწყის ეტაპზე ახდენდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ევროპის აღდგენას. რეკონსტრუქცია რჩება ბანკის

საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად. ეს საქმიანობა საშუალებას აძლევს გადაწყვიტოს ისეთი ამოცანები, როგორცაა სტიქიის შემდგომი გაჭირვების ლიკვიდაცია, ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა საჭირო შემთხვევებში და პოსტკონფლიქტური აღდგენა - ამოცანები რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

მსოფლიო ბანკი ახორციელებს სოციალურ სექტორზე, სიღარიბის დაძლევაზე, ვალის შემსუბუქებასა და ეფექტურ მმართველობაზე მიმართულ პროექტებს.

მსოფლიო ბანკის მისიაა დაეხმაროს განვითარებად ქვეყნებს ათასწლეულის განვითარების მიზნების მიღწევაში ისეთი საშუალებებით, როგორცაა ინვესტირებისთვის, სამუშაო ადგილების შექმნისა და მდგრადი განვითარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, აგრეთვე ღარიბ მოსახლეობაში ინვესტირება და მათთვის განვითარების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა.

მსოფლიო ბანკი შედგება ორი ძირითადი ინსტიტუტისაგან - რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისა (რგსბ IBRD) და განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (სგა IDA). თითოეულ უწყებას გააჩნია განსხვავებული, მაგრამ არსებითი როლი გლობალური მასშტაბით სიღარიბის შემცირებაში. კერძოდ, IBRD-ის საქმიანობა ფოკუსირებულია საშუალო შემოსავლიან და კრედიტუნარიან ღარიბ ქვეყნებზე, მაშინ როცა IDA კონცენტრირებულია მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებზე. ხსენებული ინსტიტუტები მიზნების მისაღწევად განვითარებად ქვეყნებზე გასცემენ დაბალ პროცენტთან სესხებს, უპროცენტო კრედიტებსა და გრანტებს რომელიც მიმართულია განათლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის, კომუნიკაციების და სხვა მიზნებზე.

მსოფლიო ბანკი ქვეყნებს ძირითადად სთავაზობს 2 სახის სესხს: საინვესტიციო სესხებს და განვითარების პოლიტიკის მხარდაჭერ სესხებს. პირველის მიზანია ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროექტების მხარდაჭერა, ხოლო მეორე მხარს უჭერს ქვეყნის პოლიტიკურ და ინსტიტუციურ რეფორმებს. ამასთან ბანკი შეისწავლის მსესხებელის საპროექტო შემოთავაზების ფინანსურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ასპექტებს, რათა დარწმუნდეს პროექტის განხორციელების შესაძლებლობაში.

დაარსებიდან დღემდე მსოფლიო ბანკი გაფართოვდა და ახლა მასთან ასოცირდება განვითარებაზე ორიენტირებული 5 ინსტიტუტისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელსაც მსოფლიო ბანკის ჯგუფს უწოდებენ, ხოლო ამ ინსტიტუტებს წარმოადგენენ: რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD), განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC), მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (MIGA) და საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრი (ICSID).

IBRD-ში გაწევრიანებულია 185 ქვეყანა, IDA-ში - 168 ქვეყანა, IFC-ის წევრია 181 ქვეყანა, MIGA-ში გაწევრიანებულია 173 ქვეყანა, ხოლო ICSID-ის წევრია 143 ქვეყანა. ამასთან, IBRD-ის შეთანხმების მუხლების თანახმად იმისათვის რომ ქვეყანა გახდეს ბანკის წევრი ის ჯერ უნდა გაწევრიანდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდში (IMF). ხოლო IDA-ს, IFC-ს და MIGA-ს წევრობა განპირობებულია IBRD-ის წევრობით.

საქართველო მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი, კერძოდ კი რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD-ის), მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტოს (MIGA-ს) და საინვესტიციო დავების მოგვარების საერთაშორისო ცენტრის (ICSID-ს) წევრი გახდა 1992 წელს. მოგვიანებით, 1993 წელს საქართველო გაწევრიანდა განვითარების საერთაშორისო ასოციაციაში (IDA-ში), ხოლო შემდგომ 1995 წელს მიუერთდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას (IFC-ს).

IBRD-ში საქართველოს გააჩნია 1,834 ხმა, რაც მთლიანი ხმების 0.11 %-ია. 2009 წლიდან მსოფლიო ბანკის დეცენტრალიზაციის სტრატეგიის თანახმად, ახალი რეგიონული დირექტორის ოფისი თბილისში იქნა განთავსებული.

საქართველოში მსოფლიო ბანკის მისიის მიზანია დაეხმაროს ქვეყანას გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, სოციალური მომსახურების გაუმჯობესებაში და გარემოს დაცვაში. ამ მიზნით იგი ახორციელებს ქვეყნის ფინანსურ დახმარებას, ანალიზსა და კონსულტაციებს, ხოლო მის პრიორიტეტულ სფეროებს განეკუთვნება: ინფრასტრუქტურა, განათლება და ეკონომიკური რეფორმა. რეფორმების მეორე ეტაპის განხორციელებაში საქართველოს დასახმარებლად შემუშავდა 2006-2009 წწ მსოფლიო ბანკის ჯგუფის ქვეყნის

პარტნიორობის სტრატეგია (CPS), რომელიც აგებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების პროგრამის (EDPRP) გათვალისწინებით და მიზნად ისახავდა:

- ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნას კერძო სექტორის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების აღმოფხვრითა და ინფრასტრუქტურის, საფინანსო სექტორისა და ბაზრების გაუმჯობესებით;
- ადამიანური განვითარების ხელშეწყობასა და სოციალურ დაცვას უკეთესი განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემების ჩამოყალიბებითა და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებით;
- კორუფციის შემცირებისა და განვითარების უკეთესად დაგეგმვის მიზნით სახელმწიფო სექტორის მართვისა და საბიუჯეტო პროცესების გაძლიერებას;

CPS-ის მთავარი კომპონენტია სიღარიბის შემცირების მხარდამჭერი კრედიტები (PRSCs) საზოგადოებრივი სექტორის რეფორმის მხარდამჭერ პროექტთან ერთად.

ამ ეტაპზე მოქმედებს ქვეყნის პარტნიორობის ახალი სტრატეგია 2010-2013 წლებისათვის. 1992 წელს საქართველოში მსოფლიო ბანკის საქმიანობის დაწყებიდან 2012 წლამდე დაფინანსდა 1.1 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების IDA-ს 46 პროექტი. ამჟამად, აქტიურ პორთფელს შეადგენს IDA-ს 12 კრედიტი 265 მლნ აშშ დოლარის მთლიანი ღირებულებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის საპასუხოდ, მსოფლიო ბანკმა 2008 წლის ოქტომბერში საქართველოსთვის დაჩქარებული წესით დაამტკიცა 100 მლნ აშშ დოლარის ღირებულების თანხა, ისეთ პროექტებზე როგორცაა:

- საქართველოსთვის სიღარიბის დაძლევის მხარდამჭერი ღონისძიების (PRSO IV) დამატებითი დაფინანსება, რომლითაც დამატებით გამოიყო

40 მლნ აშშ დოლარის საბიუჯეტო დახმარება PRSO პროგრამის განსახორციელებლად;

- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი, რომლითაც გამოიყო 40 მლნ აშშ დოლარი და მისი მიზანია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მომსახურების ეფექტურობის გაუმჯობესება, აგრეთვე ინფრასტრუქტურისა და მომსახურების აღდგენა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საქართველოში კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობისათვის.
- აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეორე პროექტი: დამატებითი დაფინანსება, რომლითაც გამოიყო 20 მლნ აშშ დოლარი. პროექტით გრძელდება ძირითადი სატრანსპორტო კორიდორის გაუმჯობესება და იგი წარმოადგენს CPS-ის ძირითად კომპონენტს. აღსანიშნავია, რომ შემუშავებულია აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მესამე პროექტი რომელიც ითვალისწინებს სვენეთი-რიკოთის მონაკვეთზე 43 კილომეტრის გზისა და რიკოთის გვირაბის რეაბილიტაციას

ამასთან, 2009 წლის 19 მარტს მსოფლიო ბანკმა დაამტკიცა IDA-ს 70 მლნ აშშ დოლარის ღირებულების კრედიტი, რათა გაგრძელდეს საწყისი 20 მლნ აშშ დოლარის ღირებულების მეორადი და ადგილობრივი გზების პროექტი. დამატებითი დაფინანსება მიზნად ისახავს მეორადი და ადგილობრივი გზების განახლებას და რეაბილიტაციას, აგრეთვე გზების დეპარტამენტის შესაძლებლობების განმტკიცებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ დღეისათვის მსოფლიო ბანკი ეხმარება საქართველოს მთავრობას კონსულტანტების დაფინანსებაში ჰუდონის ჰიდროელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადების მიზნით. ჩამოთვლილთაგან თითოეული, საერთო მართვის ხელმძღვანელობით, დამოუკიდებლად, ახორციელებენ სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების დაფინანსებას და ხელს უწყობენ ეკონომიკური განვითარების პროგრამის განხორციელებას.

ყოველწლიურად მსოფლიო ბანკი აქვეყნებს რეიტინგს ბიზნესის კეთების მიხედვით. აღმოსავლეთ პარტნიორობის სივრცეში მყოფი ქვეყნების შეფასება ამ მაჩვენებლის მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 4.1.1.

მსოფლიოს ბანკი რანგირება “ბიზნესის კეთების სიმარტივის”
მიხედვით 2012 წლისათვის

	2012 წ.	2011	ცვლილება
სომხეთი	32	50	18
აზერბაიჯანი	67	66	-1
საქართველო	9	12	3
უკრაინა	137	152	15
მოლდოვეთი	83	86	3
ბელორუსია	58	60	2

წყარო: მსოფლიო ბანკის ვებგვერდი <http://www.doingbusiness.org/rankings> გადამოწმებულია ჩვენს მიერ 20.09. 2012

როგორც ვხედავთ, საქართველოს 6 ქვეყანას შორის საუკეთესო მონაცემები აქვს და პირველ ადგილზეა.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. ურუგვაის რაუნდის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო 1995 წლის 1 იანვარს GATT-ის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციად გარდაქმნა. ამგვარად, ვმო არის წევრი ქვეყნების ორგანიზაცია, მაშინ, როდესაც GATT-ი მხოლოდ ხელმომწერ მხარეებს შორის არსებულ მრავალმხრივ შეთანხმებას წარმოადგენდა. ამჟამად ვმო-ში 149 სრულუფლებიანი წევრია გაერთიანებული. ვმო-ს წევრი ქვეყნების წილი საერთაშორისო ვაჭრობაში დღეისათვის 95 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციები:-
სამართლებრივი ბაზის შემუშავება ვაჭრობაზე მოქმედი ბარიერების მართვისა და საერთაშორისო ვაჭრობაში დისკრიმინაციის აღკვეთის უზრუნველყოფის მიზნით; მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების პროცესის წარმართვა; ვაჭრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დავების მოგვარება; ვმო-ს წევრი ქვეყნების სავაჭრო

პოლიტიკის ზედამხედველობა; მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

ვმო-ს ორგანიზაციული სტრუქტურა. ვმო-ს უმაღლესი ორგანოა მინისტრთა კონფერენცია, რომელიც იკრიბება ყოველ მეორე წელს და იღებს გადაწყვეტილებებს ძირითადად სახელმწიფოთაშორისო სავაჭრო შეთანხმებების შესახებ. კონფერენციებს შორის ვმო-ს მუშაობას ხელმძღვანელობს გენერალური საბჭო, რომელიც ანგარიშვალდებულია მინისტრთა კონფერენციისადმი. გენერალური საბჭოს დონეზე ფუნქციონირებს ორი სტრუქტურა: 1. დავების გადაწყვეტის ორგანო, რომელიც ზედამხედველობს სადავო საკითხების მოგვარების პროცედურებს; 2. სავაჭრო პოლიტიკის განხილვის ორგანო, რომელიც ორგანიზებას უწევს ვმო-ს ინდივიდუალური წევრების სავაჭრო პოლიტიკის რეგულარულ (2 წელიწადში ერთხელ) განხილვას.[12. გვ.57-69]

მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სრულფასოვნად ინტეგრება საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, რომლის გადასაჭრელად აუცილებელია საბაზრო პრინციპებზე დამყარებული ურთიერთობების განვითარება და მათი ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტებთან. ამ მიმართულებით ვმო-ში გაწევრიანება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა.

1996 წლის 26 ივნისს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური საბჭოს სხდომაზე საქართველოს მიენიჭა ვმო-ს დამკვირვებლის სტატუსი. 1996 წლის ივლისში საქართველოს მხარემ ოფიციალურად განაცხადა აღნიშნული ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღების სურვილი, რის შედეგადაც ვმო-ს გენერალურმა საბჭომ ჩამოაყალიბა წევრი ქვეყნების სამუშაო ჯგუფი საქართველოს გაწევრიანების საკითხზე სამუშაოდ. სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღებისათვის დაწესებული პროცედურის შესაბამისად 1997 წლის მარტში ვმო-ს სამდივნოს ოფიციალურად გადაეგზავნა "მემორანდუმი საქართველოს საგარეო ვაჭრობის რეჟიმის შესახებ." წევრ ქვეყნებთან შეთანხმდა ბმული სატარიფო განაკვეთები საქონლის იმპორტზე და საქონლით ვაჭრობის ბაზარზე დაშვების პირობები და ვალდებულებები მომსახურებით ვაჭრობის სფეროში. საერთაშორისო

ორგანიზაციები საქართველოს ვმო-ში გაწევრიანების მიზნით უწევდნენ მას ტექნიკურ დახმარებას (ევროკავშირი – ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრის (GEPLAC) პროექტის სახით, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) - საინსტიტუციო რეფორმებისა და არაფორმალური სექტორის (IRIS) კავკასიური ცენტრის სახით და მსოფლიო ბანკი).

1999 წლის 6 ოქტომბერს ხელი მოეწერა ვმო-ს დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმებაზე საქართველოს მიერ თების ოქმს. 2000 წლის 14 ივნისიდან საქართველო გახდა ვმო-ს სრულუფლებიანი 137-ე წევრი.

ვმო-ს დამფუძნებელ მარაკეშის შეთანხმებაზე მიერთების ოქმის ხელმოწერით საქართველო მიუერთდა ამ ორგანიზაციის შეთანხმებათა მთლიან პაკეტს, აგრეთვე იკისრა ვალდებულებები, რომელიც დაფიქსირებულია ოქმის დანართ დოკუმენტებში. ესენია: საქართველოს ბმული ტარიფების ცხრილები; მომსახურებით ვაჭრობის სფეროში სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილები და მიერთების მუშა ჯგუფის ანგარიში.

ბმული ტარიფების ცხრილები წარმოადგენენ საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის იმ მაქსიმალურ განაკვეთების ჩამონათვალს, რომელთა გამოყენების უფლება გააჩნია საქართველოს, ვმო-ს წევრების დამატებითი თანხობის მიღების გარეშე.

ცხრილები ძირითადად შედგენილია ე.წ. ჰარმონიზირებული სისტემის 6-ნიშნა კოდების დონეზე, ხოლო იმ სასაქონლო ჯგუფებში, სადაც უფრო დეტალურ დონეზე ადგილი აქვს განსხვავებულ ტარიფებს - 9 ნიშნა დონეზე. იმ სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფები დაფიქსირდა უფრო დაბალ დონეზე, ვიდრე მოქმედი ტარიფი (საინფორმაციო ტექნოლოგიები, ფარმაცევტული პროდუქცია, მანქანა-დანადგარები, ზოგიერთი ნედლეული და ა.შ.), საქართველო გაწევრიანების დღიდან ვალდებული იყო მოქმედი ტარიფი მოეყვანა «ბმულის» მოთხოვნებთან შესაბამისობაში (დაეწესებინა მის დონეზე, ან უფრო დაბალი ტარიფი). სასაქონლო პოზიციებზე, სადაც ბმული ტარიფის დონე მოქმედზე მაღალია, საქართველოს აქვს უფლება ასწიოს საიმპორტო ტარიფი ბმულის დონემდე, თუ ამას მიზანშეწონილად

მიიჩნევს. მაღალი დონეები გაწევრიანებისას შეთანხმდა ძირითადად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (ალკოჰოლი, ხილის წვენები, გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია, თამბაქო და ა.შ.), აგრეთვე მცირე რაოდენობის სამრეწველო პროდუქციაზე (სამშენებლო მასალები, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი და ა.შ.). მომსახურებით ვაჭრობაში სპეციფიკურ ვალდებულებათა ცხრილებით განსაზღვრულია ის შეზღუდვები, რომლებიც ექნება მომსახურების ადგილობრივ და უცხოელ მომწოდებლებს. შეზღუდვები ორი ტიპისაა: ე.წ. «ჰორიზონტალური», რომელიც ეხება მომსახურების ყველა სექტორს და «ვერტიკალური», რომელიც სპეციფიკურია კონკრეტული სექტორის მიმართ.

უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურებით ვაჭრობის რეგულირება საქართველოს ფრიად ლიბერალიზებული აქვს, ე.ი. უცხოელ მომწოდებლებს ადგილობრივთან შედარებით დაუწესდათ მეტად მცირერიცხოვანი შეზღუდვები (საბანკო-საფინანსო, სადაზღვევო, სამშენებლო და ზოგიერთ სხვა სექტორებში).

გაწევრიანების მსვლელობაში გატარდა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რათა მომხდარიყო საქართველოს კანონმდებლობის რაც შეიძლება სრული ჰარმონიზაცია ვმო-ს მოთხოვნებთან, ხოლო აუცილებელი სამომავლო ცვლილებები, აგრეთვე ვმო-ს სხვადასხვა შეთანხმებების დაცვის პირობები, დაფიქსირდა გაწევრიანების მუშა ჯგუფის ანგარიშში, ვალდებულებათა სახით. ეს ვალდებულებები შეეხებიან საკმაოდ ფართო სპექტრის საკითხებს, ისეთს, როგორც სამეწარმეო საქმიანობისა და ექსპორტ-იმპორტის ლიცენზირება, საგადასახადო სისტემა, სტანდარტიზაცია-სერტიფიკაცია, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, სუბსიდიები, ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტები და ა.შ.[5; 19, გვ.125-163; 18, გვ. 227-280]

4.2. საქართველო და ევროპა: ურთიერთობის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები და პერსპექტივები

აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სამხრეთ კავკასიის რეგიონისადმი მზარდ ინტერესს იჩენდნენ არა

მხოლოდ ძლიერი მეზობელი ქვეყნები (რუსეთი, თურქეთი, ირანი), არამედ მსოფლიოს წამყვანი ძალებიც (აშშ, ევროკავშირი). ეს რეგიონში შესამჩნევი რაოდენობით ნავთობის რეზერვებით და მისი მეტად ხელსაყრელი გეოეკონომიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობით, ევროპასა და აზიას შორის ტრანზიტული დერეფნის როლით, არის განპირობებული.

ევროკავშირი სამხრეთ კავკასიის სცენაზე 90-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ქვეყნები პირველ ნაბიჯებს დგამდნენ საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიისაკენ და როდესაც რეგიონის პოლიტიკური ლანდშაფტი ეთნიკურმა კონფლიქტებმა და ნავთობმა მოიცვა.

სამხრეთ კავკასია უფრო მეტად ნავთობისა და გაზის რეზერვების მქონე კასპის ზღვის რეგიონის ჩარჩოში მოიაზრება. იგი ერთგვარ მიკრორეგიონს და ამასთანავე მნიშვნელოვან არეს წარმოადგენს ევროკავშირისათვის, რომელიც ახალი ენერგო საჭიროებების წინაშე დგას და ცდილობს ენერგომომარაგების წყაროების დივერსიფიცირებას. სამხრეთ კავკასია პოტენციურად მეტად მომგებიან და მიმზიდველ ადგილს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციებისათვის, განსაკუთრებით ტრანსნაციონალური ნავთობ კომპანიებისათვის. ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიული „აზრეშუმის გზის“ აღდგენას, რომელიც აზიასთან პირდაპირ სავაჭრო არხს წარმოადგენს. სამხრეთ კავკასიამ ერთგვარი ხიდის როლი შეიძლება შეასრულოს ევროპასა და აზიას შორის. ევროკავშირი დაინტერესებულია რეგიონის სტაბილურობით, რადგან კავკასიის ტერიტორიაზე გამუდმებული კონფლიქტების რეგიონის ფარგლებს გარეთ გავრცელების ალბათობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას გაფართოებულ ევროკავშირს. ამასთანავე, სამხრეთ კავკასიის რეგიონში არასტაბილურობა სიტუაციამ შესაძლოა ევროკავშირში გარკვეულწილად იმიგრაციის ზრდა გამოიწვიოს. თავის მხრივ, უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგიონში ევროკავშირის აქტიურ პოლიტიკას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით კი საქართველოსათვის, რომლის საბოლოო მიზანია ევროპულ სტრუქტურებში სრული ინტეგრაცია. ევროკავშირი დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, მდგრადი განვითარების პრინციპების გავრცელებითა და ფინანსური დახმარებით მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს რეგიონის წინსვლაზე. რეგიონის

მომავლის ოპტიმისტური ხედვის საფუძველს სწორედ მისი გეოეკონომიკური მიმართულებით განვითარების პერსპექტივა იძლევა. ევროკავშირის მიერ წამოწყებული სხვადასხვა პროექტი კი ხელს შეუწყობს რეგიონულ თანამშრომლობასა და კონფლიქტების მოგვარებას, რაც რეგიონის განვითარების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. აგრეთვე ევროკავშირის აქტიური ჩართვა რეგიონის პოლიტიკაში შესაძლებელს ხდის რეგიონში ძალთა ბალანსის ცვლილებას. ანუ, ჰეგემონური რეგიონული წესრიგის ჰარმონიული წესრიგით შეცვლას, როდესაც რამდენიმე ძალას რეგიონში მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები გააჩნია.

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის პოლიტიკის და რეგიონში მისი როლის შეფასებისას ხშირად ადგილი აქვს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს. ერთი მხრივ, ევროკავშირის მიერ დახარჯული მილიარდი ევრო, რამდენიმე რეგიონული მასშტაბის პროექტი და რეგიონის დემოკრატიული გარდაქმნისათვის გაწეული დახმარება მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ევროკავშირი საკმაოდ აქტიური იყო რეგიონში. უფრო მეტიც, ევროპარლამენტის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ სამხრეთ კავკასია ევროკავშირის ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისათვის (CFSP) სტრატეგიულ რეგიონს და შუა აზიისაკენ ნამდვილ ჭიშკარს წარმოადგენს დაგვანახა, რომ ევროკავშირი მნიშვნელობას ანიჭებს სამხრეთ კავკასიასთან ურთიერთობების განმტკიცებას. მეორე მხრივ, სამხრეთ კავკასია მიიჩნევა იმის მაგალითად, რაც მეცნიერულ წრეებში „შესაძლებლობებსა და მოლოდინს შორის შეუსაბამობის“ (Capability-Expectations Gap) სახელითაა ცნობილი. ევროკავშირის ოფიციალურად ჯერაც არ ჩამოუყალიბებია თავისი განსაზღვრული მიზნები რეგიონში და კვლავაც სამხრეთ კავკასიის მიმართ ერთობლივი სტრატეგიის შემუშავების პროცესში იმყოფება. ზოგადად, მიზნები რომ იქნეს განხორციელებული, საჭიროა სხვადასხვა ტიპის რესურსები და ინსტრუმენტები. ის ინსტრუმენტები კი რომელსაც ევროკავშირი კავკასიაში იყენებს მხოლოდ ეკონომიკური და დიპლომატიური ხასიათისაა, ანუ როგორც ამას უწოდებენ „Soft Power Approach“-ს წარმოადგენს.

ევროკავშირის აქტიურობა რეგიონში რამდენიმე ძირითადი მიმართულებით არის გამოხატული. ფინანსურ ასპექტში ყველაზე მნიშვნელოვანია ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარება, რომელსაც ევროკავშირი TACIS-ის და ECHO-ს პროგრამების მეშვეობით ახორციელებდა 1992 წლიდან მოყოლებული. TACIS-ის პროგრამა ორი მიმართულებით ხასიათდება: ნაციონალური, რომელიც ქვეყნის ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კონსულტაციების ფონზე ხორციელდება და მეორე-სახელმწიფოთაშორისო. TACIS-ის რეგიონალური მიმართულება ევროკავშირის რამდენიმე მრავალგანზომილებიან რეგიონალური პროექტზე ფოკუსირდება, რომელთაგან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი TRACECA და INOGATE-ია.

TRACECA-ის პროექტი 1993 წელს დაიწყო და იგი მიზნად ისახავს შავი და კასპიის ზღვის რეგიონის თანამედროვე სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემებით დაკავშირებას და რეგიონში კოჰერენტული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას. TRACECA საკმაოდ ფართომასშტაბიანი პროექტია, რომელიც მასში მონაწილე ქვეყნებს ევროპისა და მსოფლიო ბაზარზე ალტერნატიული სატრანსპორტო გზებით გასვლის საშუალებას მისცემს, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, რეგიონულ თანამშრომლობას და მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, აგრეთვე TRACECA-ს ტრანსევროპულ ქსელებთან (TENs) დაკავშირებას. პერსპექტივაში „აბრეშუმის გზის“ გასწვრივ ინფორმაციის ურთიერთგაცვლისა და მონიტორინგის სატელიტური ქსელის შექმნაა გათვალისწინებული, რაც სატრანსპორტო დერეფანს ახალ განზომილებას შესძენს. TRACECA მხოლოდ ერთი ნაწილია იმ გიგანტური პროექტისა, რომელიც „აბრეშუმის გზის განახლების“ სახელით არის ცნობილი და დასავლეთ ევროპიდან სამხრეთ აღმოსავლეთ აზიამდე კავკასიისა და შუა აზიის გავლით სატრანსპორტო დერეფნის შექმნას ისახავს მიზნად.

INOGATE (ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპისაკენ) 1995 წელს იქნა წამოწყებული. ეს ევროკავშირის რეგიონული მასშტაბის მეორე პროექტია, რომელიც მიზნად ისახავს დსთ-ის სივრცეში არსებული ნავთობ

და გაზსადენების სისტემებისა და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და მოდერნიზაციას, ალტერნატიული მარშრუტების ვარიანტების შეფასებას, აგრეთვე მონაწილე ქვეყნებს შორის რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებასა და ევროპისაკენ ენერგეტიკული დერეფნის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

მესამე და ყველაზე მნიშვნელოვანია ევროკავშირსა და რეგიონის სამივე ქვეყანას შორის დადებული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება (PCA), რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში. პოლიტიკური დიალოგის, დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკის, ვაჭრობისა და საინვესტიციო გარემოს განვითარებისათვის ხელშეწყობა და ქმედითი კავშირების აღდგენა ევროკავშირსა და რეგიონის ქვეყნებს შორის ამ შეთანხმებათა ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. აგრეთვე მნიშვნელოვანია ევროკავშირის მიერ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი ვაჭრობაში გენერალიზებული პრეფერენციების სისტემით უზრუნველყოფა (GSP). თუმცა აღსანიშნავია, რომ პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ჯერ კიდევ შორია ე.წ. ასოცირების შეთანხმებამდე და მასში ნახსენებიც არ არის მომავალში ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ, რაც შეიძლება ერთგვარი მოტივაცია ყოფილიყო სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისათვის და დადებითი გავლენა ჰქონოდა მათ განვითარებაზე.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში ევროკავშირის აქტიურობისა და მისი პოლიტიკის განხილვისას, აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ ის შიდა და გარე ფაქტორები და მათი ურთიერთქმედება, რომლებიც პოზიტიურ თუ ნეგატიურ გავლენას ახდენენ ევროკავშირის პოლიტიკაზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიმართ.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია რუსეთის ფაქტორი, რომელიც ყველაზე გავლენიან ძალას წარმოადგენს რეგიონში და განსაკუთრებული ინტერესები აქვს სამხრეთ კავკასიის მიმართ. აქედან გამომდინარე, სამხრეთ კავკასიაში ეფექტური პოლიტიკის წარმართვისათვის ევროკავშირისათვის აუცილებელია მხედველობაში მიიღოს რუსეთის ფაქტორი. რუსეთი მეტად მგრძნობიარეა თავისი ყოფილი „სამფლობელოს“ ამ ნაწილის მიმართ. უპირველეს ყოვლისა, ტრანსკავკასია, როგორც ამ რეგიონს რუსულ პოლიტიკურ წრეებში მოიხსენიებენ, არასტაბილურ ბუფერულ

ზონას წარმოადგენს რეგიონში სხვა მოქიშპე ძალებს შორის, როგორცაა თურქეთი და ირანი. ევროკავშირს შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს რეგიონში არსებული პრობლემების მოგვარებაში ფინანსური თუ დიპლომატიური გზებით. ნატოსა და აშშ-გან განსხვავებით ევროკავშირი რუსეთის მიერ არ აღიქმება როგორც უშუალო საფრთხე. ეს განპირობებულია იმითაც, რომ ევროკავშირი რუსეთის მთავარი ეკონომიკური პარტნიორია. რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობები სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ორივე მხარისათვის, რაზეც ევროკავშირის მიერ ინიცირებული „ერთობლივი სტრატეგია რუსეთისათვის“ (Common Strategy on Russia) და 2001 წელს დაფუძნებული რუსეთ-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭოც მიუთითებს. ე.წ. „დაახლოების პოლიტიკა“ (rapprochement policy) დაწყებულია. როგორც ევროკომისიის საგარეო ურთიერთობების გენერალური სამდივნოს (Relex E/3) წარმომადგენელმა, რ. ბრენდერმა აღნიშნა, ევროკავშირი სერიოზულად ეკიდება რუსეთთან ახლო მეგობრული ურთიერთობების დამყარებას. რუსეთიც, თავის მხრივ, აქტიურად უჭერს მხარს რუსეთ-ევროკავშირის შიდა უსაფრთხოების საბჭოს შექმნას (Internal Security Council), რომელიც მიზნად ისახავს ტერორიზმთან ერთობლივი ძალებით გამკლავებას და კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტს (Crisis Management). ყოველივე ეს საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ რუსეთი არ იქნება წინააღმდეგი ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში სტაბილურობას შეუწყოს ხელი, მაგრამ აქ მედლის მეორე მხარეცაა გასათვალისწინებელი. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის რეაქცია დიდად იქნება დამოკიდებული, თუ რა სახის ინიციატივას ექნება ადგილი ევროკავშირის მხრიდან სამხრეთ კავკასიაში. ამჟამად ევროკავშირს არ გააჩნია ბოლომდე განსაღვრული პოლიტიკა რეგიონის მიმართ, ევროპის ერთობლივი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული. როგორც ვხედავთ რუსეთის ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია და ევროკავშირის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში უფრო ფართო რუსეთ-ევროკავშირის შორის ურთიერთობების ფონზე უნდა განვიხილოთ.

სამხრეთ კავკასიის რეგიონში არც ამერიკის საკმაოდ შესამჩნევი აქტიურობაა ევროკავშირისათვის მნიშვნელოვანს მოკლებული. ხშირად ევროკავშირი და აშშ მოიაზრებიან როგორც ერთობლივი „დასავლეთის ჩართულობის (engagement)“ ორი

მხარე. ეს მოსაზრება რამდენადმე მარტივია, რადგან იგი არ ითვალისწინებს ზოგიერთ განსხვავებას ევროპასა და ამერიკას შორის, თუმცა სიმართლესაც წარმოადგენს მათი საერთო მიზნების გათვალისწინებით, რაც რეგიონის სტაბილურობაში მდგომარეობს.

ირანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია რომლის მიმართაც აშშ-ს და ევროპას განსხვავებული მიდგომა აქვთ. ნაკლებად სავარაუდოა, რომ აშშ სიხარულით შეეგებოს ევროკავშირის რაიმე ინიციატივას, რომელშიც ირანიც იქნება ჩართული. სამეცნიერო წრეებში არსებობს მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ ევროპის მცდელობა ჩართოს და ითანამშრომლოს რუსეთთან რეგიონში სტაბილურობის მისაღწევად, შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ვაშინგტონის პოლიტიკას რუსეთისა და დსთ-ის მიმართ, რომელიც უფრო გეოპოლიტიკური მეტოქეობის ხასიათს ატარებს. მაგრამ ზოგადად აშშ, რომელიც დაინტერესებულია ხელეწიფებოდეს კასპიის ზღვის აუზის ნავთობისა და გაზის რესურსები და აქტიურად უჭერს მხარს სამილსადენო გზებისა და ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარებას, მიესალმება სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის ინიციატივას. უფრო მეტიც, დემოკრატიის პრინციპების გავრცელება და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება რეგიონში კიდევ ერთი საკითხია, რომელშიც ამერიკისა და ევროპის ინტერესები სრულ თანხვედრაშია. ამგვარად, აშშ-ის რეგიონისადმი აქტიურმა პოლიტიკამ, ერთი მხრივ, შესაძლოა გზა გაუკვალოს ევროკავშირს, პოზიტიური გავლენა იქონიოს მის გააქტიურებაზე და მოხდეს მათ შორის „შრომის დანაწილება“. მეორე მხრივ, აშშ-ის აქტიურობით დაიმედებულმა ევროკავშირმა შესაძლოა თავს მოდუნების უფლება მისცეს, რაც რეგიონში მისი როლის შესუსტებას გამოიწვევს.

როგორც აღვნიშნეთ, ევროკავშირს სურს თავისი ენერგო რესურსების დივერსიფიცირება, რაც სამხრეთ კავკასიის რეგიონს მისთვის მიმზიდველს ხდის და პოზიტიურ გავლენას ახდენს ევროკავშირის როლის გაზრდაზე რეგიონში. ეს რეგიონის გეოპოლიტიკურ განზომილებასთან ასოცირდება, თუმცა არც ეს განზომილებაა ცალმხრივი. უეჭველია, რომ არც გეოეკონომიკურ თამაშში რჩება ყველა მხარე მოგებულნი.

კასპიის ზღვის ენერგო რესურსები უშუალო კონკურენციას გაუწევს რუსეთის ენერგო ექსპორტს და უცხოურ ინვესტიციებს რუსეთის არც თუ სახარბიელო ენერგო ინფრასტრუქტურაში, რაც თავისთავად შეამცირებს რუსეთის ეკონომიკურ სარგებლიანობას ენერგო ექსპორტიდან და რუსეთის სამილსადენო ინფრასტრუქტურიდან. არც თუ დიდი ხნის წინ თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის დაწყებამ, რომელიც მკვეთრად ამცირებს ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენის მნიშვნელობას, უფრო გაამძაფრა რუსეთის უკმაყოფილება. ამან შესაძლოა გამოიწვიოს საკითხის პოლიტიზირება. ამ შემთხვევაში ევროკავშირი შეიძლება განზე გადგეს, რათა არ გაამწვავოს კასპიის ნავთობისა და გაზის რესურსებისა და სამილსადენო გზების კონტროლისათვის წამოწყებული „დიდი თამაში“. თუმცა, შეიმჩნევა პოზიტიური ნიშნებიც რუსეთის ზოგიერთ ბიზნეს წრეებში, რომლებიც ხვდებიან, რომ სტაბილურ და უსაფრთხო ეკონომიკურ კლიმატს სამხრეთ კავკასიაში მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია და კონსტრუქციულ მიდგომას უჭერენ მხარს. ამგვარად, ნათელია, რომ რეგიონის გეოეკონომიკური მიმართულებით განვითარება, რაც კონფლიქტების მოგვარებაზე და რეგიონის სტაბილიზაციაზე ორიენტირდება, ერთგვარი „პოზიტიური ძრავა“ გახდება სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის აქტიური პოლიტიკისა და მზარდი როლისათვის.

იცვლება რა მისი ზომა, გეოგრაფია, შემადგენლობა და მიმართულება, გაფართოების თითოეული ეტაპი ცვლის ევროკავშირის ურთიერთობებს დანარჩენ მსოფლიოსთან. დღეისათვის ევროკავშირი მისი არსებობის იტორიაში ყველაზე მასშტაბური გაფართოების და ამავდროულად ინტეგრაციის გაღრმავების უმნიშვნელოვანესი ამოცანის წინაშე დგას. ეს პროცესები მნიშვნელოვნად აისახება ევროკავშირის შესაძლებლობებსა და მის ურთიერთობებზე გარე სამყაროსთან. გაფართოება პოტენციურად გააუმჯობესებს ევროკავშირის გავლენას. თუმცა ეს ასევე გამოიწვევს ევროკავშირში ჰეტეროგენულობის ზრდას, გაამძაფრებს ევროკავშირისათვის დამახასიათებელ შიდა უთანხმოებას, გაართულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს და ერთობლივი პოზიციის მიღწევას. ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „მესამე მხარეთა“, ჩვენს შემთხვევაში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, მოლოდინზეც. მეორეს მხრივ, გაფართოების პროცესი სამხრეთ

კავკასიის გეოგრაფიულ სიახლოვეს განაპირობებს, რაც ზრდის რეგიონის მნიშვნელობას ევროკავშირისათვის.

ევროკავშირის მმართველ წრეებში სამხრეთ კავკასიის რეგიონის განსხვავებულ კონცეპტუალურ ხედვას აქვს ადგილი. ერთნი რეგიონში ევროკავშირის ღირებულებების (დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა, სოციალური კეთილდღეობა) დაცვაზე აკეთებენ აქცენტს. მეორენი გაფართოებასა და ახალ ენერგო მოთხოვნილებებს ეკიდებიან მეტი ყურადღებით. ზოგი რუსეთის გავლენას რეგიონში საფრთხედ მიიჩნევს, სხვანი კი პოზიტიურ ფაქტორად რეგიონში სტაბილურობის მისაღწევად.

რეგიონის განსხვავებული ხედვაა ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტებშიც. განსხვავდება თვით ევროკავშირის ინსტიტუტებში მომუშავე თანამდებობის პირთა მოსაზრებაც რეგიონში ევროკავშირის როლთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია რომ, ევროკავშირს არ გააჩნია მდგრადი და კონკრეტული ერთიანი პოლიტიკა რეგიონის მიმართ. განზრახვების რეალურად განხორციელებისათვის და განცხადებებისა და დეკლარაციების სინამდვილეში მიმდინარე პროცესებად გარდასაქმნელად კი, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია პოლიტიკური ნება და შემდგომ მდგრადი პოლიტიკის შემუშავება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მრავალი შიდა და გარე ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის ურთიერთობას სამხრეთ კავკასიის რეგიონთან. მომავალში ევროკავშირის როლი რეგიონში დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა განვითარებას ჰპოვებს დასახელებულ ფაქტორთა ურთიერთქმედება. აუცილებელია აღინიშნოს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც თავად სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მიერ წარმატებით განხორციელებულ რეფორმებს, ტრანსფორმაციის პროცესსა და მათ მიერ არჩეულ კურსს ენიჭება. თუმცა არც ევროკავშირის შიგნით მიმდინარე პროცესები და რუსეთისა და აშშ-ს ფაქტორი უნდა დავივიწყოთ. ამჟამად სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანებაზე საუბარი ალბათ საკმაოდ ნაადრევია.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ სამხრეთ კავკასია თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო ე.წ. „ბუფერად“ მოიაზრება და მისი ბედი გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით შეასრულებს იგი ევროკავშირისათვის „ბუფერის“ ფუნქციას, რაც ევროკავშირის არსებული და მომავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ ბუნებრივი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

დღესდღეობით არსებული კონფლიქტებისა და პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი ტემპების ფონზე სამხრეთ კავკასიის მიერ „ბუფერის“ როლის წარმატებით განხორციელება და შემდგომში ევროკავშირში გაწევრიანება ნაკლებად სავარაუდოა. ახალი „ბუფერის“ შექმნის ალბათობაც, რეგიონის გეოპოლიტიკიდან გამომდინარე, საკმაოდ დაბალია.

ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის განხილვა შემდეგ სურათს გვაძლევს: საქართველოსთვის ეროვნული ინდიკატიური პროგრამით ევროკავშირის მიერ 2007-2010 წლებში გამოყოფილი იქნა 117,4 მლნ ევრო, ხოლო 2011-2013 წლებში - 180.3 მლნ ევრო. სულ 297.7 მლნ. ევრო (იხ.ცხრილი 4.2.1).

ცხრილი 4.2.1.

საქართველოსთვის ეროვნული ინდიკატორული პროგრამით გათვალისწინებული და რეალურად განხორციელებული დაფინანსება 2007-2013 წლებში

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013
პროგრამით გათვალისწინებული	24	28.8	30,4	37.4	50.7	61.8	67.7
რეალურად განხორციელებული	14.7	32.7	69	41.7	66.3	61.2	

წყარო: „Implementation of the European Neighbourhood Policy in 2012“ JOINT COMMUNICATION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS; Brussels, 2020.3.2013 Statistical Annex http://ec.europa.eu/world/enp/docs/2013_enp_pack/2013_statistical_annex_en.pdf p.48

აქედან პრიორიტეტების მიხედვით თანხების დანაწილება შემდეგ სურათს გვაძლევს:

ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დაფინანსების პრიორიტეტების
მიხედვით დანაწილება

დემოკრატიული განვითარების, კანონმდებლობის და კარგი მმართველობის მხარდაჭერა	25-30 %
ვაჭრობის, ინვესტიციების და ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა	15-20%
რეგიონული განვითარები, მდგრადი ეკონომიკისა და სოციალური განვითარების, სიღარიბის შემცირების მხარდაჭერა	35-40%
კონფლიქტები მშვიდობიანი მოგვარებისთვის მხარდასაჭერად	5-10 %

წყარო: „Implementation of the European Neighbourhood Policy in 2012“ JOINT COMMUNICATION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS; Brussels, 20.03.2013 Statistical Annex
http://ec.europa.eu/world/enp/docs/2013_enp_pack/2013_statistical_annex_en.pdf გვ.48

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროპასთან ინტეგრაციის ინდექსი განსაზღვრავს:

ა) მზარდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კავშირებს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამაში შემავალ 6 ქვეყანასა და ევროკავშირს შორის;

ბ) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სტრუქტურისა და ინსტიტუციების დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან და მათ შესაბამისობას ევროკავშირის მოთხოვნებთან;

გ) აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროპასთან ინტეგრაციისთვის საჭირო მმართველობითი სტრუქტურების განვითარებას.

როგორც ვხედავთ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის მხოლოდ მოლდავეთს ჩამორჩება საქართველო მცირედით და ბევრად უსწრებს წინ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულების პარაფირებისა და ასოცირებული ხელშეკრულების ხელისმოწერის შემდეგ, ჩვენი აზრით შესაძლებელი

იქნება, რომ საქართველო ევროპულ სივრცეში ეკონომიკურად და პოლიტიკურად საბოლოოდ ინტეგრირებულად ჩაითვალოს.

ცხრილი 4.2.3

ევროპასთან ინტეგრაციის ინდექსი 2012 წლის მაისის მდგომარეობით

	სომხეთი	აზერბაიჯანი	ბელორუსია	საქართველო	მოლდოვა	უკრაინა
კავშირები	0,41	0,36	0,31	0,51	0,69	0,64
დაახლოება	0,59	0,44	0,31	0,6	0,65	0,57
მმართველობა	0,31	0,31	0,22	0,51	0,53	0,45

